The function of assessing the faithfulness of the given information is marked by the modal modifiers used with opinion predicates and generally denoting objective possibility, necessity and problematical character (*can be thought, should be regarded*), as well as by the modal words denoting conclusions (*obviously*). Referring to prominent specialists’ opinions the speaker frequently uses reduced term-citations and opinion-citations (52% □ 34% respectively). The subject of opinion is expressed by the metonymical nouns explicating the results of cited scientists’ work (32%); collective pronouns (19%); proper nouns with the modus predicates denoting ‘opinion-supposition’ (10%). Factual arguments are mainly expressed by the predicates denoting ‘verity-faithfulness (28%).

In *the lecture*, the prevailing types are *causative argumentation* as means of persuading in opinion and *argumentation-explanation*. Their pragmatic functions are to provide a clear view of well-known objects/ phenomena and to reveal their essential characteristics. The key markers of these functions are the informative- characterizing predicates (27%) explicating rational arguments. In references to prominent specialists’ opinions the subject is generally expressed by collective nouns (26%), proper nouns combined with modus predicates denoting ‘verity-faithfulness (11%) or collective pronouns (approximately 20%). The scientists’ subjectivity is mainly expressed by full or reduced term-citations (54%) (e.g. *<...> some sources call atomic power a “carbon-free source” of energy* – this quotation designates the distinctive feature of the object). Presenting his/her personal opinion based on interpreting well-known facts the lecturer employs the modal verbs denoting objective possibility (33% of the whole number of modal modifiers used with opinion predicates) (e.g. *Renewable sources of energy can be considered <...>*), probability (27%) (e.g. *I would expect that <...>*) and the modal words denoting conclusions (31%) (e.g. *obviously, evidently, clearly, undoubtedly*).

Conclusion

The revealed complexes of argumentative language means explicate the interaction of the author’s pragmatic aim with the addressee of a specific type: a) a specialist with extensive knowledge in the relevant sphere of scientific and professional activity (genres of the ScT article and report); b) an addressee, who has an average scientific and intellectual potential (genre of the lecture); c) an addressee who is not a specialist in a concrete sphere but capable of perceiving the knowledge in the popular-

izing form (genre of the ScP article). The differences in the actualization of pragmatic aims, depending on the type of a text addressee of a certain genre, are manifested in the domination of *argumentation-refutation*, *argumentation-explanation*, *argumentation-confirmation*, *causative argumentation* and *factual argumentation*; combinations of arguments of a rational type and references to opinions that form the basis for the implementation of these varieties of argumentation; in the specificity of their pragmatic functions and sets of linguistic means of their explication.

Having compared the argumentative linguistic means we have revealed significant differences in such genre pairs as the ScP article/ the report, the ScT article/ the lecture, the ScT article/ the report. The ScP article and the lecture appeared to have greatest similarities.

References

1. Кубрякова, Е. С. Язык и знание: На пути получения знания о языке: части речи с когнитивной точки зрения. Роль языка в познании мира / Е. С. Кубрякова ; Рос. акад. наук, ин-т языкознания. – М. : Яз. слав. культуры, 2004. – 555 с.
2. Хомутова, Т. Н. Научный текст: теоретические основы интегрального подхода : автореф. дис. ... д-ра филол. наук : 10.02.19 / Т. Н. Хомутова ; Воен. ун-т. – М., 2010. – 38 с.
3. Яскевич, Я. С. Аргументация в науке / Я. С. Яскевич. – Минск : Университетское, 1992. – 142 с.
4. Бройкер, Г. Чувственное и рациональное в формировании убеждений : автореф. дис. ... канд. филос. наук : 09.00.01 / Г. Бройкер ; Белорус. гос. ун-т. – Минск, 1988. – 18 с.
5. Sperber, D. Relevance: communication and cognition / D. Sperber, D. Wilson // Computational Linguistics. – 1987. – Vol. 13, № 3/4. – P. 351–353.
6. Жителева, Е. А. Аргументативный дискурс в учебной ситуации: на материале английского языка : автореф. дис. ... канд. филол. наук : 10.02.04 / Е. А. Жителева ; Твер. гос. с.-х. акад. – Тверь, 2004. – 20 с.
7. Eemeren, F. H. van. Handbook of argumentation theory: a critical survey of classical backgrounds and modern studies / F. H. van Eemeren, R. Grootendorst, T. Kruijer. – Dordrecht ; Providence : Foris Publ., 1987. – 340 p.
8. Берков, В. Ф. Логика : учеб. для вузов / В. Ф. Берков, Я. С. Яскевич,

- В. И. Павлюкевич ; под общ. ред. В. Ф. Беркова. – 9-е изд. – Минск : ТетраСистемс, 2007. – 416 с.
9. Варгина, Е. И. Научный текст и его воздействие (на материале английского языка) / Е. И. Варгина. – СПб. : С.-Петербург. гос. ун-т, 2004. – 212 с.
10. Flowers, M. Adversary arguments and the logic of personal attacks / M. Flowers, R. McGuire, L. Birnbaum // Strategies for natural language processing / ed.: W. G. Lehnert, M. H. Ringle. – New York, 1982. – P. 275–294.
11. Johnson-Laird, Ph. Mental models / Ph. Johnson-Laird // Foundations of cognitive science / ed. M. Posner. – Cambridge ; London, 1989. – P. 469–499.

*Екатерина Хоменко, кандидат филологических наук,
Белорусский национальный технический университет, Беларусь (Минск)*

Прагматическая мотивированность использования аргументативных средств в жанровых разновидностях научного текста

Резюме

В статье акцентируется внимание на взаимодействии типа адресата текста и использовании аргументативных языковых средств в научных текстах следующих жанров – академическая научно-техническая статья, научно-популярная статья, научный доклад, научно-учебная лекция. Преобладание определенных типов аргументации, выполняющих различные прагматические функции, специфические сочетания аргументов, наборы языковых средств их экспликации рассматриваются как индикаторы жанровой принадлежности научного текста.

Ключевые слова: научный текст, жанр научного текста, аргументативные средства, адресат текста, адресант текста, прагматическая цель, коммуникативно-прагматический подход.

„აკადემიური წერის“, როგორც სასწავლო დისციპლინის, ისტორიიდან

რეზიუმე

„აკადემიური წერის“ კურსი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უკვე ორ ათეულზე მეტი წლის დამკვიდრებულია. XX საუკუნის მეორე ნახევარში, ევრო-ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცის სხვადასხვა პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

აკადემიური წერა, ანუ კვლევა და წერა, იძლევა იმის ცოდნას თუ როგორ უნდა შეიქმნას ტექსტი (სტატია, ესე, მონოგრაფია და ა.შ.), როგორ უნდა მოვიძიოთ მასალა, როგორ დავამუშავოთ წყაროები, როგორ ავიცილოთ თავიდან პლაგიატობის ე.წ. „ინტელექტუალური ქურდობის საფრთხე და ა.შ. ანუ აკადემიური წერა იძლევა იმის ცოდნას თუ როგორ უნდა შეიქმნას ტექსტი, განსაკუთრებით კი მეცნიერული. მითუმეტეს, რომ ტექსტზე მუშაობისას სხვადასხვა სახის სირთულეს სკოლის მოსწავლეც აწყდება. საგანი სტუდენტებისთვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის არის მეგზური, თუ როგორ უნდა დაიწეროს სადიპლომო, საკურსო, საკონფერენციო თეზისი, კრიტიკული ესე და ა.შ. აკადემიური წერის საფუძვლიანი ცოდნა მნიშვნელოვანი გზამკვლევაა, ვინაიდან, როგორც ვიცით წერა ეს არის ურთულესი აზროვნებით-შემოქმედებითი პროცესი, რომელიც დიდი შრომასა და ძალისხმევას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური წერა, აკადემიზმი, მეცნიერება.

შესავალი

ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში დღემდე დიდი ცდომილებებია. ხშირად ხდება „აკადემიურისა“ და „აკადემიზმის“ ერთმანეთში არევა. ამიტომაც მნიშვნელოვანია, ამ ორი ცნების ტერმინოლოგიურ შინაარსთა დაზუსტება.

აკადემიზმი ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და დადგენილი ტრადიციებისა და კანონების მიმდევრობას გამოხატავს. ეს არის, წმინდა თეორიული მდგომარეობა სამეცნიერო და სასწავლო მოღვაწეობაში. მეცნიერებისა და განათლების სფეროში ამავე შინაარსით დამკვიდრდა.

აკადემიური - დადგენილი წესებისა და ნორმების მიხედვით შექმნილ ინტელექტუალურ პროდუქციას აღნიშნავს, სადაც მკაცრად არის განსაზღვრული წესები და დეტალები, აქედან გამომდინარე მცირედი გადაცდომაც კი დაუშვებელია.

სწორედ ამიტომ, აკადემიურის ცნებით აღინიშნება უმაღლესი პროფესიულ დონე, დადგენილი წესები და ნორმებთან შესაბამისობა. როგორც ვხედავთ,

აკადემიური წერა ფართო ცნებაა და წერის გარდა კომუნიკაციის პროცესებისა და აზროვნების სწავლებას, ქცევას, საჯარო გამოსვლას, მეტყველებასა და ზემოთ ჩამოთვლილთა ფორმასა და სტილს გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკადემიურია ყველაფერი რაც მეცნიერებასა და უმაღლეს განათლებას მიეკუთვნება. ვისაც უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში სურს მოღვაწეობა, მნიშვნელოვანია ფლობდნენ იმ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რასაც აკადემიური წერის საგანი მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური წერის თეორიის ასპექტები უმეტეს წილად დაფუძნებულია რიტორიკაზე. „ასე რომ, „აკადემიური წერა“ რიტორიკის მემკვიდრეა და მათ შორის მემკვიდრეობითი კავშირი იმდენად მჭიდრო და მრავალმხრივია, რომ კარგად დავიწყებული ძველის წარსულიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს“.

აკადემიური წერა გარდა იმისა რომ წერის კულტურის დახვეწა-განვითარებაში გვხვდარება, არამედ იმაშიც რომ უკეთესად გავიგოთ, დავიმახსოვროთ, ვიაზროვნოთ, სხვას გავაგებინოთ, სხვასთან დავამყაროთ კომუნიკაცია, შევიმეცნოთ ჩვენივე თავი და წარმოვაჩინოთ ის უკეთესად.

აკადემიური წერა მოიცავს: „აკადემიური აზროვნების სწავლებას; კვლევის უნარ-ჩვევების შექმნას; აკადემიური წერის წესებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლებას; სამეცნიერო ნაშრომის წერის ფორმების სწავლებას; წერის როგორც ინტელექტუალური შემოქმედების სწავლებას“.

აქედან გამომდინარე, ნათელია რომ აკადემიური წერის“ საგანი ორ ძირითად სფეროს მოიცავს:

- „სტრუქტურულ-ფორმალისტური, სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურირების, ტექსტის ნაწილების ურთიერთდაკავშირების პრინციპებს, წესებსა და უნარ-ჩვევებს;
- კვლევის მიზნის შესაბამისად, წერის სტილისა და წესების შერჩევას“.

როგორც აღვნიშნეთ, აკადემიური წერა არის კვლევა. კვლევა კი თავის მხრივ, ინფორმაციის ძიებაა, კითხვების დასმითა და მათზე პასუხის მოძიების მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება. წერისას, ძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაფიქსირება ხდება, ამავდროულად მოპოვებულ ინფორმაციას ვაკონტროლებთ და ვაზუსტებთ.

როდესაც იბადება კითხვა, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ არსებობს კონკრეტული პრობლემა, ხოლო ამ კითხვაზე პასუხის მოძიება გულისხმობს, მისი გადაჭრის მცდელობას. შეიძლება ითქვას, რომ კითხვის დასმისა და მასზე პასუხის მოძიების ჯაჭვი უწყვეტია, მანამ სანამ არ ამოიწურება კითხვების რაოდენობა და არ მივიღებთ ამომწურავ პასუხებს თითოეულ კითხვაზე. მძიმე შრომის შემდეგ კი მკვლევარს ხელთ აქვს საჭირო ინფორმაცია. ის იღვწის მანამ, სანამ არ მიიღებს სამეცნიერო ნამუშევრის საბოლოო ვარიანტს.

ძირითადი ნაწილი

აკადემიური წერის ძირითადი პრინციპებია:

- მკითხველი (წერის დაწყებამდე, მკვლევარმა უნდა განსჭვრიტოს, ვინ იქნება ნაშრომის მკითხველი);
- მიზანი (სიახლეების დაფიქსირება);
- სტრუქტურა (სიტუაციის აღწერა, გადაჭრის იდენტიფიკაცია, გადაჭრის გზის აღწერა და შეფასება);
- სტილი (უნდა იყოს დაცული ლოგიკური თანმიმდევრულობა, ყველა არგუმენტი ძირითადი პოზიციის გამყარებას უნდა ემსახურებოდეს).

აკადემიური წერის კურსის გავლა მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, რადგან შეასწავლის კვლევისა და წერის მეთოდებს, ისეთ ელემენტებს, როგორცაა:

- „საკვლევი თემის განსაზღვრა;
- წყაროებზე მუშაობა (მოძიება-დალაგება-დახარისხება);
- სამეცნიერო ნაშრომის სამუშაო ჰიპოთეზის, გეგმა-მონახაზის, შემდეგ კი დეტალური გეგმის შედგენა;
- თეზისის ანუ ძირითადი დებულების ჩამოყალიბება;
- არგუმენტის ჩამოყალიბება;
- ნაშრომის შავი ვარიანტის შექმნა;
- ნაშრომის საბოლოო ვარიანტის შექმნა;
- სამეცნიერო ტექსტის ვარიანტის შექმნა და სტრუქტურული ერთეულების შესწავლა;
- სამეცნიერო ტექსტების გამოცემათა სახეობების ცოდნა;
- ნაშრომის ზეპირი და წერილობითი წარდგენა აუდიტორიის წინაშე და ა.შ.“

დასკვნა

აკადემიური წერის საგანი აზრის გაგების, დამახსოვრების, სხვათათვის გაგებინებისა და წერის იმ წესების სწავლებაა, რაც მსოფლიოში აკადემიური სფეროს- მეცნიერებისა და განათლების აღიარებული სავალდებულო ნორმაა.

აკადემიური წერის შინაარსს სხვა ცნებებითაც მოიხსენიებენ: „კვლევის ხელოვნება“, „კვლევა და წერა“, „ფუნქციური წერა“.

საგანი მნიშვნელოვანი იმ კუთხითაც, რომ სტუდენტებს ასწავლის დიალოგურ ურთიერთობას, მეცნიერული აზრის ნათელი, ადვილად გასაგები, სადა და მარტივი სტილით გადმოცემას.

ლიტერატურა:

1. თ. ჯაგოდნიშვილი და სხვ. - აკადემიური წერა, თბ., 2008.
2. თ. ჯაგოდნიშვილი და სხვ. - აკადემიური წერა, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2018.

*Natia Akhalaia, PhD student
Georgian Technical University*

“Academic writing” from history of study discipline

Summary

Academic writing is clear, concise, focused structured and backed up by evidence. Its purpose is to aid the reader’s understanding. It has a formal tone and style, but it is not complex and does not require the use of long sentences and complicated vocabulary. Academic writing is conducted in several sets of forms and genres, normally in an impersonal and dispassionate tone, targeted for a critical and informed audience, based on closely investigated knowledge, and intended to reinforce or challenge concepts or arguments. It usually circulates within the academic world (‘the academy’), but the academic writer may also find an audience outside via journalism, speeches, pamphlets, etc.

Keywords: Academic writing, academicism, Science.

ქუჩნალისტიკა

JOURNALISM

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

გერმანიის და საფრანგეთის ტელემარშულებლობა

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ევროპის ორი წამყვანი სახელმწიფოს - გერმანიის და საფრანგეთის ტელემარშულებლობაზე, ტელევიზიის პირველ ნაბიჯებზე, სიმნელეებსა და წინააღმდეგობებზე, მარშულებლობის სახეობებზე, პოპულარულ ტელეარხებსა და პროგრამებზე, ტელეპროდუქციის მრავალფეროვნებასა და მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან მჭიდრო კავშირზე, კონტროლის მექანიზმებზე. განხილულია აუდიოვიზუალური საბჭოს საქმიანობა, რომელიც 1989 წლიდან ფუნქციონირებს, მნიშვნელოვანი მოვალეობა ეკისრება და შესაბამისი უფლებამოსილებითაც არის აღჭურვილი; აღნიშნულია ის, რომ დასახელებულ ქვეყნებში ტელევიზიამ დაარსებისთანავე მყარად მოიკიდა ფეხი, უამრავი ექსპერიმენტის ჩატარებისა და ინოვაციების დანერგვის შედეგად მოახერხა გამხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მედიასაშუალება და მიეღწია იმ მიზნისთვის, რისთვისაც შეიქმნა: მაყურებლის დროული და ობიექტური ინფორმირება, შემეცნება და გართობა.

საკვანძო სიტყვები: გერმანული და ფრანგული ტელემარშულებლობის პირველი ნაბიჯები, ტელევიზიის ტიპები, პოპულარული ტელეარხები და პროგრამები, მრავალფეროვანი ტელეპროდუქცია, მიზნები, კონტროლის მექანიზმები.

შესავალი

გერმანია და საფრანგეთი - ევროპის ორი წამყვანი სახელმწიფო, რომელსაც საკმაოდ საინტერესო პრესა აქვს, ჰყავს პროფესიონალი ჟურნალისტები და

მრავალრიცხოვანი მედიამომხმარებელი, მაღალი დონის ტელემაუწყებლობით გამოირჩევა. ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც ტელევიზიამ დაარსებისთანავე მყარად მოიკიდა ფეხი; უამრავი ექსპერიმენტის ჩატარებისა და ინოვაციების დანერგვის შედეგად მიაღწია სასურველ სიმაღლეს, თუმცა ზოგჯერ იყო წარუმატებლობა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ფინანსური სიძნელეები, მძაფრი კონკურენცია, მაგრამ მანამდე არარსებული შესაძლებლობების წყალობით ტელევიზიამ მოახერხა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მედიასაშუალება გამხდარიყო და მიეღწია იმ მიზნებისთვის, რისთვისაც შეიქმნა: მაყურებლის ინფორმირება, შემეცნება და გართობა; ქვეულიყო შემოქმედების ერთ-ერთ სახეობად თავისი სპეციფიკური მახასიათებლებით და გამო სახვითი საშუალებებით.

ძირითადი ნაწილი

გერმანიაში პირველ ტელეცენტრს პაულ ნიჰკოვის სახელი ეწოდა, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ამ პიროვნების უდიდეს ღვაწლზე და დამსახურებაზე გერმანიის ელექტრომაუწყებლობის განვითარებაში. ნიჰკოვმა მე-19 საუკუნის მიწურულს, ერთი შეხედვით, წარმოდგენელი რამ მოახერხა, მიიღო გამოსახულება მოძრავი ნახვრეტებიანი დისკოს საშუალებით, რომელიც ელექტრონულ იმპულსებად გარდაქმნიდა სინათლის ნაკადს. 1884 წელს პატენტიც მიიღო, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ამ გამოგონების პრაქტიკაში დანერგვა მაშინვე ვერ მოახერხა. შემდეგ კი საყოველთაო აღიარება მოიპოვა. პაულ ნიჰკოვი სატელევიზიო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურა გახდა.

გერმანიაში ტელევიზიის ისტორია, შეიძლება ითქვას, 1935 წლიდან იწყება, თუმცა ამ პერიოდში რეგულარული გადაცემები, რაღა თქმა უნდა, არ არსებობდა და, ცხადია, არც მის ფართო მასობრივ გავრცელებაზე შეიძლება საუბარი, ეს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. 1935 წლიდან კი ბერლინის ტელეცენტრი კვირაში მხოლოდ სამჯერ მაუწყებლობდა, ეთერში უშვებდნენ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებს, ასევე მაყურებელს სთავაზობდნენ გასართობ გადაცემებსაც: სპექტაკლებს, კონცერტებს, სკეტჩებს, მოგვიანებით გამოჩნდა სპეციალური გადაცემები ახალგაზრდებისთვის. 1936 წლიდან გერმანელ მაყურებელს საშუალება მიეცა ყოველ საღამოს 2 საათის განმავლობაში ცისფერ ეკრანთან მოკალათებულიყო და ახალინედიასაშუალების წყალობით ინფორმაციაც მიეღო და სულიერი საზრდოც. იმავე წელს ბერლინში ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, ამასთან დაკავშირებით, გაითვალისწინეს რა მაყურებელთა დიდი ინტერესი, პირდაპირი ტრანსლაციის დრო გაიზარდა დღელამეში 7-8 საათამდე. მოგვიანებით მოხერხდა სატელევიზიო კავშირის დამყარება გერმანიის სხვა ქალაქებთან, კერძოდ, ჰამბურგთან, ნიურბერგთან, მიუნხენთან და კიოლნთან.

როდესაც გერმანიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად ამოტივტივდება გონებაში

ფაშიზმის საშინელება და გერმანელი ნაცისტების მიერ მსოფლიოს წინაშე ჩადენილი დანაშაული. ვერც ტელევიზიაზე საუბრისას ავუვლით გვერდს ამ ცნებებს, რადგან რაოდენ სამწუხარო არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ტელევიზია ნაცისტების ინტერესებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ისინი მაშინვე ჩაწვდნენ ახლადფეხადგმული მედიასაშუალების შესაძლებლობებს პროპაგანდის და აგიტაციის ფართოდ გაშლის კუთხით. ნაცისტებმა მშვენივრად გამოიყენეს ტელევიზიის ეს უნარი და მოახერხეს მოსახლეობის დიდი ნაწილის მოწამვლა ფაშისტური იდეებით. იმპერიოდისტოვის გერმანული ტელევიზიის გადაცემების ხარისხი შეიძლება არ იყო უხარვეზო და უნაკლო, მაგრამ შთამბეჭდავ მიღწევას ნამდვილად წარმოადგენდა. 1937 წელი იმით არის აღსანიშნავი გერმანიის ელექტრომაუწყებლობის განვითარებაში, რომ გაჩნდა აპარატურა, რომელიც ფერადი გამოსახულების გადაცემის შესაძლებლობას იძლეოდა.

გავიდა კიდევ 2 წელი და გერმანელ მაყურებელს უკვე შეეძლო შეეძინა მასობრივი გამოყენებისთვის გამოშვებული ტელევიზორი, რომლის ეკრანის ზომა იყო 19,5 – 22,5 სმ. რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიო დადგა დიდი საფრთხის და გამოცდის წინაშე. ვგულისხმობთ ომის დაწყებას და გერმანული სახელმწიფოს მეტაურის, ჰიტლერის უსაზღვრო ამბიციებს. გერმანული ტელემაუწყებლობა, მართალია ხარვეზებით, მაგრამ მაინც აგრძელებდა მუშაობას 1943 წლის 26 ნოემბრამდე, როდესაც ბერლინის ტელეცენტრის შენობას ბომბი დაეცა. ომის შემდეგ ტელეგადაცემები აღდგა ჰამბურგშიც, თუმცა კვირაში მხოლოდ სამჯერ და ისიც 2 საათი. 1951 წლიდან კი მაუწყებლობა გაგრძელდა დასავლეთ ბერლინში და გერმანიის სხვა ქალაქებშიც.

წარსულის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, დასავლელი გამარჯვებული სახელმწიფოები შეეცადნენ არ დაეშვათ გერმანიაში მაუწყებლის კონცენტრაცია, მასზე სახელმწიფოს ან რომელიმე პარტიის გავლენა. ეს მათ საფრთხის შემცველად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს მინიმუმამდე შეემცირებინათ რისკები. რადიოტელეკომპანიისთვის შეირჩა სტატუსი „საზოგადოებრივ-სამართლებრივი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ელექტრონული მაუწყებლობა არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს (საფრანგეთის მსგავსად), არც კომერციული იქნებოდა (როგორც აშშ-ში). უპირატესობა მიენიჭა ინგლისურ სისტემას და მის კონცეფციას. ასე გაჩნდა პირველი გერმანული ტელევიზია (APD). 1962 წლიდან მაუწყებლობა დაიწყო მეორე გერმანულმა ტელევიზიამ, რომელსაც შტაბბინა მაინცში აქვს და ასევე ფლობს ათეულობით სტუდიას მთელ ქვეყანაში. 8 წლის შემდეგ, 1970 წელს გაიხსნა კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების მესამე დეცენტრალიზებული არხი. რეკლამას დღედამეში 20 წუთი ეთმობოდა, ეს, ცხადია, არ იყო საკმარისი თავის შესანახად, ამიტომ დაფინანსების ძირითადი წყარო სააბონენტო გადასახადი იყო, რომლის ოდენობას პარლამენტი განსაზღვრავდა (დღეისთვის გადასახადი შეადგენს წელიწადში 300 მარკას).

რა თქმა უნდა, გერმანიაში არის საკაბელო-სათანამგზავრო და კერძო მაუწყებლობა. 1984 წელს გამოჩნდა „Drei Sat“, 1986 წელს კი სათანამგზავრო არხი „Eins plus“, პირველი არხის კულტურულ-საგანმანათლებლო დამატება. კერძო ტელევიზიამ 1986 წლიდან დაიწყო მაუწყებლობა. მხედველობაში გვაქვს „Sat – 1“. 1993 წელს ამერიკული და გერმანული კომპანიების ძალისხმევით ეთერში გამოჩნდა საინფორმაციო არხი „H-TV“, რომლის გადაცემები „სი-ენ-ენ“-ის მსგავსია და განკუთვნილია ევროპის გერმანულენოვანი მოსახლეობისთვის. გადაცემები წარმოებს ბერლინიდან 24 საათის განმავლობაში. გერმანიის პირველი და მეორე ტელევიზიის პროგრამები ძირითადად სერიოზული, დიდაქტიკური და აკადემიური იყო, ამიტომ მაყურებელი ახალი არხებისგან მსუბუქ, გასართობ გადაცემებს ელოდა, რომელიც მას განტვირთვის საშუალებას მისცემდა და დადებითი ემოციებით დატვირთავდა, ასეც მოხდა. გერმანიაში ახლად დაარსებული არხები ძირითადად ტელემაყურებლის ინტერესებს ითვალისწინებენ და ცდილობენ არ გადატვირთონ ეთერი ინფორმაციებით და ანალიტიკური გადაცემებით. არ შეიძლება არ ვახსენოთ „Deutsche Welle“ (გერმანული ტალღა), რომელიც უდავოდ ძალიან პოპულარულია, უწყვეტად მაუწყებლობს, 24 საათის განმავლობაში. მისი მიზანია გაავრცელოს ინფორმაცია გერმანიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მთელ მსოფლიოში.

საფრანგეთის ტელემაუწყებლობამ საკმაოდ საინტერესო და წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო. დღეისათვის მის მუშაობას წარმართავს და, შეიძლება ითქვას, აკონტროლებს აუდიოვიზუალური საბჭო, რომელიც არსებობს 1989 წლიდან. მის შემადგენლობაში 9 წევრია, რომელთაგან სამს ნიშნავს პრეზიდენტი და სამ-სამს პარლამენტში შესული პარტიების თავმჯდომარეები. არჩევანი კეთდება მაუწყებლობის, კულტურის, ზოგადად აკადემიური წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებზე. საბჭოს მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია და, შესაბამისად, დიდი უფლებამოსილებაც გააჩნია. ის განსაზღვრავს სატელევიზიო სიხშირეებს, ლიცენზიას აძლევს საკაბელო არხებს, ნიშნავს შერჩეულ კადრებს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, თვალ-ყურს ადევნებს კერძო სამაუწყებლო კომპანიების მუშაობას, ასევე ადგენს იმპორტული პროდუქციის წილს სამაუწყებლოებადში, ცდილობს შემცირდეს ეკრანზე ძალადობის და სექსის ჩვენება და აწესებს განსაზღვრულ დროს მსგავსი გადაცემებისთვის. კანონის დამრღვევთა მიმართ აწესებს გარკვეულ სანქციებს, რაც გულისხმობს ჯარიმის გადახდას ან გადაცემების დროებით შეწყვეტას. საბჭოს თავის ძირითადად მოვალეობად და ამოცანად მიაჩნია არ დაუშვას ტელევიზიის გამოყენება პირადი ძალაუფლებისათვის ან კომერციული ინტერესებისათვის. აუდიოვიზუალური საბჭო ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ პროგრამებმა ფრანგულ ენაზე შეადგინოს საეთერო დროის 40%, ევროპულმა გადაცემებმა – 60%. სამაუწყებლო არხები მოვალენი არიან თავიანთი შემოსავლების მინიმუმ

15% გამოიყენონ ორიგინალური ტელეპროდუქციის შესაქმნელად, 3% კი ჩადონ ფრანგული ფილმის წარმოებაში.

საფრანგეთში ტელევიზიასთან დაკავშირებული მოვლენები დაიწყო 1931 წლიდან. ამ წელს რენე ბარტელემის ლაბორატორიაში მოეწყო პირველი სახალხო ტელესენსი. პირველი სტუდია პარიზში, გრანელის ქუჩაზე მდებარეობდა. გავიდა 3 წელი და უკვე მოხერხდა პირველი გადაღებები ქუჩაში. გრანელის ქუჩიდან ეიფელის კოშკში, სადაც დამონტაჟებული იყო გადამცემი ანტენები, გაიყვანეს კაბელი. 1935 წლიდან გადაცემები გახდა რეგულარული. ეს წელი ითვლება საფრანგეთში ტელევიზიის დაბადების თარიღად. გადაცემები, ბუნებრივია, იმთავითვე მრავალფეროვანი ვერ იქნებოდა, ძირითადად კაბარეს, ცირკის და მსგავსი დაწესებულებების რეპერტუარიდან არჩევდნენ ეთერში გასაშვებ მასალას. სტუდიაში იწვევდნენ წამყვან მსახიობებს და მოცეკვავეებს „პარი ოპერიდან“. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო პირობები რთული იყო, თერმომეტრი სტუდიაში ზოგჯერ 35% სიცხეს აჩვენებდა პროექტორების მცხუნვარების „წყალობით“, არავინ აცხადებდა პრეტენზიას და, რაც მთავარია, მსახიობები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ, ჰონორარს არავინ ითხოვდა. 1938 წლიდან მთავრობის განკარგულების თანახმად მთელი ქვეყანა ტელექსელებით დაიფარა. გადაცემები ყოველდღიური გახდა. კვირაში 15 საათის განმავლობაში შეეძლო ტელემყურებელს თვალი ედევნებინა მოვლენებისთვის, თუმცა ტელევიზორების რიცხვი ამ პერიოდისთვის დიდი არ იყო, სულ 500, არც ხარისხით გამოირჩეოდა, ამიტომ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მოუწოდა კერძო სექტორს დაეწყო ტელევიზორების მასობრივი გამოშვება. შემდეგი წლებიც მნიშვნელოვანი მოვლენებით გამოირჩეოდა. საფრანგეთი იყო ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ტელემაუწყებლობა ევროპის კონტინენტზე. საფრანგეთის მაუწყებლობის განვითარებაში დიდია წვლილი „Radiodiffusion nationale Television“-ისა, რომელსაც 1945 წელს ეწოდა “Radiodiffusion française” (RDF), 1949 წლის 9 თებერვლიდან კი “Radiodiffusion –television française”(RTF) (“ფრანგული რადიომაუწყებლობა და ტელევიზია”). 1940 წელს გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ მოითხოვა პარიზის ჰოსპიტალებში მოთავსებული გერმანელი დაჭრილი ჯარისკაცებისთვის ტელევიზიით სპეციალური გადაცემის გაშვება. ომის დამთავრების შემდეგ დაარდა ტელეპროგრამების დირექცია. გადაცემების პოპულარიზაციის და მყურებლის მიზიდვის მიზნით გა-დაწყდა უზრუნველყოთ სპორტული და პარტიული ღონისძიებების პირდაპირი ტრანსლაცია. გაჩნდა ტელეგაზეთი. 1949 წელს პიერ საბახი გახდა პირველი პირდაპირი რეპორტაჟის ავტორი საჰაერო ბუმბუტიდან, რომელშიც ოპერატორ-თან ერთად იმყოფებოდა, თუმცა იძულებული გახდა შეეწყვიტა გადაღება მოულოდნელი აფეთქების გამო, რომელსაც ხანძარიც მოჰყვა. მომდევნო წელს, საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში, ქალაქ ლილში, გაიხსნა

პირველი რეგიონალური ტელეცენტრი.

1958 წლიდან გარკვეული ცვლილებები მოხდა ტელემაუწყებლობასთან დაკავშირებით. ეს უკავშირდება გენერალ დე გოლის ხელისუფლების სათავეში მოსვლას, რომელმაც გადაწყვიტა მთავრობის პოლიტიკის გატარებისთვის გამოეყენებინა ყველა არსებული საშუალება და რესურსები, მათ შორის რადიო და ტელევიზია. მთავრობის მეთაური და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს კონტროლი იყო საუკეთესო გზა მაუწყებლობის კომერციული ინტერესებისგან დასაცავად, ამიტომ ელექტრონული მაუწყებლობა კერძო პირის საკუთრებაში არ უნდა აღმოჩენილიყო. 1959 წელს მთავრობამ დანიშნა მაუწყებლობის გენერალური დირექტორი. 1964 წელს ეთერში გავიდა მეორე ფერადი პროგრამა.

საფრანგეთის ტელემაუწყებლობასაც ჰქონდა კრიზისული პერიოდები, როდესაც დიდი ძალისხმევა და გონივრული ქმედება გახდა საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგ. 1968-1974 წლები, როდესაც ტელევიზია კარგავდა ინფორმაციის მიმწოდებელი უპირველესი საშუალების იმიჯს, ამას ემატებოდა სადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების გამოსვლები, ჟურნალისტების გაფიცვები, პოლიტიკური და ფინანსური სკანდალები, ტელევიზიის ხელმძღვანელობის დათხოვნა, პარლამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებები და ა.შ. 1968 წლიდან ტელეეთერში გაჩნდა კომერციული განცხადებები, თუმცა აკრძალვები და შეზღუდვებიც ბევრი იყო. მაგ. რეკლამას დღეღამეში მხოლოდ 18 წუთი ეთმობოდა. იკრძალებოდა რეკლამირება საბავშვო სათამაშოების, ალკოჰოლური სასმელების, კინოფილმების, სიგარეტის. თუმცა საფრანგეთში არსებობდა არხი, რომლის გადაცემები ნებისმიერ დროს წყდებოდა რეკლამით, ეს იყო მე-5 პროგრამა. მას მართავდა ინვესტორთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ ფრანგული პრესის მაგნატი რობერ ერსანი და იტალიელი, სამი კერძო არხის მფლობელი, სილვიო ბერლუსკონი. პროგრამას დაარქვეს „ბევრი ფული და დიდი ბიუსტები“. მაყურებელს სთავაზობდნენ სხვადასხვა თამაშებს, ვიქტორინებს და შოუებს, ჰპირდებოდნენ დიდ მოგებას. 1992 წელს მოხდა უთანხმოება არხის მფლობელებს შორის, ამას დაემატა ფინანსური სიძნეელები და პროგრამა დაიხურა.

1982 წელს სამი მნიშვნელოვანი ტელესადგური ლილში, ლოინსა და მარსელში დამოუკიდებლად გამოცხადდა. საჭირო თანხა რეკლამის საშუალებით უნდა მიეზიდათ. 2 წლის შემდეგ მაუწყებლობა დაიწყო ფასიანმა ტელეკომპანიამ „Canal +“. აქცენტი გაკეთდა ტელემაყურებლებისთვის კინოფილმების შეთავაზებაზე, რაც განსაკუთრებით მომგებიანი აღმოჩნდა. ასევე წარმატებული გამოდგა „სიბი-ეს“-ის ახალი ამბების ფრანგულ ენაზე თარგმნა და ეთერში გაშვება. პირველი 5 წლის განმავლობაში „Canal+“-ის მაყურებელთა რიცხვი ხუთ მილიონამდე გაიზარდა. ყოველწლიურმა შემოსავალმა მიაღწია 1 მილიარდ ფრანკზე მეტს,

რამაც შესაძლებლობა მისცათ გაეხნათ ფილიალები საზღვარგარეთ. კერძოდ, ესპანეთში, ბელგიაში, გერმანიაში, პოლონეთში, აფრიკაში.

1989 წელს სახელმწიფო ტელეპროგრამების რიცხვს შეემატა „La Set“, რომელიც ძირითადად კულტურის საკითხებს ამუშავებს. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო არხი „Arte“. 1993 წელს პარიზში დაარსდა „ევროსპორტი“, რომელიც 24 საათის განმავლობაში მაუწყებლობს. ამავე წელს დღის სინათლე იხილა ევროპული ორიენტაციის მულტილინგვისტურმა არხმა „ევროპის ახალი ამბები“, რომელიც ცდილობს კონკურენცია გაუწიოს საყოველთაოდ ცნობილ „სი-ენ-ენ“-ს და „ბი-ბი-სი“-ს და ტელემყურებელს ოპერატიულად შესთავაზოს სარწმუნო ინფორმაცია. 2005 წლიდან გამოჩნდა ციფრული ტელევიზია.

დღეისათვის საფრანგეთის ტელევიზია იყოფა სახელმწიფო (საზოგადოებრივ) და კომერციულ მაუწყებლობად. პირველს ეკუთვნის ტელეკომანიები „France Televisins“, „Erance Media Monde“, „Arte“. უმსხვილესი კომერციული ტელეკომპანიები არის „TF1“ „Canal+“ და „M6“. მრავალფეროვანია ტელეპროდუქცია, რომელიც ყველა ასაკის, დონის და განსხვავებული მოთხოვნილების მქონე მაყურებელს აკმაყოფილებს. ახალი ამბები, ამინდი, კინო, ტელემადია, პოლიტიკა, ისტორია, დოკუმენტალისტიკა, თამაშები - აი არასრული სია იმ თემებისა, რასაც საფრანგეთის ტელევიზია სთავაზობს აუდიტორიას.

დასკვნა

ევროპის ამ ორი გამორჩეული ქვეყნის ტელემაუწყებლობა დღესაც ვითარდება, იხვეწება და ცდილობს ფეხი აუწყოს ახალ მოთხოვნებს და გამოწვევებს, არ დაკარგოს კავშირი აუდიტორიასთან, გაამართლოს ტელემყურებლის ნდობა და მოლოდინი. ურთულეს ეპოქაში, როდესაც დრო დაჩქარებულია, ზღვა ინფორმაცია ატყდება თავს კაცობრიობას, ადვილი არ არის ახალი ამბების ნაკადში ამოარჩიო ყველაზე საჭირო, სარწმუნო, სანდო და ობიექტური ინფორმაცია და მიაწოდო აუდიტორიას, ამასთანავე მოახერხო მათთვის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და დროებით ამქვეყნიური საზრუნავიდან გამოთიშვა, გათვალისწინებული მაყურებლის ინტერესი, გონებრივი შესაძლებლობანი და ეცადო არ გადატვირთო, არ გაანაწყენო, მუდმივად იზრუნო პროფესიულ დონეზე, განავითარო ტექნოლოგიები და მოარგო თანამედროვეობას; ჟურნალისტებს და ზოგადად ტელეინდუსტრიაში დასაქმებულ ადამიანებს შეუქმნა ყოველგვარი პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად. გერმანიის და საფრანგეთის ტელემაუწყებლობა ამას ნამდვილად ახერხებს.

ლიტერატურა:

1. <https://dedovkgu.narod.ru/htv/htv07.htm>;
2. <https://www.tapa-germania.ru>. Немецкое телевидение;
3. <https://www.arendal.ru>. Телевидение во Франции;
4. <https://wikwand.com/ru>. Телевидение во Франции;

*Ketevan Giorgobiani, Associated Professor
Georgian Technical University*

TV broadcasting of Germany and France

Summary

This article is about electronic broadcasting, first steps of television, difficulties and successes, types of broadcasting, popular TV channels and programs, diversity of TV production and tight connection with numerous auditorium, control mechanisms of two leading countries of Europe – Germany and French. Activity of audio-visual council is discussed, that had been functioning since 1989, it has an important obligation and has a relevant authority. It is mentioned that the television has gained a foothold at the time of establishment in these countries, became one of the most popular media means as a result of conduction of multiple experiments and implementation of innovations and achieved the aim for what it was created: Timely and objective informing of viewers, cognition and entertainment.

Key words: *First steps of German and French TV broadcasting, types of television, popular TV channels and programs, diversity of TV production, aims, control mechanisms.*

მედიაფილოსოფია - ახალი დისკურსი თუ ახალი დისციპლინა?

რეზიუმე

სტატიაში დასმულია საკითხი მედიაფილოსოფიის, როგორც ახალი დისციპლინის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია XX–XXI საუკუნის აქტიური სუბიექტის ობიექტად ქცევის ტრანსფორმაციაზე, რომ სუბიექტი არ საუბრობს, კი არ ხედავს, კი არ აღიქვამს, არამედ ენა საუბრობს, სახე-ხატი ხედავს, რადგან მედიაფილოსოფოსები დღეს მხოლოდ მედიას აღიქვამენ სუბიექტად. XX საუკუნის მნიშვნელოვან გარდატეხათა (ონტოლოგიური, ლინგვისტური, სახე-ხატობრივი) კონტექსტში გაანალიზებულია მედიური გარდატეხის პროცესი, რომლიდანაც გამომდინარეობს მედიაფილოსოფიის საკვანძო თეზისი, რომ „ყველაფერი არის მედია“.

საკვანძო სიტყვები: მედიაფილოსოფია, ფილოსოფია, ახალი მედია, ახალი მედიატექნოლოგიები

შესავალი

ვალტერ ბენიამინი თავის ნაშრომში „ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ (1935-1936) საუბრობს იმაზე, თუ რა ემართება ხელოვნების ნაწარმოებს მისი მრავლობითი ტირაჟირების შემთხვევაში, რომ მხატვრული სახე-ხატები კარგავენ „აურას“, სისავსეს, მხატვრული გზავნილის სიმბოლურ სიღრმეს, ბანალურდებიან. მისივე ლოგიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიგიტალური რევოლუციის შემდეგ, ახალი მედიებით მიღებული უწყვეტი ინფორმაციის პირობებში, როდესაც ადამიანში ურიცხვი სახე-ხატი იჭრება, საინტერესოა გავანალიზოთ, რა გავლენას ახდენს იგი მასზე, როგორც ინდივიდზე, მის ცნობიერებაზე, ქცევაზე, და ზოგადად, სოციუმზე. ეს მრავლობითი დიგიტალური სახე-ხატები გვგზავნიან არა ნაწარმოებთან, არა სინამდვილესთან, ორიგინალთან, არამედ სხვა სახე-ხატთან გვამისამართებენ, რადგან დიგიტალურ სახე-ხატს არა აქვს რეფერენტი, იგი მოგონილია, თვითკმარია, „ასლის ასლია“ (ჟ. ბოდრიარი), რაც იმის საფუძველი ხდება, რომ ადამიანი კარგავს არა მხოლოდ ე.წ. აურას, არამედ თავის შინაგან სამყაროს, რადგან რეფერენტდაკარგული, ლოკალიზაციის წერტილის არმქონე სახე-ხატები ავსებენ ადამიანის შინაგან სამყაროს, ისინი ხდებიან აღქმის საფუძველი, ისინი ქმნიან ახალ მედიარეალობას. მედიაფილოსოფიის, როგორც ახალი დისციპლინის, ამოცანა ამ ცვლილებების ფილოსოფიური ანალიტიკაა, რომელიც იკვლევს მედიის გავლენათა სფეროებს, რომლისთვისაც იგი, როგორც

ახალი დისციპლინა, თავის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ აპარატს მოითხოვს. საერთაშორისო კვლევებს თუ გადავხედავთ, მედიაფილოსოფია ძალზედ აქტუალური დისციპლინაა, რომელიც ტრადიციული ფილოსოფიური საკითხების სრულიად ახალ გააზრებას გვთავაზობს, რაც ბევრ მედიაფილოსოფიურ ტერმინშიც ფორმულირდება (მაგ.: მედიაონტოლოგია, მედი-აესთეტიკა, მედიაეპისტომოლოგია, მედიარეალობა, მედიაკულტურა, მედი-აეკოლოგია და ა.შ.). მედიის პრობლემებთან დაკავშირებული ინტერესის სიგნალები სხვადასხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც იკვეთება, ასევე, ხელოვნებაშიც, პოლიტიკაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, რამაც განაპირობა მსოფლიო ფილოსოფიურ სივრცეში დასმულიყო მედიაფილოსოფიის, როგორც დისციპლინად ჩამოყალიბების აუცილებლობის საკითხი. მედიაფილოსოფიის, როგორც დისკურსის ცნება უკვე ვეღარ ითვალისწინებდა იმ საანალიზო სივრცეს, სადაც თითოეულ კონცეპტს თავისი სააზროვნო აპარატი და ფილოსოფიური ხელსაწყო ექნებოდა. ამიტომ, ევროპასა და ამერიკაში, ასევე რუსეთშიც, მედიაფილოსოფიას დისციპლინის სტატუსი მიენიჭა. საქართველოში ამ თვალსაზრისით, სწორედ ახლა დგას საკითხი.

ტერმინი მედიაფილოსოფია (გერმ. Medienphilosophie, ინგლ. Media Philosophy), პირველად, 1990იანი წლების დასაწყისში გერმანულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ კი, რუდოლფ ფიტცის წიგნში „მედიაფილოსოფია. მუსიკა, ენა და წერილი ფრიდრიხ ნიცშესთან“¹ გვხვდება. კვლევაში აღნიშნული სამი მედიის გაერთიანება, ამ ნიშანთა მეტაფიზიკურ-ნომინალურ მცნებებად ინვერსია, ფაქტობრივად, მედიაფილოსოფიის დაბადების თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამავე წელს, იურგენ ჰაბერმასმაც გამოიყენა აღნიშნული ტერმინი თავის წიგნში „ფაქტობრიობა და ფასეულობა“², სადაც „მედიაფილოსოფია“ ჯერ კიდევ სპეციალური ტერმინის სახით მოიხსენიება. მედიაფილოსოფიის ქვეშ ავტორი ორაზროვან შინაარსს დებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ მას-მედია. ამის შემდგომ, ორი წლის შემდეგ გამოდის მ. ტეილორის „იმაგოლოგია: მედიაფილოსოფია“³, სადაც ავტორი უკვე მედიაფილოსოფიის, როგორც თანამედროვე ფილოსოფიური დისკურსის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ სვამს საკითხს და ასევე, მსჯელობს მედიაფილოსოფიის ადგილისა და როლის შესახებ სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის. შემდგომი პერიოდის მედიაფილოსოფიის თემატიზაცია და კონცეპტუალიზაცია მიმდინარეობს ნორბერტ ბოლცის, ფრიდრიხ კიტლერის, მათიას ფოგელის, ლორენცო ენგელის,

¹ Fietz R. Medienphilosophie. Musik, Sprache und Schrift bei Friedrich Nietzsche. Würzburg: Königshausen & Neumann, 1992.

² Habermas J. Faktizität und Geltung. Beiträge zur Diskurstheorie des Rechts und des demokratischen Rechtsstaats. Fr. a.M.: Suhrkamp, 1992.

³ Taylor M., Saarinen E. Imagologies: Media Philosophy. L.; N.Y.: Routledge, 1994.

ვერნერ კონიცერას, სიბილა კრემერის, მაიკ სანტბოტეს, რიხარდ მარგრავიტერის, დიტერ მერშის, სტეფან მიუნკერის, ალექსანდრ როსლერის, გეორგ ტოლენის, ლამბერტ ვიზინგის საპროგრამო ნაშრომებში. მითითებული ავტორების კონცეფციათა დეტალური ანალიზი თავის მკვლევარს ელის.

ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად, მედიაფილოსოფიის თემატიკა და მისი გაფორმება მოხდა როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური დისციპლინის. იოზეფ რაუშერი წიგნის შესავალში, „ინტერდისციპლინური მედიაფილოსოფიის პერსპექტივები“, ყურადღებას ამახვილებს პრობლემაზე. მისი მოსაზრებით, თავად მედიაფილოსოფიის ცნება თავდაპირველად არ ჩამოყალიბებულა როგორც ცალკე დისციპლინა, ის მიღებული იყო, როგორც მედიის შესახებ სხვადასხვა რეფლექსიათა მეტა-ცნება. მედია მედიაფილოსოფიაში განიხილებოდა, როგორც მატერიალური საგანი ან განიხილებოდა, როგორც დისკურსი მედიის შესახებ. ისტორიულად კი, ეს ჟ. დერიდასა და მ. ფუკოს უკავშირდება. მათ ფილოსოფიაში ცნება „მედია“ ნაკლებად არის მოცემული, თუმცა ფილოსოფიური რეფლექსიის ცენტრშია მედიალობა, როგორც საკითხის ტრადიციულ, ფილოსოფიურ ჭრილში უფრო კონკრეტულად კი, გნოსეოლოგიურ, ონტოლოგიურ, ეთიკურ ან ანთროპოლოგიურ სიბრტყეებში მედიალობის გააზრება. ამიტომაც, პირველ აუთენტურ მედიაფილოსოფიურ მცდელობებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ურთიერთმიმართებამედიალობასა და მედიას შორის. მედიაფილოსოფიის, როგორც ახალი ფილოსოფიური დისციპლინის, საკითხებს ეხება ლამბერტ ვიზინგი და გვთავაზობს ექვს პასუხს შეკითხვაზე, თუ რა არის მედიაფილოსოფია.¹ მისი მოსაზრებითაც, მედიაფილოსოფია განიხილება, როგორც ახალ მედიასთან და თანამედროვე მედიასამყაროსთან დაკავშირებული ცნებათა და კონცეპტუალურ პრობლემათა რეფლექსია, ასევე, როგორც ფილოსოფიის განვითარების კანონზომიერი ეტაპი, რომელიც XX საუკუნის კულტურაში მომხდარ მნიშვნელოვან გარდატეხებზე (ლინგვისტიკური, სახე-ხატობრივი გარდატეხა, შემდეგ, მედიური გარდატეხა) რეაგირებს. შტეფან მიუნკერის თვალსაზრისით კი, მედიაფილოსოფიის, როგორც დისციპლინის, არსებობა აუცილებელია იმ პირობებში, როდესაც ჩვენს გარესამყაროს ელექტრონული და ციფრული მედია წარმოადგენს;² მედიაფილოსოფიის საქმე კი არის რეფლექსია კონცეპტუალურ პრობლემებზე, რომლებიც ელექტრონული და ციფრული მედიის მოხმარებისა და

¹ ვიზინგი Wiesing L. Was ist Medienphilosophie? Wiesing L. Was ist Medienphilosophie? // Information Philosophie. 2008. № 3

² მიუნკერი Мюнкер 2003 – Münker S. After the Medial Turn. Sieben Thesen zur Medienphilosophie / Medienphilosophie. Beiträge zur Klärung eines Begriffs / Hrsg. Münker S., Roesler A., Sandbothe M. Frankfurt am Main, 2003.

გადამუშავების შედეგად აღმოცენდება (იქვე).

მედიაფილოსოფიის მედიის დისკურსში დაკავშირებულ კვლევებს ალექსანდრ როსლერთანაც შევხვდებით. მისი თვალთახედვით, მედიაფილოსოფია არის ანალიზი მედიაზე, მის ზემოქმედებაზე და იმ თეორიათა სტატუსზე, რომლებიც აღნიშნულ ცნებას გამოიყენებენ.¹ მისი მოსაზრებით, მედიაფილოსოფია აღმოცენდება ცნების „მედია“ პირველივე გააზრებებიდან, რომელსაც მკვლევარი ჯერ კიდევ არისტოტელესთან ხედავს. რაიჰარდტ მარგრაიტერის, ელენა ესპოზიტოს, ლორენცა ენგელის ინტენციათა თანახმად, მედიაფილოსოფია მედიის ფილოსოფიური პრაქტიკაა ანუ იგი მოწოდებულია, არა მხოლოდ დაკავდეს მედიის პრობლემებით, არამედ იგი უნდა განხორციელდეს მედიის მეშვეობით, გამოიყენოს მედიები, მოიპოვოს აუდიტორია, რათა ორენტირები მისცეს სპეციალისტებს.

მედიაფილოსოფიაში კვლევების უმრავლესობა გერმანელ ავტორებს ეკუთვნით, თუმცა შეგვიძლია მედიაფილოსოფიის რუსულ დისკურსზეც ვისაუბროთ. 1990–იანი წლების ბოლოს და 2000–იანების დასაწყისში რუსეთში მედიის პრობლემებს ფილოსოფიად არავინ თვლიდა, მას უფრო სოციოლოგიას, პოლიტოლოგიასა და კულტუროლოგიას აკუთვნებდნენ. სწორედ სოციოლოგებმა და კულტუროლოგებმა მიიტანეს მედიაფილოსოფიის პრობლემატიკა მკითხველთან. სწორედ მათი მეშვეობით შევიდა დასავლელი ავტორები და კონცეფციები, (განსაკუთრებით მ. მაკლუენისა და ნ. ლუმანის) რუსეთში ამ, ე.წ. „პირველი ეტაპის“, შეჯამებად კი, შეგვიძლია ე. იუდინას წიგნი „მედიასივრცე, როგორც კულტურული და სოციალური სისტემა“ მივიჩნიოთ [იუდინა, ლ. 2005], ასევე, აღსანიშნავია კოლექტიური მონოგრაფია „მას-მედია ინფორმაციული საზოგადოების კულტურაში“ [ჩერნიკოვა, მოლჩანოვა, კლიმოვა 2007]. 2000–იან წლებში რუსეთში მედიაზე ინტერესის ზრდა შეინიშნება და შეიძლება ამას ერთგვარი „მეორე ტალღა“ კი ვუწოდოთ, რადგან შესრულდა წიგნების თარგმანები და იყო აუდიტორიის მზაობაც. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მ. მაკლუენის, ნ. ბოლცის, პ. ვაიმელის, პ. ვირლიოს, კასტელსას, ფ. კიტლერის, უ. მიტჩელის, ვ. ფლუსერის სახელები. დაიწერა მაკლუენისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფიები [სპირინი, პოპონოვი 2009]. აქტუალური კვლევების გააზრების ფონზე უკვე 2000–იანი წლების შუა პერიოდში მედიაფილოსოფიის, როგორც დისციპლინის საკითხიც დაისვა, რომლის საილუსტრაციოდ ფორტუნატოვის მონოგრაფია „მედიარეალობა: ტექნოპუმანიზმის ტყვეობაში“ [ფორტუნატოვი, 2009] შეგვიძლია მივჩნიოთ. აგრეთვე, საყურადღებოდ უნდა ჩავთვალოთ სტატიათა კრებული სახელწოდებით „საბჭოთა ძალაუფლება და მედია“ [გუნთერ

¹ როსლერი 2003 – Roesler A. Medienphilosophie und Zeichentheorie // Medienphilosophie. Beiträge zur Klärung eines Begriffs / Hrsg. Münker S., Roesler A., Sandbothe M. Frankfurt am Main, 2003.

ჰენსგენი (რედ.) 2005]. მედიაფილოსოფიის შემდეგი „ტალღა“ რუსეთში უკვე აღარ განიხილავს მედიის სხვადასხვა სახეობებს ცალ-ცალკე, არამედ მისი ინტერესის სფერო მთლიანად მედიის ფენომენია. იგი, ამასთანავე, ამტკიცებს მის ფილოსოფიურ სტატუსს. მედიარეალობის ელემენტების კონცეპტუალურ განხილვასა და აღნიშნულ ელემენტებს შორის აზრობრივი კავშირების შესახებ ანალიზს ეძღვნება წიგნი, სახელწოდებით, „გორგონას თანავარსკვლავედი. ესე მედიას ეფექტების შესახებ“ [ივანენკო, კორეცკაია, სავენკოვა 2012]. ასევე, მნიშვნელოვანია, აღნიშნოს ვ. სავჩუკის „მედიაფილოსოფია. რეალობის შეტევა“ [სავჩუკი 2013]. აღნიშნული მონოგრაფია შეიძლება რუსეთში პირველ მასშტაბურ ფილოსოფიურ გამოკვლევადაც კი მივიჩნიოთ, რომელიც კონკრეტულად მედიაფილოსოფიის პრობლემატიკას ეძღვნება. ავტორი თვლის, რომ კონცეპტი „მედია“ იმ რეალობის ადეკვატურ აღწერაშია, რომელიც წინარე კონცეპტებით უკვე მოუხეთებელია, იგი არც Dasein-ის ეგისტენციურ-ფილოსოფიურ ვერსიას, არც ენის ლოგიკას შეუძლია ახსნას, არ შეუძლია განმარტოს რეალობა, რომელიც ახალი მედიის საშუალებით ფორმირდება. თეზისი, რომ ყველაფერი არის მედია, მიემართება მეორე კონცეპტს, რომ მედია არის ჩვენს შიგნით.¹ რაც შეეხება, საერთაშორისო მასშტაბით არსებულ მედიაფილოსოფიის კერებს, ესენი გახლავთ: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ისტორიული ანთროპოლოგიის დისციპლინათშორისი ცენტრი, კულტურის სემიოტიკისა და მედიის სან პაულოს კათოლიკური უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი, ხელოვნებისა და მედიის ინსტიტუტი (პოსტდამი, გერმანია), მასობრივი კომუნიკაციისა და მედიაკვლევების ინსტიტუტი (ციურიხი, შვეიცარია), მედიაკომუნიკაციებისა და ვიზუალური კვლევების ცენტრი (ხარკოვი, უკრაინა).

მედიაფილოსოფიის, როგორც დისციპლინის, ჩამოყალიბების ძირითადი იმპულსები მედიის ფილოსოფიურ გააზრებაში მომხდარი კონცეპტუალური ბირთვის ცვლილება და აქედან გამომდინარე, ამოსავალი თეზისის _ ჩვენ მოვიხმართ მედიას, თეზისით _ მედია მოგვიხმარს ჩვენ (ვ. სავჩუკისეული ფორმულირება) შეცვლაა, რადგან მედია ჩვენშია და განსაზღვრავს ადამიანის ქცევის სტრატეგიას, სურვილებს, მგრძნობელობასა და თუ მზერის კონსტრუქციასაც კი. ამიტომ, ძირითადი საკითხი, რომელიც მედიაფილოსოფიის, როგორც დისციპლინის, მიმართ დადგა, ახალ მედიატექნოლოგიებთან ერთად აღმოცენებული ახალი მედიების გავლენათა ანალიზია. მედიაფილოსოფიის ამოცანაა, გაანალიზდეს მედიატექნოლოგიების ზემოქმედების შედაგად ადამიანში მომხდარი ცვლილებები, ის, თუ რამდენად თავისუფალია ადამიანი და რით არის იგი შეზღუდული. მართალია, ინდივიდის თავისუფლების საკითხი ტრადიციული ფილოსოფიური საკითხია, თუმცა მედიაფილოსოფია თანამედროვე ადამიანს ახალი ტრანსფორმირებული რეალობის დისკურსში

¹ Савчук В. В. Медиафилософия. Приступ реальности. — СПб.: Издательство РХГА, 2013.

შეისწავლის და გულისხმობს ინდივიდის თავისუფლების სრულიად სხვა ასპექტსა და განზომილებას. აქედან გამომდინარე, მედიაფილოსოფიის მსჯელობის არელშია მედიარეალობასთან დაკავშირებული კრიტიკული დისკურსისა და ნეგატიური შედეგების კვლევა, თუმცა მედიაფილოსოფია განიხილავს მედიარეალობის პოზიტიურ თეზისებსაც.

ნათელია, რომ ყოველი ახალი ტექნოლოგია ახალი მომხმარებლის ტიპს ანუ ახალ სუბიექტს წარმოშობს, რაც ახალი ფილოსოფიური პლატფორმების წარმოშობის წინაპირობაა. ამ შემთხვევაში მედია, ერთის მხრივ, გამოდის, როგორც კომუნიკაციის საშუალება, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდთან, ხოლო მეორეს მხრივ, იგი ზემოქმედებს სოციუმზე, ადამიანის ცნობიერებასა და სურვილის სტურქტურაზეც კი. მაგალითად, ვ.ფლუსერისეულ ახალი მედიის ინტერპრეტაციაში სუბიექტ-ობიექტის ოპოზიციის სიმწყობრე უკვე დარღვეულია, რაც წინაპირობა ხდება ახალი მედიასუბიექტის და ზოგადად, ახალი ტიპის დისკურსის გაჩენისა, რაც მედიური გარდატეხის (Medial Turn) შემდგომ საფეხურზე ნათლად იკითხება. აქედან გამომდინარე, არა თავად მედიაა მედიაფილოსოფიის საგანი, არამედ ბუნების, საზოგადოებისა და აღქმის მეთოდი, ხოლო ტრანსფორმირებული რეალობის აღმქმელი სუბიექტი, მ. სანდბოტეს ტერმინით, მეტა-მედიუმი, რომელიც ყოველწუთიერად „იჭრება“ (იგულისხმება ჭრილობა) მედიის მასში შემოსვლით. ასე რომ, მეტასუბიექტი ანუ კომუნიკანტიც მედიაფილოსოფიის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია. კომუნიკანტები ის სუბიექტები არიან, რომლებიც კომუნიკაციის პროცესში ერთვებიან. კომუნიკანტი ინფორმაციის მომხმარებელია, რომელიც ნარკოტიკული პროგრესიით ხდება ინფორმაციაზედამოკიდებული. საინტერესოა, რომ, რაც უფრო აქტიურია ინფორმაციის გადამცემი (მაგ. ეკრანი), მით უფრო პასიურია ინფორმაციის მიმღები (ინდივიდი). ტელევიზია (ეკრანი) ცვლის რეალობას. ადამიანი საარსებოდ გადადის ვიზუალურ, გამოგონილ რეალობაში ანუ ხდება კომუნიკანტი, რაც, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს იმას, რომ იგი კრიტიკის გარეშე მოიხმარს ინფორმაციას, ინახავს და გადასცემს მას. საბოლოო ჯამში, კომუნიკანტი ინერტული სხეული ხდება, რომელსაც სრულად ან ნაწილობრივ ატროფირებული აქვს ინდივიდუალიზმის ნიშნები. მომხმარებლის ახალი ტიპის ანუ კომუნიკანტის არსებობა კი, მედიაფილოსოფიაში საჭირო და მნიშვნელოვან საკითხს სვამს – თუ როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ინფორმაციის უწყვეტ გადამუშავებას, რომელიც ყოველდღიურად გვაცდუნებს სენსაციათა სულ უფრო მაღალი მაჩვენებლით, ფაქტის მოწოდების სისწრაფით? როცა მაჩვენებელი დუდილის ტემპერატურას აღწევს, ინდივიდი უკვე ინდიფერენტულია გარშემომყოფ რეალობასთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის ანლიზს მედიაფილოსოფია მედიაგანათლებასთან ინტერდისციპლინური მიდგომებით ცდილობს, რადგან

მექანიზმი, რომელმაც უნდა დაიცვას ინდივიდი, სწორედ მედიაფილოსოფიისა და მის მიერ შემოთავაზებული ანალიზური მეთოდებით უნდა ჩამოყალიბდეს.

ასე რომ, მსოფლიო მედიაფილოსოფია, როგორც დისციპლინა, დღეს მედიის რევოლუციის თანმდევ გვერდით ეფექტებს იკვლევს. გვერდით ეფექტებთან კი, უმრავლესობა ახალი ტიპის ძალადობრივ ფორმებს ავლენს. ცნობილია, რომ ათასწლეულების განმავლობაში, ძალადობის ფორმად ადამიანის მუშაობა ითვლებოდა, რაც ინდივიდის მიერ, მუშაობის შედეგად, დამატებითი მატერიალური პროდუქტის შექმნას გულისხმობდა. თანამედროვე ძალადობის ფორმების ანალიზისთვის მედიაფილოსოფოსებს, მაგალითად, პ. სლოტერდაიკს და დ. კამპერს, ტერმინი «სედირება» (ტერმინს, გარკვეულწილად, სედატიური საშუალების ალუზიასთან მიყვავართ) შემოაქვთ,¹ რაც გულისხმობს ძალადობის თანამედროვე ფორმას – საოფისე სამუშაოს ფენომენს. (იგულისხმება საოფისე სამუშაო რუტინა, როდესაც ადამიანი იძულებულია იჯდეს მშვიდად). მედიაფილოსოფიის, როგორც დისციპლინის, ამოცანაა, შეიმუშავოს დამცავი მექანიზმები, აქცენტირება მოახდინოს ცოდნაზე, რეფლექსიაზე, რათა ინდივიდი არარეფლექსიური მდგომარეობიდან რეფლექსიურში გადავიდეს.

დასკვნა

ინდივიდი დღეს იმ რეალობაში აღმოჩნდა, როდესაც კულტურული არტეფაქტების ველში ყველა ცნებას უკვე დაეთვის თავსართი „მედია“, მაგალითად – მედიასუბიექტი, მედიარეალობა, მედიაცენტრი მედიაკონფერენცია, მედიოსფერო და ა.შ. როგორც წესი, მედიაკომუნიკაციის სპეციალისტები თვლიან, რომ მედია ეს არის ის, რაც დაკავშირებულია ელექტრონულ მედიასთან, ეკრანულ ტექნოლოგიებთან, ელექტრონულ შუამავალთან. მ. მაკლუენის თეზისის «Medium is the message» თანახმად კი, შეტყობინების საშუალება თავად არის შეტყობინება, რაც გულისმობს იმას, რომ მედიის გაგება მხოლოდ მაშინ არის სრულყოფილი, როდესაც მისი გააზრება ხდება, როგორც ტექნიკური მოწყობილობისა. მედიაფილოსოფია კი, მედიის შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს: მედია არა მხოლოდ შეტყობინებაა, არამედ ეს არის შეტყობინება ჩვენი კომუნიკაციისა ტექნიკასთან, რომელიც გვცვლის. მედიაფილოსოფია აანალიზებს არა იმას, თუ რას გვეუბნება და გვიჩვენებს მედია, არამედ იმას, თუ რას ფარავს იგი. რაც უფრო სახიერია ინფორმაციის ეს მატარებელი, მაგალითად ეკრანი, მით უფრო სრულყოფილად ფარავს, ნიღბავს მას. აქედან გამომდინარეა დასკვნაც, რომ, ვინც აგზავნის ინფორმაციას, ის ფლობს ძალაუფლებას ინფორმაციულ ნაკადებზე. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ჟ. ბოდრიარის მოსაზრება, რომ თანამედროვე ტექნიკა მხოლოდ იმ პირობით სთავაზობს ინდივიდს დროის ეკონომიას, რომ იგივე ინდივიდი „ეკრანებს

¹ კამპერი, დ. Тело. Насилие. Боль: Сборник статей. 2010.

ჭიპლართ მიაბას“. იგი ეკრანს განიხილავს, როგორც მოწყობილობას, რომელიც გვიჩვენებს არა ნამდვილად მომხდარ ამბავს, არამედ მითოლოგიზებულს თავად მედიის მიერ. მედიაფილოსოფია თანამედროვე ადამიანს საშუალებას აძლევს, რეალობის ტრანსფორმაციასთან ერთად გააზრებულად შეიცვალოს და გააანალიზოს თავად ტრანსფორმაციის პროცესი. ასე რომ, მედიაფილოსოფიის ამოცანაა, გახსნას ინფორმაციული ლობიზმის მიზნები, მოახდინოს ინფორმაციის „თავისუფალი“ მიმოქცევის მარკეტინგულ ტექნოლოგიების სისტემათა დეკოდირება, განასხვავოს ძალაუფლებრივად მნიშვნელოვანი, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციისგან, დაინახოს ის ველი, სადაც მხოლოდ „ობიექტური“ ინფორმაცია აღწევს, სადაც მხოლოდ სუფთა სახით არის მოცემული „ფაქტები“ და „არგუმენტები.“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mike Sandbothe, Pragmatic Media Philosophy (Foundations of a New Discipline in the Internet Age), Online Publication: www.sandbothe.net 2005.
2. Marshall McLuhan, The Medium is the Message, Fro Understanding Media: The Extensions of Man by Marshall McLuhan ©1964

*Sophio Kvantaliani, associate professor
Georgian Technical University*

Media Philosophy - New Discourse or New Discipline?

Summary

The article introduces mediaphilosophy as a new discipline. It shows contemporary context of mediaphilosophy, discussing the irreversibility of the mediareality's existence and presence. The article sharpens the focus on the key to transformation which has taken place in the 20th–21st centuries, wherein media activities have themselves become the object, rather than the objective reporter. The media is not a subject that speaks, sees, perceives, but rather the speech speaks, the image sees, while the media is perceived by the subject. Following the logic of the important cultural “shifts” of the 20th century (ontological, linguistic, iconic. Media is shift from which the key theory of mediaphilosophy arises — may be summed as “everything is media”.

Key words: Media philosophy, Philosophy, New media, New media technologies.

*წიკლაური მარიამ, სტუ-ს დოქტორანტი
ჯანელიძე გოდერძი სტუ. პროფესორი
ბერაია ნიკოლოზ სტუ-ს მაგისტრანტი
ჯანელიძე არჩილი, სტუ. ტმკ. აკად. დოქტორი*

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია. ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში.

რეზიუმე

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია კრიმინალისტიკური ტექნიკის მრავალფაქტორიანი კვლევითი სისტემაა, რომელიც შეისწავლის და ადგენს საკვლევი ობიექტის კვლევის ხერხებსა და მეთოდებს. საგამომიებო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფოტოგრაფირების მეთოდს. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის მეთოდი არა მარტო აფიქსირებს ამა თუ მოვლენას, არამედ მეტ ნაკლებად აყალიბებს და განსაზღვრავს მომხდარი მოვლენის არსს. ფოტოგრაფირება ინფორმაციის დაფიქსირების, გადმოცემის, აღქმის ხელოვნებაა ისევე, როგორც გრაფიკა მეტყველების გრაფიკული ნიშნებით გადმოცემის ხელოვნებაა. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია კრიმინალისტიკური ტექნიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც კრიმინალისტიკური-ტექნიკური ექსპერტიზის კვლევის საფუძველს წარმოადგენს

საკვანძო სიტყვები: კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, შემთხვევის ადგილი.



შესავალი

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, როგორც მტკიცებულებათა ფიქსაციის საფუძველი წარმოადგენს შემთხვევის ადგილის მტკიცებულებათა ფიქსაციის ერთ-ერთ ხერხს. კვლევათა სისტემა ითვალისწინებს შემთხვევის ადგილის

ორიენტირებული, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური ფორმით ჩატარებას. ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ინსცენირებული-იმიტაციური ფოტოგადაღება. სიტუაციური აღწერის მეშვეობით ვაღწევთ ავაგოთ სიუჟეტით დაკავშირებული ლოგიკური თანმიმდევრობა, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს და ყალიბდება დასკვნების სახით. აქ შეიძლება გამოვიყენოთ დიაფილმები, სურათების და დიაგრამების ერთობლიობა, რაც საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ წარმოვაჩინოთ ის მოქმედება და მოვლენები რაც საჭიროა საკვლევი ობიექტის შესაცნობად..



ძირითადი ნაწილი

როგორც საგამომიებო პრაქტიკა გვიჩვენებს ფოტოგრაფიული მეთოდებით გარეხელშემშლელი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე საკვლევი ობიექტების მდგრადობის განსაზღვრას უდიდესი ა. გრაფოლოგია საკვლევი ობიექტის ბუნების შემსწავლელი ინსტრუმენტია, იდეოგრაფია და პიქტოგრაფია ნახატებით გადმოცემული ინფორმაციის გამოხატული ფორმაა. გრაფიკული იდენტიფიციურობა ემყარება საკვლევი ობიექტის ინფორმაციის კოდირების არსსა და ხერხებს. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ოთხი სახის ფოტოგადაღება, კერძოდ: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და მასშტაბურ-დეტალური. ამ სახის ფოტოგადაღებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფოტოსურათზე შემთხვევის ადგილი და იქ არსებული საგნები, ობიექტები, მათი ურთიერთგანლაგება და საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარკვეული დეტალები სხვადასხვა მოცულობით აღიბეჭდება, კერძოდ:



1. საორიენტაციო ფოტოგადაღება - ამ სახის ფოტოგადაღების დროს, შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება ხდება შემთხვევის ადგილის გარემომცველ გარემოსთან ერთად. ამ შემთხვევაში ფოტოაპარატი საკმაოდ შორი მანძილით უნდა იყოს დაშორებული გადასაღებ ადგილს.

2. მიმოხილვით ფოტოგადაღება - ამ სახის ფოტოგადაღების დროს შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება წარმოებს უშუალოდ შემთხვევის ადგილის ფართო გარემომცველი გარემოებების გარეშე. საორიენტაციო ფოტოგადაღებასთან შედარებით მიმოხილვითი ფოტოგადაღების დროს შემთხვევის ადგილსა და ფოტობიექტივს შორის არსებული მანძლი შედარებით მცირეა.



3. საკვანძო სახის ფოტოგადაღება - საკვანძო სახის ფოტოგადაღებით ხდება შემთხვევის ადგილის ცენტრალური ნაწილის ან მისი რომელიმე მნიშვნელოვან-

ნი უბნის ან ობიექტის უშუალო ფოტოგადაღება გარემომცველი გარემოებების გარეშე.

4. მასშტაბურ-დეტალური სახის ფოტოგადაღება - ამ სახის ფოტოგადაღება ხდება უშუალოდ გადასაღებ საგანზე არსებული კვალის ფოტოგადაღება მის გვერდით, პარალელურად მოთავსებული მასშტაბური დანაყოფების მქონე საგანთან ერთად.



შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, როცა აღმოჩენილია ადამიანის გვამი, ზემოთ აღნიშნული ოთხი სახის ფოტოგადაღების გარდა საჭიროა მოხდეს გვამის ჯვარედინი ფოტოგადაღება ოთხივე მხრიდან ისეთნაირად, რომ ადგილი არ ჰქონდეს გვამის ფოტოგადაღებას პირდაპირ თავისა და ფეხების მხრიდან.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ზოგჯერ ასევე საჭიროა ჩატარდეს პანორამული, მასშტაბური, სიღრმითი მასშტაბური და მსხვილ-მასშტაბური ფოტოგადაღებები.

დასკვნა

ვიდეო და ფოტოგრაფიული გადაღება, როგორც მტკიცებულებათა ფიქსაციის საფუძველი დაფუძნებულია კრიმინალისტიკური ტექნიკის თანამედროვე უსაფრთხოების სისტემებზე აგებული სხვადასხვა მოდიფიკაციის – საფრთხის გამოსახულების პროექტირების სისტემებით. ექსპერტული სისტემა – ესაა კვლევათა სისტემაში ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; ვარიანტისა, რომელზედაც ფაქტიურად დამოკიდებულია კვლევის შედეგი – უსაფრთხოების სისტემების მოდიფიცირების პროგნოზირება. მოდელირების ობიექტი წარმოდგება როგორც ელემენტარული პროცესებისა და მოვლენების ერთობლიობა, ხოლო პროცესის მათემატიკური მოდელი წარმოდგება როგორც ამ პროცესის აღმწერი გამაერთიანებელი განტოლებათა სისტემა. ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ ექსპერტიზის ჩატარების პროცესში გამოყენებულ ხერხებსა და მეთოდებს ეწოდება კვლევის ტექნოლოგიური ციკლი – ესაა მთლიანი

ერთეული საკვლევი ობიექტისა, რომელიც შედგება ქვეობიექტებისაგან, ექვემდებარებიან კონტროლს და იცვლებიან სტრუქტურულად. თუ რომელიმე ფაქტორი არ მონაწილეობს პროცესში, ან მცირედ ზემოქმედებს, ის უნდა იყოს უგულვეყოფილი შეგნებულად და არა როგორც შემთხვევითი ცდომილება.

ლიტერატურა:

1. კრიმინალისტიკა - შოთა ფაფიაშვილი. თბილისი 2010.
2. International Conference Proceedings “Verbal Communication Technologies-5” TBILISI 2016
3. კრიმინალისტიკა. ნინო გოგნიაშვილი თბილისი 2012

*Mariam Tsiklauri
Goderdzi Janelidze
Nikoloz Beraia
Archil Janelidze*

Forensic Photography – Crime Scene Photography

Summary

Forensic photography, also referred to as crime scene photography, is an activity that records the initial appearance of the crime scene and physical evidence, in order to provide a permanent record for the [courts](#). Crime scene photography differs from other variations of photography because crime scene photographers usually have a very specific purpose for capturing each image.

Crime scenes can be major sources of physical evidence that is used to associate or link suspects to scenes, victims to scenes, and suspects to victims.

სამშვიდობო ჟურნალისტიკის ასპექტები ქართულ-ოსურ კონფლიქტში (1991-1999 წწ.)

რეზიუმე

ცნობილი ფაქტია, რომ მსოფლიოში როგორც ყველა ომის დროს ხდება ხოლმე, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროსაც ჟურნალისტები იქცნენ მხარეებად; ამის მიუხედავად, შიდა ქართლელი ჟურნალისტები მაღალპროფესიულ დონეზე აშუქებდნენ მოვლენებს და არასდროს გამოდიოდნენ ადამიანური ღირებულებების ჩარჩოებიდან.

საკვანძო სიტყვები: ეთნოკონფლიქტი, დევნილები, შიდა ქართლი, ქართულ-ოსური კონფლიქტი, მედია, სამშვიდობო ჟურნალისტიკა.

შესავალი

თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას ლაიტმოტივად გასდევს შეიარაღებული კონფლიქტების თემა.

ეთნოკონფლიქტი, ზოგადად, ყველა ქვეყანაში და ყველა ეპოქაში შეიძლება გამწვავდეს, რადგან მისი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა შეუძლებელია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალ რეალობას სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ ქართველი ჟურნალისტები. მძლავრი საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა იმპერიაში შემავალ რესპუბლიკებს არ აძლევდა საშუალებას განევითარებინათ თავიანთი ჟურნალისტური სკოლა, ან მსოფლიოს წამ-ყვან ქვეყნებში აემალლებინათ კვალიფიკაცია. ასე იყო საქართველოშიც, სადაც არც შესაბამისი ლიტერატურა იყო ხელმისაწვდომი.

ძირითადი ნაწილი

რეგიონული გაზეთი „შიდა ქართლი“, რომელიც 1991 წლის 27 ივნისიდან 200 წლამდე გამოდიოდა ქალაქ გორში, ვრცელდებოდა გორის, ქარელის რაიონებში, აგრეთვე თბილისსა და დევნილებით ჩასახლებულ ყველა ობიექტში, გამოდიოდა თვეში 2-ჯერ და იყიდებოდა პრესის ჯიხურებში.

„შიდა ქართლის“ რედაქცია დაკომპლექტებული იყო იმ ჟურნალისტებით, რომლებმაც 1991 წლის იანვარში იძულებით დატოვეს მშობლიური ქალაქი ცხინვალი და სხვა დევნილებით, თავი შეაფარეს სასტუმროებს და დროებით ჩასახლების ადგილებს. გაზეთის რედაქტორიც ცხინვალელი ჟურნალისტი, ვასილ საბანაძე გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების დასაწყისშივე ქართველი, ოსი და აფხა-

ზი ჟურნალისტები იქცნენ დაპირისპირებულ მხარეებად. მაგრამ ეს მთლად ასე არ ყოფილა, რადგან კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ გაზეთ „შიდა ქართლის“ ფურცლებზე ემოციური წერილების გვერდით ვხვდებით ისეთ ჯანმრთელ და მშვიდობისმყოფელ ჟურნალისტურ პოზიციებს, რომლებიც მომავალშიც საინტერესო სამეცნიერო კვლევის საგნად იქცევა ისტორიკოსებისათვის ფსიქოლოგებისა და ჟურნალისტებისათვის.

ცხინვალიდან დევნილი ქართველი ჟურნალისტებისათვის, ცხადია, ძნელი იყო თავშეკავებით და კორექტულად წერა იმ ძალადობის ფონზე, რომელშიც უხდებოდათ მოღვაწეობა და, აქედან გამომდინარე, „შიდა ქართლის“ ფურცლებზე გვხვდება სათაურები: „მგლები მგლობას არ იშლიან (N8, 10 აგვისტო, 1991 წელი), „არ გათეთრდების ყორანი“ (N8, 10 აგვისტო 1991), „ბანდიტები ისევ პარპაშობენ ცხინვალში“ (N10, 17. 08. 1991 წელი) და ასე შემდეგ... მაგრამ ამ სათაურების გვერდით, აშკარად იგრძნობა იმ ადამიანური ურთიერთობების აღდგენის სურვილი, რაც იყო ქართველებსა და ოსებს შორის მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებამდე.

„შიდა ქართლის“ 1991 წლის 27 ივნისის ნომერში სწორედ ამ ადამიანურ ურთიერთობებზეა საუბარი ჟურნალისტ ნიკოლოზ ოთინაშვილის წერილში, სადაც ვკითხულობთ:

„მიმდინარე წლის 6 ივნისს, სამხრობისას, სოფელ ქემერტში ატყდა ზარების რეკვა... შემფოთებული ადამიანებისაგან მალე გაირკვა, რომ სოფელ სვერისა და კასრანთ უბნის საბალახოდ გარეკილ პირუტყვს თავს დაეცნენ ოსები და ნახირი მოიტაცეს...“

11 ივნისს კი, ქემრეტელიძეთა ნახირში მოულოდნელად შემოვარდა ნაცრისფერი ხარი, რომელიც, რა თქმა უნდა, ზალდელებისა იყო (ზალდა – ოსებით დასახლებული სოფელი, ხაზგასმა ჩვენია – ლ. ჭ.)

მეორე დღეს ქემერტში ჩამოვიდა სოფელ ზალდის მკვიდრი, 80 წლის ილო გაბარაევი და შეშინებულმა თავისი პირუტყვი მოიკითხა. ქემერტის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ჟორა ოთინაშვილმა და მისმა ბიძაშვილმა, ზაურმა, მას სანაქებო მასპინძლობა გაუწიეს, მოასვენეს, შემდეგ კი „უაზით“ ზალდაში წაიყვანეს.

ილო გაბარაევი, ეტყობა, არ მოელოდა ამას და თვალცრემლიანი ლოცავდა ქემერტელებს, ქართველ ხალხს, მთელ საქართველოს და... ვიდაცის მისამართით, დაკოჟრილ ხელებს, მუქარით მალლა სწევდა.“

გაჩაღებული ომის დროს პრესაში გამოქვეყნებული ასეთი შემთხვევები არათუ აღრმავებს დაძაბულობის ესკალაციას, არამედ, პირიქით, ანელებს კიდევ მას და ამქვეყნიური ცხოვრების უმაღლეს ფასეულობაზე – ადამიანურ ურთიერთობებზე და ამ ურთიერთობების აღდგენის გზების ძიებაზე აფიქრებს მკითხველს, განაწყობს მას სიკეთისა და მშვიდობისაკენ.

მეტად საყურადღებოა ინფორმაცია სათაურით „ბიულეტენი „კონტაქტი 1“, სადაც ნათქვამია, რომ „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ფარგლებში არსებულმა საზოგადოებრივ-საინფორმაციო ცენტრმა გამოუშვა ქართველი და ოსი ჟურნალისტების პირველი ერთობლივი გამოცემა „ბიულეტენი N1“.

აღნიშნული ცენტრი კი დააფუძნა სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებშიც გაერთიანდნენ ჟურნალისტები და ფსიქოლოგები თბილისიდან, გორიდან, ცხინვალიდან.

ცენტრის მიზანია გადაილახოს 1991-92 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად არსებული საინფორმაციო ბლოკადა, ცენტრის პროექტი შეიმუშავეს ქართველმა და ოსმა ჟურნალისტებმა ერთ-ს ეგიდით გამართულ შეხვედრაზე¹.

მართალია, ამ პროექტმა ვერ მოიტანა ნანატრი მშვიდობა, მაგრამ ქართველი და ოსი ჟურნალისტების სწრაფვა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისაკენ უდავოდ გაბედული ნაბიჯია იმ დროს, როცა დამაბულობის ესკალაცია პიკს აღწევს, როცა ორ დაპირისპირებულ მხარეს უკვე მრავალი არგუმენტი მოეპოვება ერთმანეთის დასადანაშაულებლად...

ძალზე საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ დროს ცხინვალში, რას წერენ ოსი ჟურნალისტები და რა პოზიციაზეა მშრომელი ოსი ხალხი.

1999 წლის იანვარში „შიდა ქართლში“ დაიბეჭდა საკუთარი კორესპონდენტის ინფორმაცია სათაურით: „ან საქართველოსკენ წადით, ან – რუსეთისკენ“, სადაც ნათქვამია, რომ „ცხინვალის მომინაქრებული სადენების ქარხნის მუშები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის შენობასთან შეიკრიბნენ და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა მოითხოვეს.

პარლამენტის თავმჯდომარის ნაცვლად მისულ პარლამენტის წევრებს შეკრებილებმა ქარხნის ამოქმედება და საქართველოსკენ, ან რუსეთისკენ პოლიტიკური კურსის აღება მოსთხოვეს, რათა ხალხმა სიდატაკეს დააღწიოს თავი“².

დამაბულობისა და კონფლიქტის მიუხედავად, რეგიონის ქართული მედია დიდი სითბოთი და ძმური სიყვარულით იხსენებს ხელოვანების ოს წარმომადგენლებს. „შიდა ქართლის“ N 298-ში დაბეჭდილ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ცხინვალში ოსი მხატვრის, სერგო მინასოვის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. ქვე დიდი სითბოთია საუბარი, რომ სერგო მინასოვს დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია და მისი პედაგოგები მ. თოიძე, ს. ქობულაძე, ს. გაბაშვილი, ა. ქუთათელაძე და სხვა ცნობილი ქართველი მხატვრები იყვნენ.

¹ გაზეთი „შიდა ქართლი“, N299, იანვარი, 1999, გვ. 3.

² გაზეთი, „შიდა ქართლი“, N297.

დასკვნა

მიუხედავად თავსდატეხილი ტრაგედიისა, ქართველი ჟურნალისტები გამალებით ეძებენ გზას ოსებთან დასაახლოებლად და შემოსარიგებლად. ისინი კეთილსინდისიერებით, გონიერი მიდგომით და მაღალი პროფესიული ალლოთი გამოირჩევიან, თანაც, მართალია, თავიანთი მცდელობის მიუხედავად, ვერ აღკვეთეს დაპირისპირება, მაგრამ ხელი არ შეუწყვიათ მისი გაღვივებისათვის.

ძალზე უთანასწორო პირობებში, მძლავრი იმპერიული პროპაგანდისტული მანქანის ზეწოლის ქვეს მათ პირნათლად მოიხადეს თავიანთი პროფესიული ვალი, მიუხედავად გამოუცდელობისა, ისინი ფორსმაჟორულ სიტუაციებში არ დაბნეულან და მხედველობის არედან არ გამორჩენიანათ უმთავრესი ადამიანური ფასეულობანი, ხოლო რეგიონულ პრესაში დაბეჭდილი მწვავე წერილები გამოწვეულია იმ შეურიგებელი ფაქტების და ქმედების გამო, რასაც მიმართავდნენ არაკეთილმოსურნე პირები ქართველი და ოსი ხალხის გასათიშად.

წერილში მოყვანილი ფაქტები კი ცხადად მოწმობს, რომ მშრომელი, პატიოსანი და მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ეს ომი ერთნაირად შემაწუხებელი, დამასუსტებელი და მიუღებელი იყო.

გამოყენებული წყარო:

1. გაზეთი „შიდა ქართლი“, N1, 27.06.1991;
2. გაზეთი „შიდა ქართლი“, N8, 10.08.1991;
3. გაზეთი „შიდა ქართლი“, N10, 17.08.1991;
4. გაზეთი „შიდა ქართლი“, N297;

*ლიანა ჩიგლაძე, დოქორანტი
Грузинский Технический Университет*

Аспекты мирной журналистики грузино-осетинском конфликте

Резюме

Во время грузино-осетинского конфликта журналисты тоже стали соперниками. Несмотря на это, журналисты шиды картлинского региона на высокопрофессиональном уровне осветили происходившие события и никогда не выходили за рамка человеческих ценностей.

მედიაპლურალიზმი და მისი როლი ქართული მედიის განვითარებაში

რეზიუმე

უკვე რამდენიმე წელია, რაც საქართველოში მედიაგარემოს შესახებ საზოგადოებაში გაჩენილი კრიტიკული მოსაზრებების საპასუხოდ ხშირად ისმის განცხადებები ქვეყანაში არსებულ მედიაპლურალიზმის შესახებ, რომელიც 2015 წელს, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ განვითარდა. სწორედ ამ გარემოებას მიიჩნევენ მთავარ არგუმენტად საქართველოში ჯანსაღი მედიაგარემოს არსებობის შესახებ დებატებში. რა არის მედიაპლურალიზმი და რა განაპირობებს მის არსებობას ქვეყანაში? ამ კითხვებზე პასუხი კომპლექსურია და რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. უპირველეს ყოვლისა ეს მრავალფეროვანი მედიის არსებობას ნიშნავს, რაც ასევე გულისხმობს მათ რეიტინგსა და ფინანსურ მხარეს. მედიაპლურალიზმის არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ, როცა ქვეყანაში სტაბილური და ფინანსურად ძლიერი მედიასაშუალებები არსებობს, რომლებიც მრავალფეროვან კონტენტს სთავაზობენ მკითხველს/მსმენელს/მაყურებელს.

საკვანძო სიტყვები: მედიაპლურალიზმი, ტელეკომპანიები, სატელევიზიო არხი, მაუწყებელი

შესავალი

ტერმინი **პლურალიზმი** ნიშნავს განსხვავებული აზრების, მსოფლმხედველობების, ცხოვრების წესის, ინტერესების თანაარსებობას. ყველა ეს კომპონენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საუბარია მედიაზე. მითუმეტეს, ქართულ მედიაზე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ასევე საქართველოში მედიის თავისუფლებას ეხებოდა, აღნიშნულია, რომ 2017 წელს ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო საზოგადოება შემფოთებას გამოთქვამდნენ მედიის პლურალიზმთან დაკავშირებით. ანგარიშის მიხედვით, დამოუკიდებელი მედია ყოველთვის აქტიური იყო და განსხვავებულ ხედვას წარმოაჩენდა. თუმცა, სამი ტელეკომპანიის – „იმედის“, „მაესტროსა“ და „GDS“-ის გაერთიანებამ, ამავდროულად „საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ხელმძღვანელობის შეცვლამ, მედიაპლურალიზმი შეამცირა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების და მსხვილი ჰოლდინგის შექმნის შემთხვევაში ტელეკომპანიები ხარჯების ოპტიმიზაციას ახდენენ და გამოთავისუფლებული ფინანსები შეუძლიათ კონტენტის განვითარებას მოახმარონ.

მედიაპლურალიზმის პრობლემა საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას ბექდურ მედიაში. იმის გამო, რომ მკითხველი ვერ იღებს ინფორმაციას, რომლისმიწოდებასმასთანგამომცემელიცდილობს,რადგანმოქალაქეებისათვის რთულია გაზეთის ან ჟურნალის საფასურის გადაზდა. ხოლო გამომცემელს, თავის მხრივ, არ შეუძლია საკუთარი პროდუქტის გაიაფება.

ძირითადი ნაწილი

„კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ თავმჯდომარის, კახა ბექაურის შეფასებით, საქართველოში თავისუფლებისა და მედიაპლურალიზმის კუთხით იდეალური მდგომარეობაა. ამის შესახებ მან 2018 წლის 18 მარტს ტელეკომპანია “იმედის” ეთერში განაცხადა.

საკუთარი მოსაზრების დასტურად კ. ბექაურმა ის ფაქტი დაასახელა, რომ 2012 – 2017 წწ. ქვეყანაში ტელევიზიების რაოდენობა გაორმაგდა (მონაცემებში იგულისხმება საკაბელო, თანამგზავრული და ღია საეთერო მაუწყებლები). გარდა ამისა, მისივე განმარტებით, დღეს საქართველოში ტელეკომპანიის გახსნა ძალიან მარტივად არის შესაძლებელი. მითუმეტეს, რომ 2013 წელს საქართველომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დაიწყო და ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ეს არ ნიშნავდა მხოლოდ ტექნოლოგიურ გარღვევას. მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის თვალსაზრისით ეს იყო შინაარსობრივი რევოლუცია, რადგან პრაქტიკულად გაუქმდა მაუწყებელთა ლიცენზირება. ანუ, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ საქართველოს შეუქმნა უფრო მეტი არხის გაჩენის შესაძლებლობა, რადგან შეზღუდული სიხშირული რესურსი აღარ არსებობდა და ავტორიზაციის პირობებიც გამარტივდა.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ მიერ პორტალ “Mediachecker“-ისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2009 - 2015 წლებში ქვეყანაში ტელევიზიების რაოდენობის ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. გამონაკლისი იყო 2010 წელი, როდესაც მაუწყებლების რაოდენობა ერთით შემცირდა. ხოლო ციფრულ ფორმატზე გადასვლიდან - 2015 წლიდან დღემდე - სახეზეა ტელეკომპანიების რაოდენობის კლების ტენდენცია.


მაუწყებელთა რაოდენობა წლების მიხედვით

| | | | |
|-----------|-----|-----------|-----|
| 2009 წელი | 48 | 2014 წელი | 119 |
| 2010 წელი | 47 | 2015 წელი | 132 |
| 2011 წელი | 54 | 2016 წელი | 119 |
| 2012 წელი | 71 | 2017 წელი | 108 |
| 2013 წელი | 101 | 2018 წელი | 96 |

კახა ბექაურის აზრით, მედიის თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ „ზოგიერთი მედიამფლობელი თავის ტელევიზიას პოლიტიკური მიზნებისთვის და ლობიზმისთვის გამოიყენებს, ზოგიერთი ბიზნესის ლობირებისთვის“.

თუმცა ხშირ შემთხვევაში საქართველოში ტელეკომპანიებს არ შეუძლიათ მაუწყებლობის ხარჯების დაფარვა, თუ მათი მფლობელი არ არის ბიზნესის წარმომადგენელი. ტელემაუწყებლების არსებობისთვის და ღირებული მედიაპროდუქციის შესაქმნელად აუცილებელია ფინანსური შემოსავლები. მათი სიმღიერე და განვითარება სწორედ ფინანსებზეა დამოკიდებული. ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს კომერციული არხების წარმომადგენლების განცხადებით, ტელევიზიებში სახეზეა სარეკლამო შემოსავლების შემცირება.

აღსანიშნავია, რომ კომერციული შემოსავლების კლების ტენდენციას ადასტურებს „კომუნიკაციების კომისიის“ ანალიტიკური ვებგვერდის მონაცემები, რომელთა მიხედვით 2012 წლიდან 2014 წლის ჩათვლით მაუწყებლების კომერციული შემოსავლები იზრდებოდა. 2015 წელს იყო მცირე კლება, ბოლო 4 წელიწადში კი ყველაზე მაღალი კომერციული შემოსავალი 2016 წელს დაფიქსირდა, რაც 856 000 ლარით აღემატებოდა 2014 წლის მაჩვენებელს. ხოლო 2016 და 2017 წწ. სახეზეა შემოსავლების შემცირება.



* კომერციული შემოსავლებს დამოუკიდებლად განეხილება ვებ-საიტოზე მდებარე შემოსავლის ოქტობრული პროდუქტის განმარტება (Product Placement), რელიდამ, სპონსორირებისგან აღსანიშნავია სპონსორის ტელევიზიის, კომუნიკაციების მფლობელთა მონაცემების საზოგადოებრივი მუშაობის შემოსავლებს

აღსანიშნავია, რომ 2014 და 2017 წლის მაუწყებლების შემოსავლების შედარების დროს ჩანს, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ ვერ გაზარდა იმ არხების რაოდენობა, რომლებსაც წლის განმავლობაში 1 000 000 ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ. რეალურად, ბაზრის მთავარი მოთამაშეები მუდმივად „რუსთავი-2“ და „იმედი“ არიან. სწორედ ამ ორ არხთან ერთად 2014 წელს „მაესტროს“ ჰქონდა 10 მილიონ ლარზე მეტი სარეკლამო შემოსავალი. თუმცა, „იმედის“, „მაესტროსა“ და „GDS“-ის გაერთიანების შემდეგ, 2017 წელს, ამ ოდენობის შემოსავალი მხოლოდ „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ დარჩა.

წლების განმავლობაში მაუწყებლეთა შემოსავლების მსგავსად არც მათი რეიტინგები შეცვლილა. 2012 წლიდან დღემდე საქართველოში სატელევიზიო რეიტინგებს მხოლოდ კომპანია „TV MR საქართველო“ ზომავს. მათი მონაცემებით, 2012 - 2018 წწ. აუდიტორიის წილის მიხედვით, პირველ და მეორე ადგილებს ტელეკომპანიები „რუსთავი-2“ და „იმედი“ იკავებდნენ. ხოლო მესამე ადგილზე ხან „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ხან „მანეთრო“, ხან „GDS“-ი და ხან „კომედი არხი“ იყო.

დასკვნა

ბოლო 5-6 წელი საქართველოში მედიაგარემოს თუ შევსწავლით მედიაპლურალიზმის თვალსაზრისით, აღმოვაჩინეთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში არც ფინანსურად ძლიერი მაუწყებლების რაოდენობა გაზრდილა, არც მედიის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებულა, არც სატელევიზიო რეიტინგები შეიცვალა მკვეთრად და არც კონტენტი. თუმცა, ამავდროულად, თუ 2018 წლის მონაცემებს 2012 წლის ციფრებს შევადარებთ, მივიღებთ გაცილებით მეტ არხს, რომლის ყურებაც მოსახლეობას ანტენის მეშვეობით შეუძლია. გარდა ამისა, არსებობს ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანიები - მაგალითად, «რუსთავი 2», «იბერია», «ობიექტივი» - რომელთაც აქვთ რეიტინგი [ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მაღალი] და ფართო აუდიტორია. ხოლო ამ ბოლო ფაქტს მედიაპლურალიზმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.imedi.ge
2. www.mediachecker.ge
3. <https://analytics.gncc.ge/>
4. <https://www.state.gov>

*Мадина Гагиева
Грузинский технический университет*

Медиаплюрализм и его роль в развитии грузинских медиа

Резюме

В данной статье мы попытались проанализировать уровень медиаплюрализма в Грузии. С какими проблемами сталкиваются грузинские телекомпании, какие факторы влияют на степень плюрализма в средствах массовой информации, что делает власть для достижения максимального плюрализма в медиа. В материале приведены статистические данные о количестве вещателей в Грузии, их доходах и рейтингах, информация о ситуации на телевизионном медиарынке Грузии.

Ключевые слова: *медиаплюрализм, телекомпании, телевизионный канал, вещатель.*

საზოგადოებაზე მედიის გავლენა

რეზიუმე

მედიასივრცე, ისევე, როგორც მთელს სამყაროში, ჩვენთანაც არნახულად გაფართოვდა და გართულდა. ინფორმაციული ნაკადი დღეს გლობალურ მასშტაბებს იძენს. ცხოვრების განმავლობაში „ადამიანის პიროვნების ფორმულირებაში გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც ადამიანი ისმენს და კითხულობს“. მედია ცალსახად ასრულებს უდიდეს როლს. მნიშვნელოვანია რას უსმენს და უყურებს მაყურებელი. საზოგადოებას არ აკმაყოფილებს ის მედიპროდუქტი, რასაც ქართული მედია საშუალებები აწვდის საზოგადოებას. აუდიტორიას აინტერესებს შემეცნებითი გადაცემები, ასევე სოციალური თემები, სოფლად მცხოვრებთა ისტორიები, პოზიტიური ამბები. საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები არაობიექტურები და არაკომპეტენტურები არიან, არ ემსახურებიან სიმართლეს და საზოგადოების ინტერესებს. საზოგადოებას, ფაქტობრივად, ნდობა არ გააჩნია ქართული მედიისადმი. მედიისგან თითოეული არასწორი ნაბიჯი აუდიტორიასთან უნდობლობის უფსკრულს აჩენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტების არაპროფესიონალური დამოკიდებულება ამ პრობლემის უმთავრესი მიზეზი.

საკვანძო სიტყვები: მედიასივრცე, მედიპროდუქტი, საზოგადოება, ჟურნალისტები, მასობრივი კომუნიკაცია.

შესავალი

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა არსის განსაზღვრის პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს თანამედროვე საქართველოში: მედიასივრცე, ისევე, როგორც მთელს სამყაროში, ჩვენთანაც არნახულად გაფართოვდა და გართულდა. ინფორმაციული ნაკადი დღეს გლობალურ მასშტაბებს იძენს. უნივერსალური გარემო, სადაც მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებას ციფრული საფუძველი აერთიანებს, უზრუნველყოფს ინფორმაციის უსწრაფეს და აბსოლუტურად შეუზღუდავ გავრცელებას. ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტგამოცემები, ბლოგოსფერო უნდა უზრუნველყოფდნენ ადამიანთა ურთიერთგაგებასა და ურთიერთთანამშრომლობას, ეხმარებოდნენ საზოგადოებას შეინარჩუნოს და გაავრცელოს ჰუმანიზმის კრიტერიუმის შესაბამისი ადამიანური ფასეულობანი.¹

¹ დიანა ტყეუჩავა. „ჟურნალისტკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. გვ. 3.

ძირითადი ნაწილი

„მასმედით, ნებსით თუ უნებლიედ, ხშირად ხელი ეწყო აგრესიისა და უზნეობის, ნარკომანიისა და აზარტული თამაშების პროპაგანდას; ბილწსიტყვაობა, ტყუილი, ცინიზმი, საჯარო შეურაცხყოფა... ჩვეულებრივ მოვლენად იქცა,“ - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლეშია ნათქვამი.¹

ცხოვრების განმავლობაში „ადამიანის პიროვნების ფორმულირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც ადამიანი ისმენს და კითხულობს“.² მედია ცალსახად ასრულებს უდიდეს როლს. მნიშვნელოვანია რას უსმენს და უყურებს მაყურებელი. ფაქტობრივად, მედიას საზოგადოების, ინდივიდების სულიერი და მენტალური ზრდის ფუნქცია ეკისრება.

რეალურ ცხოვრებაში ადამიანები გარემოცულები არიან ინფორმაციით გაღვიძებიდან დაძინებამდე. მჭიდრო ურთიერთობა აქვს თანამედროვე ადამიანების უმრავლესობას მედიასთან.³

საქართველოს მაღალმთიანეთში, კი შეუძლებელია ინფორმაციის მიღება, როგორც ტელე-რადიო, ასევე ჟურნალ-გაზეთებისა და ინტერნეტმედიის საშუალებით. არ არსებობს ადგილობრივი მედიასაშუალებებიც, რომ მოსახლეობას ქონდეს ხელმისაწვდომი ინფორმაცია, როგორც ქვეყნის, ასევე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. საქართველოს მაღალმთიანი მოსახლეობა სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია. არ ვითარდება ეკონომიკა, მეწარმეობა, მეურნეობა, ზოგადად მძიმე სოციალური ფონია. ცენტრალური მედია ნაკლებადაა დაინტერესებული საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პრობლემებით.

კვლევა რომელიც ტარდებოდა 2017 წლის სექტემბრიდან, 2018 წლის პირველ სექტემბრამდე. ცდომილება +2/-2 პროცენტი. 2017 წლის 21 ოქტომბრიდან კვლევა პრაქტიკულად ტარდებოდა ინტერნეტის საშუალებებითაც. გამოკითხულია სულ 668 რესპონდენტი.

კვლევამ მოიცვა მთლიანი საქართველო, მათ შორის აფხაზეთი. ჩატარდა, როგორც რაოდენობრივი კვლევა, ასევე თვისობრივი კვლავაც.

რესპონდენტთა ასაკი - 16-87; გამოკითხა 405 პირადი გამოკითხვით და ონლაინ რეჟიმში 263; **სულ - 668** რესპონდენტი, მათ შორის 490 ქალი და 178

1 <http://primetime.ge/news/1523132585-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94>

2 გიორგი (ჯორჯ) გურჯიევი „სიყვარულის ორი სახე“. თარგმნა მერაბ ხერგიანმა. თბილისი 1992 წ. წიგნის სპონსორი კომერციული ბანკი „გლორიბანკი“. გვ. 6

3 მაია ნადარეიშვილი, „მეოთხე კედლის ნგრევა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008 წ. გვ. 41

კაცი. გამოკითხვამ მოიცვა შემდეგი რეგიონები: იმერეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, შუა ქართლი, კახეთი, ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ხევსურეთი, გურია, ლაგოდეხი, ახმეტა, აფხაზეთი, პანკისი.

გამოკითხვის დროს, აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის ნაწილი არ ფლობს ქართულს, ან, არ იცის წერა-კითხვა, ამიტომ ვერ შეძლეს კითხვარის შევსება, მაგალითად აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში. გამოკითხულებიდან 487 ადამიანი უმაღლესი განათლებითაა. გამოკითხულთა შორის სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის რესპონდენტებია: იეღოველი, იეზიდი, ცეცხლთაყვანისმცემელი, მუსლიმი, პროტესტანტი, ორთოდოქსი, ისლამი, კათოლიკე, ათეისტი, აგნოსტიკი, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.

გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ საქართველოს მაღალმთიანეთში მოსახლეობა, ფაქტობრივად, ვერ ეცნობა მედიას სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში მოსახლეობას არ აქვს ელექტროენერგია, ინტერნეტი და არ იჭერს ტელეფონი, მაგალითად, ხევსურეთში, ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე - ხინოში, ზესტაფონის მაღალ სოფლებში, აჭარის მაღალმთიანეთში, ქვემო სვანეთში. ჯავახეთსა და მარნეულში კი, სახელმწიფო ენის უცოდინრობის გამო.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები:

კითხვაზე **ენდობით საქართველოში მედიასაშუალებებს?** - დიახ, - უპასუხა 202 რესპონდენტმა, არა - 299. დანარჩენმა თავი შეიკავა.

კითხვაზე - **ახდენს თუ არა მედია საზოგადოების ცხოვრებაზე გავლენას** - 583 რესპონდენტმა უპასუხა - დიახ, 50 უპასუხა - არა, დანარჩენმა თავი შეიკავა.

კითხვაზე - **მედია ახდენს დადებით გავლენას საზოგადოებაზე** - 204 რესპონდენტმა უპასუხა დიახ, 276 - არა, 117 თავი შეიკავა, დანარჩენი თვლის, რომ დადებით გავლენას მედია ზოგჯერ ახდენს.

კითხვაზე - **მოქმედებს თუ არა მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციები:** სტატია, რეპორტაჟი და ა.შ., რომლებიც ეხება მკვლელობებს, ძალადობებს, თქვენზე, თქვენი დღის განწყობაზე - 531 რესპონდენტმა უპასუხა დიახ, 94 - არა, დანარჩენი ფიქრობს, რომ ზოგჯერ მოქმედებს.

კითხვაზე - **თქვენი აზრით, ისეთი სახის მედიაპროდუქტით, სადაც დეტალურად არის აღწერილი მკვლელობის/ძალადობის ნიუანსები, ირღვევა თუ არა აუდიტორიის (მკითხველის/მაყურებლის/მსმენელის) უფლებები** - 440 ადამიანმა უპასუხა - დიახ; 165 - არა; დანარჩენმა თავი შეიკავა, ან ფიქრობს რომ ზოგჯერ ირღვევა.

კითხვაზე - **როდესაც თქვენ ეცნობით ისეთ მედიაპროდუქტს, სადაც ჩვეულებრივი გლეხის/ფერმერის წარმატებაა გადმოცემული, გეძლევათ თუ არა სტიმული რაიმე ახლის გაკეთების** - 541 რესპონდენტმა უპასუხა - დიახ. 75 - არა, დანარჩენმა პასუხისგან თავი შეიკავა.

კითხვაზე - რომელი მედიასაშუალება მიგაჩნიათ ყველაზე ობიექტურად - 274 რესპონდენტმა უპასუხა - ინტერნეტმედია; 217 - ტელევიზია; ჟურნალ-გაზეთები - 53; რადიო - 46; 25 რესპონდენტი თვლის, რომ არც ერთი მედია საშუალებაა არაა ობიექტური, ხოლო თითო-თითო რესპონდენტმა განაცხადა, რომ ობიექტურია: ნეტგაზეთი, ბათუმელები; სამი რესპონდენტი ასახელებს ტვიპირველს. 6 რესპონდენტმა განაცხადა, რომ ობიექტურია ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ხოლო 4 რესპონდენტი თვლის, რომ ტელეკომპანია „იმედია“ ობიექტური, 2 რესპონდენტის აზრით - ტელეკომპანია „ობიექტივი“. 2 - რადიო თავისუფლება.

კითხვაზე - რომელ მედია საშუალებებიდან იღებთ ინფორმაციას - 329 რესპონდენტმა უპასუხა - ინტერნეტ-მედია; 200 - ტელევიზია; 11 - ჟურნალ-გაზეთები; 13-რადიო; 35 ინფორმაციას იღებს „რუსთავი 2“-სგან, 29-ტელეკომპანია „იმედი“-სგან; 2 - „ტვიპირველი“-სგან; 2 „ინტერპრესნიუსი“; დანარჩენები - „კვირის პალიტრა“, „პალიტრა პლიუსი“, „იმერვიზია“, „ნეტგაზეთი“, „ბათუმელები“, „ლიბერალი“, „ალია“, „სარკე“. რადიო „თავისუფლება“.

კითხვაზე - არის თუ არა ხელმისაწვდომი თქვენთვის ინტერნეტმედია - 590 რესპონდენტმა უპასუხა - დიახ; 53 - არა, დანარჩენმა თავი შეიკავა.

კითხვაზე - არის თუ არა ხელმისაწვდომი თქვენთვის საინტერესო ჟურნალ-გაზეთები - 362 რესპონდენტმა უპასუხა, რომ ხელმისაწვდომია. 222 - განაცხადა, რომ არა. დანარჩენმა გამოკითხულებმა უპასუხეს, რომ ჟურნალ-გაზეთები ძვირია და მათ მისი შეძენის ფუფუნება არ აქვთ.

კითხვაზე - არის თუ არა თქვენთვის საინტერესო რადიო გადაცემები - 227 უპასუხა - დიახ; 358 - არა; 50 თვლის, რომ ზოგჯერ საინტერესოა, დანარჩენებმა უპასუხეს, რომ არ მიუწვდებათ ხელი რადიოზე, ან მხოლოდ ტაქსში უსმენენ.

კითხვაზე - მედიას ეცნობით გასართობად - 285 რესპონდენტმა დადებითად უპასუხა; 311-მა უარყოფითად. 56 პასუხისგან თავი შეიკავა, ხოლო დანარჩენმა განაცხადა, რომ მედიას ზოგჯერ ეცნობა გასართობად.

კითხვაზე - თქვენთვის მედია ინფორმაციის წყაროა - 496 უპასუხა დიახ; 104 - არა; 9 რესპონდენტისთვის ზოგჯერაა ინფორმაციის წყარო, დანარჩენებმა პასუხზე თავი შეიკავეს.

კითხვაზე - იღებთ თუ არა მედიასაშუალებებიდან რაიმე ახალს, შემეცნებითს, რაც შეიძლება ყოველდღიურობაში გამოგადგეთ - მხოლოდ 385 რესპონდენტი ფიქრობს დადებითად.

კითხვაზე - ხშირად აშუქებს მედია კულტურის საკითხებს - მხოლოდ 185 რესპონდენტმა უპასუხა დადებითად, 392 კი უარყოფითად, დანარჩენმა პასუხისგან თავი შეიკავა.

კითხვაზე - მოქმედებს თუ არა თქვენს გადაწვეტილებებზე, ყოველდღიურ, ყოფით ცხოვრებაში მედიაში გასული რეკლამა (სარეკლამო რგოლები, ვთქვათ,

სარეცხი ფხვნილის, ჭურჭლის სარეცხი, მინერალური წყალი და ა.შ. ყიდვის დროს)? – 262 რესპონდენტმა უპასუხა დიახ; 337 - არა. 33 პასუხისგან თავი შეიკავა და დანარჩენი ფიქრობს, რომ მოქმედებს - ზოგჯერ;

კითხვაზე - **როგორია თქვენი აზრი თანამედროვე სერიალების მიმართ** - 142 რესპონდენტი დადებითადაა განწყობილი, 316 უარყოფითად, 16 ნეიტრალურად, 12 ფიქრობს, რომ გააჩნია სერიალს, 66 რესპონდენტმა პასუხისგან თავი შეიკავა, დანარჩენი ფიქრობს, რომ სერიალები დროის ფუჭად ხარჯვაა და ხშირად არასასურველი თემების პროპაგანდას ეწევა.

კითხვაზე - **ახდენს თუ არა თქვენს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე გავლენას მედიაში გამოქვეყნებული მასალები** - მხოლოდ 153 რესპონდენტმა უპასუხა დიახ; 437 - არა, 10 - ზოგჯერ, დანარჩენმა თავი შეიკავა.

კითხვაზე - **ირღვევა თუ არა მედიაში ადამიანის უფლებები** - 490 რესპონდენტმა უპასუხა დიახ; 57 - არა; 50 რესპონდენტი თვლის, რომ ზოგჯერ ირღვევა, დანარჩენმა პასუხისგან თავი შეიკავა.

კითხვაზე - **არის თუ არა შემეცნებითი სახის მასალების სიმწირე მედიაში** - 605 რესპონდენტი ფიქრობს, რომ შემეცნებითი სახის მასალების სიმწირეა, 72 ფიქრობს, რომ არა. დანარჩენმა თავი შეიკავა პასუხისგან.

კითხვაზე - **მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, რომ როგორი ინტერესიცაა საზოგადოებაში, ისეთ მედიაპროდუქტს ქმნიან. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?** – 226 რესპონდენტი ეთანხმება ამ მოსაზრებას, 360 კი არა. დანარჩენმა პასუხისგან თავი შეიკავა.

კითხვაზე - **მედიასაშუალებები ამომწურავად ავრცელებენ ინფორმაციას** - მხოლოდ 81 ფიქრობს, რომ კი - ამომწურავად ავრცელებენ ინფორმაციას, 505 რესპონდენტის აზრი, კი უარყოფითია. 21 ფიქრობს, რომ ზოგჯერ ამომწურავად აშუქებენ.

კითხვაზე - **თქვენი აზრით, მასალის მომზადებისას სწორედ არჩევენ ჟურნალისტები რესპონდენტებს** - 165 რესპონდენტი ფიქრობს, რომ კი; 325 - ფიქრობს, რომ არა; 39 ფიქრობს, რომ ზოგჯერ სწორედ არჩევენ;

კითხვაზე - **არის თუ არა დღევანდელი მედია თავისუფალი** - 137 რესპონდენტმა უპასუხა დადებითად, 394 - უარყოფითად, ხოლო დანარჩენი ფიქრობს, რომ ნაწილობრივ თავისუფალია.

თვისობრივი კვლევა ტარდებოდა 2017 წლის სექტემბრიდან, 2018 წლის პირველ სექტემბრამდე. ცდომილება +2/-2 პროცენტი. 2017 წლის 21 ოქტომბრიდან კვლევა პრაქტიკულად ტარდებოდა ინტერნეტის საშუალებითაც. გამოკითხულია - 500-ზე მეტი რესპონდენტი.

კითხვაზე - **როგორი სახის მედია პროდუქტს ისურვებდით ქართულ მედია ბაზარზე (თუ შეიძლება ჩამოთვალეთ ან აღწერეთ).**

240 უპასუხა, რომ - შემეცნებითი, სამეცნიერო განათლებაზე ორიენტირებუ-

ლი. 68-მა მიუკერძოებელი-ობიექტური-თავისუფალი. 24-მა სოციალური თემები - გადაცემები ექიმებზე, ფერმა, კულინარია. ქართული-ისტორიული, რელიგიურ და კულტურულ მემკვიდრეობაზე გათვლილი - 22; იუმორისტულს-გასართობი - 10; მაღალი დონე-ხარისხიანი-პროფესიონალური - 10; ხარისხიან დოკუმენტურ ფილმებს, როგორსაც მაგალითად ამზადებს ბბს - 8; სამართლიანს - 8; დამოუკიდებელი- დემოკრატიული - 8; სადაც სიმართლე იქნება გაშუქებული და არა რაიმე სიცრუე ხალხის ყურადღების მისაპყრობად - 7; სპორტული - 7; კულტურა-მეცნიერება - 6; გარემოსდაცვითი-სათავგადასავლო-სამოგზაურო - 6; დამამშვიდებელ და დამაწყნარებელ გადაცემებს - პოზიტიურს - 6; საინტერესო გადაცემებს - 5; აგროსფერო - სოფლის მეურნეობაზე - 3;

კითხვაზე რას ურჩევდით ქართული მედიის წარმომადგენლებს 116 რესპონდენტმა უპასუხა - ობიექტურობას; 36 რესპონდენტი ფიქრობს, რომ ჟურნალისტებმა უნდა ისაუბრონ გამართული ქართულით - დახვეწონ მეტყველება, ისწვალონ გამართულად წერა-კითხვა, აიმაღლონ კვალიფიკაცია; სიმართლე გადმოსცენ ხშირად - 28; მიუკერძოებლები - 23; ამა თუ იმ საკითხის ძირფესვიანად შესწავლას - კომპეტენტურობა - 19; მეტი თავისუფლება, პროფესიონალიზმი - 18; უფრო მეტი საინტერესო, დაზუსტებული და სწორი ინფორმაციის გადმოცემა - 13; იყვნენ დამოუკიდებლები და პროფესიონალები - 9; მეტი შემეცნებითი პროექტი - 7; კომპეტენტურ რესპონდენტებს ურჩევდა - 6; იფიქრონ ხალხის უფლებებზე და არა რეიტინგზე - 6; დაიცვან ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი - 6; მეტი ყურადღება ხალხზე - 6; იყვნენ კორექტურები - 5; გააშუქონ მეტად დადებითი ამბები, რაც კარგად იმოქმედებს ადამიანებზე - 5; გასართობ პროგრამებს, ეკონომიკურად გაჭირვებულ ცხოვრებას ცოტა ხალისს შევძენდი - 5; ნუ ფიქრობენ მხოლოდ სკანდალზე და რეიტინგზე - 4; მეტი პოზიტიური გადაცემა - 4; ნაკლები პოლიტიკა - სხვა თემებიც გვინტერესებს - 4; იყვნენ სამართლიანები - 4; აქტიურობას - 4; ახალგაზრდული-საბავშვო გადაცემები ძალიან ცოტაა, იფიქრეთ მომავალ თაობებზე - 4; პროფესიონალიზმს - 4;

გამოკითხულთა უმრავლესობამ ქართული მედია შეადარა **მელას** (66 რესპონდენტი). ლომს - 36; მგელს 28; ძაღლს შეადარა - 26 რესპონდენტმა; მაიმუნი - 25; დანარჩენებმა კი სხვადასხვა მტაცებელ ცხოველს.

კვლევის **შედეგების** მიხედვით, ჩანს, რომ ქართულ მედიას საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ ენდობა და ისინი თვლიან, რომ მედიაბაზარზე კომპეტენტური ჟურნალისტების ნაკლებობაა. საზოგადოებას არ აკმაყოფილებს ის მედიპროდუქტი, რასაც ქართული მედია საშუალებები აწვდის საზოგადოებას. აუდიტორიას აინტერესებს შემეცნებითი გადაცემები, ასევე სოციალური თემები, სოფლად მცხოვრებთა ისტორიები, პოზიტიური ამბები. საზოგადოება დაიღალა სკანდალებითა და მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის მიღებით. საზოგადოება აღარ ენდობა ქართულ მედიასაშუალებებს, თუმცა იძულებულია ინფორმაცია

მათგან მიიღოს, საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები არაობიექტურები და არაკომპეტენტურები არიან, არ ემსახურებიან სიმართლეს და საზოგადოების ინტერესებს. საზოგადოებას, ფაქტობრივად, ნდობა არ გააჩნია ქართული მედიისადმი. მედიის წარმომადგენლები დროა დაფიქრდნენ თავიანთ კვალიფიკაციაზე და საზოგადოების მოთხოვნას უპასუხონ, რითიც პრინციპში ფეხს აუწყობენ ევროპულ ღირებულებებს და ჩადგებიან დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროცესში. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ მედია გავლენას ახდენს აუდიტორიაზე და ეს გავლენა, ამჟამად ნეგატიურია და საჭიროა ცვლილებები, რომ მედიამ დიდი დოზით პოზიტიური ინფორმაცია, ასევე შემეცნებითი სახის პროდუქტი მიაწოდოს საზოგადოებას. მედიასაშუალებები უნდა დაფიქრდნენ თავიანთი საქმიანობის პოლიტიკის შეცვლაზე, რადგან მათ საზოგადოების წინაშე აქვთ პასუხისმგებლობა, რომელიც საზოგადოების ინტერესებისთვისაა სასარგებლო, გაზარდოს აუდიტორია, ემსახუროს საზოგადოების მენტალურ და სოციალურ სტაბილურობას. მედიასაშუალებებმა არ უნდა იფიქრონ მხოლოდ რეიტინგზე არ იყვნენ ორიენტირებულნი სკანდალებზე და ინფორმაციის გაყიდვაზე.

ჟურნალისტები ადამიანის ცნობიერებაში მატყუარასა და ცბიერის ასოციაციას კი არ უნდა აჩენდეს, არამედ სიმართლის სადარაჯოზე მდგომის, ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდას უნდა იწვევდეს. საზოგადოება უნდა ენდობოდეს მედიას.

კვლევებმა გვაჩვენა, რომ აუდიტორიაში ჟურნალისტებისადმი ნდობა, ფაქტობრივად, არ არის. მათ ინფორმაციის მიღების სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ, გარდა სოციალური ქსელებისა. უმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებში. მით უფრო მაღალმთიან რეგიონებში მასზე ხელმისაწვდომობა ნულს უტოლდება - მეტიც, მათ ხშირ შემთხვევაში არანაირი ინფორმაციის წყარო არ აქვთ და რამდენიმე თვის განმავლობაში სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან - ხევსურეთი, გუდამაყარი, ხინო და ა.შ. მედიისგან თითოეული არასწორი ნაბიჯი აუდიტორიასთან უნდობლობის უფსკრულს აჩენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტების არაპროფესიონალური დამოკიდებულებაა ამ პრობლემის უმთავრესი მიზეზი.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, კი გარდა იმისა, რომ მედია ზემოქმედებს ადამიანების ცნობიერებაზე, განწყობასა და ცხოვრებაზე, კვლევებმა აჩვენა, რომ მათ აქვთ ასევე ინფორმაციული შიმშილი, მაგრამ არაპოლიტიკური, არასკანდალური კუთხით. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მედიას აკლია ობიექტურობა და აუდიტორიას სურს მედიორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ შემეცნებით-საგანმანათლებლო საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიანა ტყეზუჩავა. „ჟურნალისტიკამცოდნობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. გვ. 3.
2. <http://primetime.ge/news/1523132585-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94>
3. გიორგი (ჯორჯ) გურჯიევი „სიყვარულის ორი სახე“. თარგმნა მერაბ ხერგიანმა. თბილისი 1992 წ. წიგნის სპონსორი კომერციული ბანკი „გლორიბანკი“. გვ. 6
4. მაია ნადარეიშვილი, „მეოთხე კედლის ნგრევა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008 წ. გვ. 41

Olga Tsiskarishvili-Soselia

Media influence on society

Summary

Media environment in Georgia, as well as in entire world, became unbelievable large and complicated. Information flow has global scales. ‘What person hears and reads has a decisive importance in formation of their personality’ during lifetime. Media unequivocally plays great role in this. It is important what audience listens and watches. What Georgian media outlets provides for society is not satisfactory for them. Audience is interested in educational programs, social topics, stories from people living in rural areas, positive stories. Majority believes that journalists are not objective and are incompetent, they don’t serve truth and to interests of society. Society, practically, doesn’t trust to Georgian media. Each incorrect step in media triggers huge distrust. We should also mention that the major reason of this problem is jouranalists having non-professional approaches.

Key words: *Media space, media product, society, journalists, mass communication.*

ეკონომიკა E C I N O M I C S

*ნაწული დიბრაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ციფრული მარკეტინგის როლი სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებაში

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ციფრული მარკეტინგის როლს სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებაში. ციფრული ეკონომიკა, ეს ვირტუალური გარემო ავსებს ჩვენს რეალობას. შეაღწია ეკონომიკის ყველა სფეროში, რომლის განხორციელება შესაძლებელია ციფრული მარკეტინგით.

ინტერნეტის ტექნოლოგიური საშუალებები, ციფრული ბიზნეს-პროცესების ორგანიზაციული ტრანსფორმაცია, კომპეტენციის ცენტრის არსებობა, ევოლუციური ინტეგრაცია, კლიენტთა გამოცდილების ჩართულობა და სტიმულურება, ბიზნეს-პროცესების მართვის მოქნილი მოდელი, ოპერატიული პროცესების გარდაქმნა და გაციფროება, თანამშრომელთა შესაძლებლობების რეალიზაცია და სხვ. განაპირობებენ მსოფლიო-ინფორმაციული საზოგადოების და ეკონომიკის სწრაფ განვითარებას ციფრული მარკეტინგით.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მარკეტინგის ტრანსფორმაცია, ინტერნეტი, ევოლუციური ინტეგრაცია, კომპიუტერული ცენტრი, ბიზნეს-მოდელი.

შესავალი

ამერიკელმა ინფორმატიკოსმა ნიკოლას ნეგროპონტემ (მასაჩუსეტის უნივერსიტეტი, აშშ., 1995 წ.) შემოიტანა ხმარებაში ტერმინი ციფრული ეკონომიკა.

დღეისათვის, ამ ტერმინს იყენებენ მთელ მსოფლიოში: პოლიტიკაში, მედიაში, მეწარმეობაში. მაგრამ არა აქვს მკაფიო განსაზღვრება, რადგან ყველას სხვანაირად ესმის. კარგი იქნება თუ გავიხსენებთ ანალოგიური ეკონომიკის ტერმინის განსაზღვრებას. იგი თავისი შინაარსით წარმოადგენდა საზოგადოების საქმიანობას, აგრეთვე ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც შედგებოდა სისტემის სახით წარმოების, განაწილების, ურთიერთგაცვლის და მოხმარების ელემენტებისაგან.

კომპიუტერის, ინტერნეტის, მობილურის გამოყენება ასევე შეიძლება ჩაითვალოს „მოხმარებადი“. ამ შემთხვევაში, ციფრული ეკონომიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ეკონომიკური ურთიერთობათა ის ნაწილი, რომლის განხორციელება შესაძლებელია ინტერნეტის, მობილური კავშირგაბმულობის, საინფორმაციო-ტექნოლოგიების საშუალებით.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ეკონომიკა ეს ვირტუალური გარემოა, რომელიც ავსებს ჩვენს რეალობას. სინამდვილეში, ალბათ, ყველა ჩვენი საქმიანობა კომპიუტერულ-ვირტუალურ რეალობაში შესაძლებელია მივაკუთნოთ წარმოების განაწილების, ცვლის და მოხმარების სისტემას. მართალია, ვირტუალურ რეალობა მოგვევლინა როგორც ასეთი, არაკომპიუტერის შექმნასთან ერთად.

ადამიანის აზროვნებით საქმიანობა დაკავშირებულია მოგებასთან. გარდა ამისა, ფული ითვლება ეკონომიკის ძირითად ინსტრუმენტად და ვირტუალობის ჩანასახი, რადგანაც წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გამოგონილ საზომს, ხოლო კომპიუტერის გამოყენებამ მოგვცა ფულის გაციფროების საშუალება, რამაც საგრძნობლად გაამარტივა ფულად-სასაქონლო ურთიერთობა და შედეგად მივიღეთ დროის უდიდესი ეკონომია, რამაც გაზარდა ოპერაციების განხორციელების უსაფრთხოება.

აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეაღწია ეკონომიკის ყველა სფეროში: ბიზნესი, მრეწველობა, ჯანდაცვა, განათლება, სახელმწიფო მართვა და მომსახურების სფეროები. ყოველი ამის განხორციელება შესაძლებელია ციფრული მარკეტინგით.

ტერმინ „მარკეტინგს“ საფუძვლად უდევს სიტყვა „Market“-რაც ნიშნავს ბაზარს. მარკეტინგი წარმოადგენს მართვის კონცეფციას (ბიზნესის ფილოსოფიას) საბაზრო პირობებში, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წარმოებაზე ორიენტაციას მომხმარებელთა კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

თუ ადრე მარკეტინგის წარმატება დამოკიდებული იყო ადამიანებთან ურთიერთობით, დღესდღეობით, ეს ფუნქციები მონიჭებული აქვს ციფრულ მარკეტინგს (ინტერნეტს).

ინტერნეტმა განახორციელა და აგრძელებს მსოფლიო საინფორმაციო-საზოგადოების ფორმირებას, როგორც სოციალური მოვლენა. ინტერნეტი არის კომუნიკაციის გლობალური საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტურ, გრაფიკულ, აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გაცვლას და მისაწვდომობას ონლაინ სამსახურებთან ტერიტორიალური და ეროვნული საზღვრების გარეშე.

ინტერნეტი არის კვლევის ეფექტური ინსტრუმენტი ვაჭრობისა და ბიზნესის განვითარებისათვის, რომელიც ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ინტერნეტის ტექნოლოგიური საშუალებები განაპირობებენ მსოფლიო-ინფორმაციული საზოგადოების სწრაფ განვითარებას, ხოლო ეს განვითარება თავის გავლენას ახდენს ბიზნესის მართვაზე და მარკეტინგის მიდგომებზე (ვირუსული მარკეტინგი – ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც ვირუსული პრინციპის გამოყენებით, ანუ ადამიანიდან ადამიანზე გადასვლით, ავრცელებს მარკეტინგულ გზავნილს. ეს გზავნილი კრეატიულად „შეფუთულია“, ისე, რომ ხელი შეუწყოს ინფორმაციის სოციალური ქსელის მომხმარებელს შორის გავრცელებას).

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია არის ახალი რეალობა, რომელიც მოითხოვს ბიზნესისგან ბიზნეს-პროცესების და მომხმარებელთა მუშაობის მიდგომების რადიკალურ გადახედვას. მართალია, არსებული პროცესების გაციფროება არის ძვირადღირებული და ხშირად უსარგებლო საქმიანობა, ვინაიდან ხდება ყველა პროცესების ავტომატიზირება (პრობლემური, უსარგებლო და სხვ.), მაგრამ თუ დაწოლის ცენტრს გადავითვალთ ახალ შესაძლებლობებზე, მაშინ კომპანიას აძლევს კონკურენტუნარიანობის უპირატესობას. მაგალითად, თანამშრომელთა ავტომატური საქმიანობის ნაცვლად კლიენტებთან ავტომატიზაციით უნდა შეიქმნას კლიენტებთან თვითმომსახურების სისტემები, რომელსაც მინიმუმამდე მიჰყავს მედიატორთა რაოდენობა.

ციფრული ბიზნეს-პროცესების შექმნა დაკავშირებულია ფუნდამენტალურ რინგზე... და არსებულ შეზღუდვების გადახედვასთან, გარდაქმნის პირველ ეტაპზე საჭიროა შეიქმნას პროცესების ის სფეროები, რომლებიც დაკავშირებული არიან კლიენტების ან მომხმარებელთა გამოცდილებასთან. მაგალითად, როგორ შევამციროთ კრედიტის მიღების დრო მინიმუმამდე, ან მუშაკთა რაოდენობის შემცირება ამ საქმეში, ან როგორ შევამციროთ ინფორმაციის მიღება-გაცემის დრო და ა.შ.

ბიზნეს-პროცესების გაციფროებას აქვს კიდევ შემდეგი სხვა უპირატესობები: მომხმარებელთა გამოცდილების შესახებ ინფორმაციის შეკრება და სხვადასხვა ბიზნეს-პროცესების სცენარების ადაპტაციის ავტომატიზირება.

ტექნოლოგიების განვითარების მიმდინარე დონე საშუალებას გვაძლევს ზუსტად გამოვიცნოთ კლიენტის მოთხოვნილებები და კომუნიკაციის არხების რელევანტური გამოყენების ხერხები.

არსებობს ბიზნეს-პროცესებისადმი ციფრული ტრანსფორმაციის სხვადასხვა მიდგომები. ესენია:

1. ხელმძღვანელობის ხელშეწყობა ტოპ-მენეჯერების მიერ, რაც აუცილებელი პირობაა დაგეგმილი ცვლილებების რეალიზაციისათვის, ანუ ხელმძღვანელობას უნდა შეეძლოს სიახლეების „სარფიანი გაყიდვა“ თანამშრომლებზე და უჩვენოს მათ თუ როგორ იმოქმედებენ ეს სიახლეები მათ მდგომარეობაზე (შესაძლებელია ზოგიერთმა მუშაკმა დაკარგოს სამუშაო ადგილი).

2. კომპეტენციის ცენტრის არსებობა. ოპერატიულ დონეზე ცვლილებების რეალიზაციისთვის საჭიროა შეიქმნას კროს-ფუნქციონალური გუნდი, რომელიც შედგება სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფთა თანამშრომლებისაგან, რომლებიც პასუხს აგებენ პროცესის სხვადასხვა ასპექტებზე. არც თუ იშვიათად ამისათვის ყალიბდება ცალკე კომპონენტის ცენტრი სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული და კომპეტენციის პროფილის მუშაკებისაგან.

3. ორგანიზაციული ტრანსფორმაცია. ტრადიციულად ახალი ბიზნეს-პროცესები იწერება მოქმედ ორგანიზაციულ სტრუქტურულ ფარგლებში მუშაკთა ძალებით, რომლებიც დიდი ხანია მუშაობენ არსებული პროცესების ფარგლებში. ასეთ მიდგომებში ძალიან დიდი რისკია და აი, რატომ:

ნებისმიერი სიახლეები მოითხოვენ გარკვეულ დროს მუშაკთა სწავლებისათვის და მათ ადაპტირებისათვის. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეს ცვლილებები იწვევს უკმაყოფილებას, რაც გამოიხატება ძველი წესების შეცვლაში. არ არიან მზად შიდა კორპორაციული ცვლილებებისათვის;

– ახალ პროცესებზე გადასვლა მომსახურეთა მხრიდან მოითხოვს დიდ ძალისხმევას. საჭიროა შენარჩუნებული იქნას ოპერატიული ეფექტურობა და ამავე დროს პარალელურად მოხდეს მუშაობის ახალი წესების დანერგვა;

4. ევოლუციური ინტეგრაცია Legacy – სისტემის საშუალებით, ბიზნეს-პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია ეხება Legacy – სისტემების დიდ რაოდენობას, რომლისგან შეუძლებელია მომენტალურად თავის დაღწევა.

(Legacy – მემკვიდრეობითი).

ძველი სისტემების ინტეგრირება ახალ პროცესებში მოითხოვს გრძელვადიან პროექტებს, რომელთა ამოგების ვადები ბუნდოვანია, ვინაიდან რამოდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ჩატარებული სამუშაოები არ იყო აქტუალური.

ამ რისკების შემცირებისათვის საჭიროა ვიმოდრაოთ მცირე ნაბიჯებით. თითოეული ინიციატივის შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ზოგჯერ კი შესაძლებელია გამოვიყენოთ მარტივი დროებითი გადაწყვეტილებები „ახალ რელსებზე“ გადასასვლელად. პარალელურად უნდა შეიქმნას ინტეგრაციული ინტერფეისები ახალ სერვისებსა და ძველ სისტემებს შორის, ანდა მთლიანად შეიცვალოს მთელი სისტემები.

5. კლიენტების სტიმულურება და ჩართულობა. ახალი მეთოდების

დანერგვისას საჭიროა კლიენტების ჩართულობა და სტიმულირება (ბონუსები, შეღავათები), კლიენტთა სურვილების შეხების წერილების გაზრდა. ტექნოლოგიების გამოყენებით იზრდება გაყიდვები. ფინანსური კომპანიები ქალაქის პრეზენტაციის ნაცვლად გადადიან პლანშეტურ პრეზენტაციაზე, სადაც ყოველი მომსახურების პაკეტებს. სადაზღვევო კომპანიები სარგებლობენ მობილური ინსტრუმენტებით.

6. ბიზნეს-პროცესების მართვის მოქნილი მოდელი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის და რეინჟინერინგის კლასიკური თეორია ახალ რეალიტეტში მოითხოვს მოქნილ მიდგომებს. წარსულში რჩება ბიზნეს-პროცესების აღწერა ბიზნეს-პროცესებისგან მოწყვეტით. ასეთი აღწერა სწრაფად ძველდება და მისი აქტუალობის მხარდასაჭერად საჭიროა სერიოზული დანახარჯები;

ბ) ბიზნეს-პროცესების აქტუალური ვერიისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ინსტრუმენტები, რომლებიც აუცილებელია ბიზნეს-პროცესების სამართავად.

7. კლიენტებთან საკონტაქტო წერტილების გაზრდა სპეციალური აკაუნტით Twitter-ში.

8. ოპერატიული პროცესების გარდაქმნა გაციფროებით.

9. თანამშრომლებთა შესაძლებლობების რეალიზაცია.

კომპანიები უფრო ხშირად ხდებიან არა მარტო მულტინაციონალური, არამედ გლობალური. ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით კომპანიები იღებენ გლობალურ სინერგეტიკურ ეფექტს, ამავე დროს ინარჩუნებს უნარს რეაგირება მოახდინოს ლოკალურ ცვლილებაზე.

დასკვნა

ამრიგად, ციფრული მარკეტინგის ტრანსფორმაცია ანუ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კარდინალურად ზრდის შრომის მწარმოებლურობას და საწარმოთა ფასეულობას, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს და სახელმწიფო ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Урманцева Анна Цифровая Технология. РИА Новости. 16.06.2017.
2. Константинов М.Е. Интер-иаркетинг как средство увеличения объема продаж М.Инфра М., 2004.
3. Котлер Ф. Основы маркетинга, М. 1993
4. Вестерман Дж., Дидье Боннэ, Эндрю Макафидеять основ цифровой трансформации М., 2011.

Role of Digital Marketing in State Economy Development

Summary

The Article is dedicated to the role of digital marketing in the state economy development. The digital economy this virtual environment fills our reality; it is penetrated in all area of economy the implementation of which is possible by digital marketing.

The technological facilities of internet, organizational transformation of digital business-processes, existence of compensation centre, evolutionary integration, involvement of clients experience and stimulation, the flexible model of business process management, transformation and digitalization of operational processes, realization of Employees opportunities and others conditions rapid development of world informational society and economics by digital marketing.

Key words: *digital marketing, transformation, internet, evolution integration, computer center, bussines model*

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

ელისო გაბეჩავა, დოქორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საზოგადოების ინტერესების განსაზღვრის საკითხები

რეზიუმე

საზოგადოების ინტერესების განსაზღვრის საკითხი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს და რთულ კატეგორიას, თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპებით. იგი გამოხატავს საზოგადოების აქტიურ დამოკიდებულებას მის გარშემო არსებულ სამყაროსთან. ინტერესი სუბიექტის შეგნებული, ფასეული დამოკიდებულებაა თავისთავთან და ობიექტთან, გარშემო არსებულ რეალურ მოვლენებთან, რომლებსაც აქვთ უნარი დააკმაყოფილონ მისთვის მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები. საზოგადოებრივი ინტერესის ფორმირების დროს ხდება არა მექანიკური „შეკრება“ და ერთი ინტერესის „ზედდება“ მეორეზე, არამედ მათი „შეთანხმება“ და ხარისხობრივად ახალი მოვლენის წარმოქმნა.

საზოგადოებრივი ინტერესების დანიშნულებას საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მისი მთლიანობის გარანტია და განვითარების მდგრადობა წარმოადგენს. საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელია ყველა მოქალაქე, რომლსაც ესმის პიროვნების საზოგადოების გარემუარსებობის შეუძლებლობა დარომელიც ორიენტირებულია სოციალურად სასარგებლო ქმედებაზე.

საკვანძო სიტყვები: ინტერესი, მოთხოვნილება, საზოგადოება.

შესავალი

განვიხილოთ თავდაპირველად საკვანძო ცნება „ინტერესი“. ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციოლოგიურ კატეგორიას და გამოხატავს საზოგადოების

აქტიურ დამოკიდებულებას მის გარშემო არსებულ სამყაროსთან. იგი პირდაპირ არის დაკავშირებული სოციალური მიზეზობრიობის პრობლემასთან, რომელიც ობიექტიურად ხსნის საზოგადოებრივ, ან ინდივიდუალურ მოღვაწეობას. თავისი წარმომოხებით მას აქვს ლათინური ფესვები. „inter esse” (interest) გაიგება როგორც - „მნიშვნელოვანი, სურვილის ქონა (შიგნით ყოფნა)”.

ინტერესის შესწავლა მოწმობს, რომ მოცემული ფენომენი ცოდნის მრავალი დარგების შესწავლის საგანი გახდა. სახელდობრ, ინტერესის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტის პრობლემის შესწავლით დაკავებულია სოციოლოგია; ეკონომიკა იკვლევს ინტერესის გავლენას მაკრო-ეკონომიკურ და მიკრო-ეკონომიკურ პროცესებზე; პოლიტოლოგია სწავლობს პოლიტიკური ზემოქმედებისა და ძალაუფლების ინსტიტუტების მეშვეობით საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების გამოხატვის პროცესს. თუ მხედველობაში მივიღებთ „ინტერესის” ასეთ ფართო „სამეცნიერო გეოგრაფიას”, დასაბუთებულად შეიძლება ის საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული ციკლის ყველა მეცნიერების მეტა-კატეგორიად ჩაითვალოს.

ძირითადი ნაწილი

ინტერესების საშუალებით საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცხოვრება პირველად ახსნეს XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა. კერძოდ, პ.გოლბახი წერდა - „ინტერესს უწოდებენ ობიექტს, რომელთანაც ყოველი ადამიანი აკავშირებს - თავისი ტემპერამენტისა და იდეებისადმი დამოკიდებულების მიხედვით, საკუთარ ბედზე წარმოდგენას; სხვანაირად, რომ ვთქვათ, ინტერესი - ეს არის უბრალოდ ის, რასაც ყოველი ჩვენგანი აუცილებლად თვლის თავისი ბედნიერებისათვის. დ.დიდრო წერდა: „როდესაც ლაპარაკობენ ინდივიდების ინტერესებზე, ერის ინტერესებზე - „ჩემი ინტერესი”, „სახელმწიფოს ინტერესი”, „მისი ინტერესი”, „მათი ინტერესი” - ეს სიტყვა ნიშნავს სახელმწიფოსათვის, პიროვნებისათვის, ჩემთვის და ა.შ. რაღაც საჭიროს, ან სასარგებლოს. კ.ჰელვეციუსი წიგნში „ჰუკუს შესახებ” ცდილობდა ეჩვენებინა, რომ უშუალოდ ინტერესი შეადგენს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს, ხალხის მოღვაწეობის საფუძველს, მათ წარმოდგენას, სახელმწიფოებრივ მოწყობას, ადათებს და უფლებებს. „თუ ფიზიკური სამყარო ექვემდებარება მოძრაობის კანონს, მაშინ სულიერი სამყარო არანაკლებ დამოკიდებულია ინტერესის კანონზე. დედამიწაზე ინტერესი არის ყოვლისშემძლე ჯადოქარი, რომელიც ყველას თვალში ცვლის ყველანაირი საგნის სახეს“.

„ინტერესის“ მეთოდოლოგიური დამუშავება მოცემულია გერმანელი მოაზროვნეების ფილოსოფიაში. ნ.კანტის აზრით, ყოველგვარი საზოგადოებრივი ცხოვრება აიხსნება ინტერესების მეშვეობით. ინტერესის შეცნობაში დიდი წვლილი შეიტანა გ.ჰეგელმა, რომლისთვისაც ინტერესი სულის ფილოსოფიის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს, „ისტორიის უახლესი განხილვა გვარწმუნებს, რომ ადამიანთა ქმედება გამომდინარეობს მათი მოთხოვნილებებისაგან, მათი ვნებებიდან, მათი ინტერესებიდან და მხოლოდ ისინი თამაშობენ მთავარ როლს, „ამიტომაც არაფერი არ ხორციელდება ინტერესების გარეშე“.

ამგვარად, ამკარაა, რომ XVIII საუკუნიდან დაწყებული კატეგორიამ „ინტერესი“ თავისი მეცნიერული აღიარებამოიპოვა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა ეს მოვლენა შეაფასეს სოციალური აქტივობისა და საზოგადოებრივი განვითარების მიზნების ახსნით.

„ინტერესი“-ს ცნებამ თავისი ადგილი დაიკავა სამართლებრივ მეცნიერებაშიც. იურიდიული ლიტერატურის ანალიზი მოცემულ პრობლემატიკასთან მიმართებით შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება. პირველი მიმართულება დაკავშირებულია ადამიანის უფლებების პრობლემების კვლევასთან, სახელდობრ პიროვნების სუბიექტურ უფლებებთან. მეორე მიმართულება წარმოადგენს შედარებით უფრო სოციოლოგიურს და დაიყვანება ინტერესის აღქმამდე, რომელიც გამოხატავს ადამიანის ობიექტურ დამოკიდებულებას საზოგადოებაში არსებული პირობების მიმართ.

XX საუკუნის 60-ანი წლების დასაწყისიდან მკვლევარები შეეცადნენ საკითხის მეთოდოლოგიური კვლევა დიალექტიკურ ლოგიკაში გადაყვანის გზით წარემართათ. ცხადი გახდა, რომ ინტერესს გააჩნია ობიექტურ-სუბიექტური დახასიათება, სადაც ობიექტური ვლინდება როგორც პოტენციური მომავალი რაქტიკული მოღვაწეობისათვის, ხოლო სუბიექტური - ამ პოტენციალის შეგრძნებაში და მის პერსონიფიცირებაში. ამგვარად, ინტერესში სუბიექტური და ობიექტური არა მარტო არ გამოირიცხავენ ერთმანეთს, არამედ ერთი წარმოადგენს მეორის საფუძველს და პირიქით. უფრო მეტიც, სწორედ მათი ინტეგრაცია (სუბიექტურისა და ობიექტურისა) ერთ მთლიანობაში იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ ისეთ სოციალურ მოვლენაზე, როგორცაა ინტერესი.

შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა, საშუალებას გვაძლევს ინტერესი განვიხილოთ როგორც საჭიროება და მოთხოვნილება, ურთიერთობა და დამოკიდებულება, სარგებელი, სიკეთე, ფასეულობადაა.შ. რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ინტერესის საგანთან. თუ ობიექტი სუბიექტისათვის არწარმოადგენს მატერიალურ, ან სულიერ ფასეულობას, მაშინ ის არშეიძლება იყოს მისი ინტერესის საგანი. მაშასადამე, იმისათვის, რომ გახდეს ინტერესის საგანი ობიექტმა უნდა გაიაროს სუბიექტის მიერ შეფასების პროცედურა, რის ჩარჩოებში ხდება გარკვევა მისი უნარის ხარისხისა, შეუძლია თუ არა მას დააკმაყოფილოს სუბიექტის საჭიროებები. ინტერესის საგნის მიღება სუბიექტისათვის უმცირესი დანახარჯებით შეადგენს მის სარგებელს.

რაც შეეხება ჩვენი თემის მეორე საკვანძო სიტყვა „მოთხოვნილებას“,

მისი კავშირი ინტერესთან ვლინდება იმაში, რომ ერთი და მეორეც ახლოს არიან ერთმანეთთან შინაარსით. მოთხოვნილება - ეს არის რაიმეს აუცილებელი საჭიროება ორგანიზმის, ინდივიდუმის, სოციალური ჯგუფის, საზოგადოების სიცოცხლის უნარიანობის შესანარჩუნებლად მთლიანობაში. ეს არის აქტიურობის შიდა გამაღიზიანებელი. ისინი იყოფიან ბიოლოგიურად, რომელიც დამახასიათებელია როგორც ცხოველებისათვის ასევე ადამიანებისთვის და სოციალურად, რომლებიც ატარებენ ისტორიულ ხასიათს და აქვთ მიდრეკილება მათზე მოახდინოს გავლენა ეკონომიკამ, კულტურამ, იდეოლოგიამ. მოთხოვნილებების მნიშვნელოვანი თავისებურებაა - მათი დინამიური ხასიათი, ცვალებადობა, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებების ბაზაზე, ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნილებების წარმოშობა. სოციალური სუბიექტების მოთხოვნილებები დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების დონეზე, ასევე მოღვაწეობის სპეციფიურ სოციალურ პირობებზე. ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მივყავართ ახალის ჩასახვასთან და სწორედ ეს ანსხვავებს ადამიანს, რომელიც ახდენს ბუნების და სოციალური გარემოს გარდაქმნას ცხოველთა სამყაროდან, რომელიც შეგუებულია ამ გარემოს. „მოთხოვნილებების ზომიერება და მათი დაკმაყოფილების მეთოდები დიდი ხარისხით დამოკიდებულია ამა თუ იმქვეყნიური კულტურის დონეზე.“

რაც შეეხება ურთიერთობის თვალსაზრისით ინტერესის დახასიათებას, მოცემულ შემთხვევაში განსახილველი მოვლენების ურთიერთკავშირი განპირობებულია იმით, რომ სუბიექტი არ შესული ურთიერთობაში, საერთოდ უუნაროა დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესი, ურთიერთობა არის ინტერესის გამოვლენის გარეგანი ფორმა, რის საშუალებითაც მას უნარი აქვს წარმოიშვას, ჩამოყალიბდეს და იქნეს რეალიზებული. ინტერესის მიმართებაში შეიძლება გამოვყოთ ურთიერთობა სხვა პირებთან და ურთიერთობები მატერიალურ და იდეალურ გარემომცველ სინამდვილის ობიექტებთან.

დასკვნა

ამრიგად, ინტერესი არის რთული სოციალური კატეგორია, თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპებით და სტადიებით - წარმოშობა, ჩამოყალიბება და რეალიზება.

ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ინტერესის ქვეშ ვიგულისხმოთ - სუბიექტის შეგნებული, ფასეული დამოკიდებულებ თავის თავთან და ობიექტთან, გარშემო მყოფ რეალურ მოვლენებთან, რომლებსაც უნარი აქვთ დააკმაყოფილონ მისთვის მნიშვნელოვანი მოთხოვნილება. მიღებული დასკვნები გამოგვადგება საზოგადოების ინტერესების შემდგომი დახასიათებისთვის.

საზოგადოების ფორმალურ-ლოგიკური ინტერესები შეესაბამება კატეგორ-

რიას „საერთო” და შეიძლება ასევე აღქმულ იქნას, როგორც საზოგადოებრივი ინტერესები, და აქვთ ერთიანი სუბიექტი - საზოგადოება. საზოგადოების განსასაზღვრავად, თავის მხრივ აუცილებლად უნდა მივმართოთ სოციალური ერთობის განსაზღვრას, რომელიც წარმოადგენს - ხალხის ჯგუფს და კავშირებულს ერთმანეთთან ურთიერთობებით. ამავე დროს, თვითონ სიტყვა „ერთობა” თავისი აზრით საკუთრივ სოციალურს არ წარმოადგენს და ძალიან ხშირად იხმარება ისეთი ცნებების ანალოგად, როგორცაა ერთობლიობა, მოწესრიგება, დაჯგუფება და ა.შ. ჩვენ საკმაოდ ხშირად გვესმის კაპიტალის ერთობლიობის, ინტერესების ერთობლიობის, მიზნების ერთობლიობის შესახებ, განხილულს იმ სუბიექტებისაგან მოწყვეტილად, რომლებიც მონაწილეობენ შესაბამის ურთიერთობაში. სხვა საქმეა - საზოგადოება. მოცემული ინსტიტუტი არ არსებობს სოციუმის - ადამიანთა კოლექტივის გარეშე.

თავის მხრივ თანაფარდობა სოციალურ ერთობასა და საზოგადოებას შორის, ვლინდება იმაში, რომ „ერთობა არის მყარი და ნამდვილი ერთობლივი ცხოვრება, ხოლო საზოგადოება - წარმავალია და ილუზიური. და ამიტომ თვით ერთობა უნდა გავიგოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. ხოლო საზოგადოება - როგორც მექანიკური დანადგარი და არტეფაქტი „ამრიგად, ერთობა უნდა განვიხილოთ პირველადი სახით, ხოლო საზოგადოება - წარმოებული კატეგორიის სახით. ერთიანობა (ერთობა) არის წინაპირობა საზოგადოების ფორმირებისა, რომელიც „ემპირიულად მოცემული აქვს მკვლევარს როგორც დედამიწაზე არსებული ინდივიდუუმების ერთობლიობა, ხოლო ცალკეული ინდივიდი - როგორც მისი ელემენტი“.

ამავდროულად საზოგადოების დუალისტურ-მატერიალისტური გაგება არ შემოიფარგლება მოცემული ფაქტის კონსტატაციით. საზოგადოება - უფრო სხვაა, ვიდრე ინდივიდების ჯამი, ის მოიცავს თავის თავში, წინამორბედი თაობის ხალხის მოღვაწეობის შედეგებს. საზოგადოებრივი ინტერესის ჩამოყალიბების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის, ასე თუ ისე, შედეგა ცალკეული კერძო ინტერესებისაგან, მაგრამ ამავდროს არ წარმოადგენს მათ მარტივ ჯამს. თანმთხვევადი კერძო ინტერესების ერთობლიობა ქმნის საერთო ინტერესს, რომელიც უნდა განვასხვავოთ საზოგადოებრივი ინტერესებისაგან. მოცემულ მდგომარეობას აღნიშნავდა ჯერ კიდევ ჟ.ჟ. რუსო: „ყველას ნებასა და საერთო ნებას შორის ხშირად არსებობს დიდი განსხვავებები. საერთო ნება მხედველობაში იღებს მხოლოდ საერთო ინტერესებს. ყველას ნება მხედველობაში იღებს მხოლოდ კერძო ინტერესებს და წარმოადგენს ინდივიდუალური ნებები ერთობლიობას. თუ გამოვაკლებთ ამ ნებებს პლუსს და მინუსს, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან, დარჩება როგორც შედეგი განსხვავებულობისა, საერთო ნება „აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ინტერესის ფორმირების დროს ხდება არა მექანიკური „შეკრება” და ერთი

ინტერესების „ზედდება“ მეორეზე, არამედ მათი „შერიგება“ და შეთანხმება, რომლებიც წარმოქმნიან ხარისხობრივად ახალ მოვლენას. საზოგადოებრივი ინტერესების დანიშნულება - ეს არის საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა მისი მთლიანობის გარანტია და განვითარების მდგრადობა. საზოგადოებრივი ინტერესების მატარებლებს წარმოადგენს ყველა მოქალაქე, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სოციალურად სასარგებლო ქმედებაზე, რომლებსაც ესმით ადამიანის საზოგადოების გარეშე არსებობის შეუძლებლობა.

ამასთან ერთად კერძო ინტერესი ყოველთვის არ არის შეთანხმებული საზოგადოებრივ ინტერესებთან, რასაც მივყავართ კონფლიქტებთან და სოციალური ნორმების დარღვევასთან. ამასთან დაკავშირებით კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების თანაფარდობას უწოდებენ უფრო მეტად რთულს და წინააღმდეგობრივს, რადგანაც კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დამკვიდრებული ერთიანობა არ გამოირიცხავს ურთიერთწინააღმდეგობის საშუალებას კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ამ მდგომარეობას აქვს არსებითი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც იძულებულნი ვართ გადავწყვიტოთ ამოცანა ინტერესეთა კონკურენციის შესახებ.

ლიტერატურა:

1. იზორია, ლევან. თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009
2. Гольбах П.А. Избранные философские произведения. Т.1. М., 1963. С.311.
3. ТеннисФ. Общностиобщество. Основные понятия читтой социологии. СпбЮЮ2002. С.11,12.
4. Парсонс Т. Система современных обществ: пер. с англ. / под ред. М.С. Ковалевой. М., 2006

*Eliso Gabechava, PhD student
Georgian Technical University*

To Determine The Issue Of Public Interest

Summary

With different stages of its existence, interest is an important and complex category. It expresses the active attitude of society with its surrounding world. Interest is a conscious and valuable attitude to the subject and himself and to the surrounding realities, who have the ability to meet important needs for him.

The purpose of public interest is to ensure public viability, guarantee its integrity, and the steadfastness of its development. Every citizen is a bearer of public interests, which is oriented towards socially beneficial action, and who understands that a person without a society can not exist.

პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნის - საქართველოს საგარეო პოლიტიკა

რეზიუმე

საქართველო პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების თავისებურებებისა და პრობლემების ერთგვარ კვინტენსენციას წარმოადგენს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მას ალბათ დამოუკიდებლობის მოპოვების ყველაზე დრამატული გამოცდილება დაუგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყნისათვის დამახასიათებელი ბევრი სისუსტე საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან აშკარად დაეტყო. საქართველო, გზა აირჩია: მიზნად დაისახა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება.

საკვანძო სიტყვები: საგარეო პოლიტიკა, რეგიონული კონტექსტი, „სტრატეგიული იდეალიზმი“, რუსეთის შეიარაღებული ძალები.

შესავალი

საქართველო პოსტსაბჭოური რესპუბლიკათაგან ერთ-ერთი იყო, რომელიც თავდაპირველად თვითგადარჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მოგვიანებით კი სტრატეგიული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა.

ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს „სტრატეგიული იდეალიზმი“, ე.წ. კულტურული პარადიგმების სიჭარბით ხასიათდებოდა. მათში მოიაზრება ტრადიციული ქართული ფასეულობები, უცხო ხალხებისა და სახელმწიფოების და, ზოგადად, მსოფლიოს აღქმა და მათ მიმართ დამოკიდებულება. ეს ღირებულებები ხშირად ახდენდა გავლენას ქართველ ხელისუფალთა შეფასებებზე, რამაც მათ პოლიტიკურ არაკომპეტენტურობასა და პოპულიზმთან ერთად ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში სასურველის რეალობად მიჩნევისა და სტრატეგიული იდეალიზმის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებისა და ქვეყანაში შედარებითი სტაბილიზაციის დამყარების შემდეგ, 90-იანი წლების შუა ხანებში. ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ გეოპოლიტიკური გარემოს შედარებით უკეთესი აღქმა გამოავლინა და ფრთხილი, მაგრამ ზედ-მიწევნით დასავლური ორიენტაციის საგარეო პოლიტიკის გარატება დაიწყო.

ძირითადი ნაწილი

1990-იანი წლების ბოლოსათვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორი ძირითადი გარემოებით განისაზღვრება: პირველი – რეგიონული კონტექსტია, რომ იგი მეზობელ ყოფილ ბატონზე, არაპროგნოზირებად რუ-

სეთზე ძლიერ არის დამოკიდებული; მეორე – ქვეყნის შინაგანი სისუსტე და ერთიანობის უქონლობაა, რაც მას დამოუკიდებელი და მტკიცე საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაში უშლის ხელს. ამგვარ ვითარებაში, ევროპასთან ინტეგრირებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების სტრატეგიული მიზნის მიღწევა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფალთა აზრით, ფართომასშტაბიან საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს აღნიშნული მიზნების მიღწევაში.

ამდენად, შესაძლებელია გამოიყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემდეგი მიმართულებები:

1. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
2. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია;
3. ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრული, დაბალანსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
4. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა;
5. რეგიონული თანამშრომლობის განვითარება;
6. საქართველოსა და მთლიანად რეგიონის მიმართ საგარეო ეკონომიკური დაინტერესების გაზრდა;
7. რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა.

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ჩამონათვალი საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტთა ნუსხას წარმოადგენს.

2000 წლის ოქტომბერში თბილისში გამართულ კონფერენციაზე საქართველო და მისი პარტნიორები: „მომავალი ათასწლეულის მიმართულებები“ მთავრობის მიერ იქნა წარმოდგენილი ასეთი სახელწოდების დოკუმენტი – „საქართველო და გარესამყარო: მომავლის ხედვა და სტრატეგია“.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მიერ მოწონებული ეს დოკუმენტი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრის ცდას.

დოკუმენტში გარკვევით არის დაფიქსირებული საქართველოს სურვილი სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობები ჰქონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან და, განსაკუთრებით, რუსეთთან.

მკვლევართა ერთი ნაწილი დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკას ორ ძირითად პერიოდად ყოფს. პირველი მოიცავს ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობას დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 1992 წლამდე, ხოლო მეორე – ე. შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლიდან (1992 წ.) დღემდე. 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა და საერთაშორისო სამართლის თანახმად, კვლავ ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკად განიხილებოდა. 1991

წლის აპრილში, დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლება საერთაშორისო აღიარების მოპოვებასა და გარესამყაროსთან კავშირების დამყარებას შეეცადა. დამოუკიდებლობის იმ ადრეულ წლებში, უამრავი არაოფიციალური ვიზიტი და კონსულტაცია შედგა. მეორე პერიოდი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ქართული სტრატეგიული აზროვნებისა და საგარეო პოლიტიკური ანალიზის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ერთგვარ ათვლის წერტილს წარმოადგენს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის დაწყება 1992 წელს ე. შვეარდნაძის დაბრუნებას უკავშირდება. 10 წელ იწადზე მეტი ხნის მანძილზე საქართველო საერთაშორისო საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ამის შესაბამისი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას ცდილობს.

ამ პერიოდში საქართველოს პოლიტიკური ელიტა სტრატეგიული ორიენტაციის განსაზღვრასა და მისგან გამომდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებზე თანხმობის მიღწევას ესწრაფვოდა.

შესაძლოა, ათი წელიწადი საკმაოდ მცირე დრო იყოს თანამედროვე სახელმწიფოებრიობის გამოცდილების არმქონე პატარა ქვეყნისათვის, რათა მან სრულყოფილად განსაზღვროს საგარეო პოლიტიკური მიზნები და გრძელვადიანი პოლიტიკური პერსპექტივა.

1992 წლიდან საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ხელისუფლებამ დაიწყო იმ გზის ძიება, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს აღიარებასა და მის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. უამრავი პრობლემის წინაშე მდგარ ახალ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობები ძალზე მცირე იმედს იძლეოდა.

რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მარტივი და სწორხაზოვანი პროცესი. ორ ერს ურთიერთობათა ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი – სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნამ. თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ და რუს ხალხებს კულტურული და ისტორიული თანაცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილებები ჩამოუყალიბდათ.

რუსეთთან გეოგრაფიულ მეზობლობას, მის რესურსებსა და ბაზრის მოცულობას, ისევე როგორც კულტურულ კავშირებს, სამხრეთ კავკასიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. 1996 წლის თებერვალში შვეარდნაძემ საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობის სახელმძღვანელო ექვსი პრინციპი წამოაყენა. მოგვიანებით, ეს დოკუმენტი „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივის სახელით გახდა ცნობილი.

სამწუხაროდ, დღეისათვის თვის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური

ვითარება კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების ინტენსიურ და ეფექტიან თანამშრომლობას აფერხებს. ეს თანამშრომლობა კი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

გარკვეულწილად, საქართველოს სამომავლო გეგმები და იმედები 1992 წელს შექმნილ შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობასთან (BSEC-თან) არის დაკავშირებული. 1999 წელს, საქართველოს თავმჯდომარეობის დროს BSEC-მა საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი მიიღო და წევრ სახელმწიფოებს ევროკავშირთან თანამშრომლობისა და დაახლოების ახალი პესპექტივა შეუქმნა. BSEC-ის წევრობა არა მარტო რეგიონული თანამშრომლობის ზრდას უწყობს ხელს, არამედ საქართველოს გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტებისაგანაც იცავს.

საქართველო გარკვეულ იმედებს სუუამზეც (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ამყარებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმონაქმნი საკმაოდ ახალგაზრდაა და არასაკმარისად განვითარებულიც, რაც მის მიმართ მრავალი მიმომხილველის სკეპტიციზმს განაპირობებს. ამჟამად სუუამ-ის ძირითადი შემაკავშირებელი ეკონომიკური ინტერესია მომავალში იგი თავისუფალ სავაჭრო ზონად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ერთდროულად საქართველო დსთ-ის წევრის სტატუსსაც ინარჩუნებს, იმის მიუხედავად, რომ ეს ორგანიზაცია საკმაოდ უღიმღამო აღმოჩნდა.

ევროპასთან ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის უმთავრესი მიზანი გახდა (იგი რუსეთსაც ევროპის ნაწილად განიხილავს). ამავ დროს, არც საქართველოს მოსახლეობას და არც მის ხელისუფლებას უახლოეს მომავალში ამ მიზნის მიღწევის თაობაზე ილუზია არ ამოძრავებს. პირიქით, ევროპულ სტრუქტურებთან და სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ზრდის მიუხედავად, „ევროპაში დაბრუნების“ შანსები და შესაძლებლობები ქართულ პოლიტიკურ ელიტას ამჟამად გაცილებით რეალისტურად აფასებს. იმის მიუხედავად, რომ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებისა და ქართული კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით კონკრეტული ნაბიჯები იქნა გადადგმული. ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მათ შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. მოსახლეობის სკეპტიციზმი ადვილად გასაგებია, რადგან შეუსრულებელი დაპირებები და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები მისთვის უკვე ძნელად ასატანია.

მიმდინარე გარდამავალ ეტაპზე საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ – ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, აშკარად დასავლური არჩევანი გააკეთა, მაგრამ ისმის კითხვა: ეს არჩევანი საბოლოო და შეუქცევადია, თუ მას შეიძლება რაიმე დაემუქროს?

საქართველოს არჩევანის შეუქცევადობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაართმევს თავს ადგილობრივი ელიტა სახელმწიფოს მშენებლობისა

და ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ პრობლემებს, შეძლებს თუ არა იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების მოგვარებას. ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრას შეუძლია არა მარტო გააუმჯობესოს საქართველოს საერთაშორისო იმიჯი და ეკონომიკური მიმზიდველობა, არამედ ქართულ საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური შეკავშირების გაძლიერებასაც შეუწყოს ხელი.

დასკვნა

საქართველოს მიერ არჩეული პოლიტიკის თანმიმდევრობის თვალსაზრისით, მეორე უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი საკითხი ხელისუფლების კონსტიტუციური, მშვიდობიანი გზით შეცვლაა. ის ფაქტი, რომ პიროვნებები ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებენ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, სახელმწიფო ინსტიტუტების არასრულყოფილების შედეგია. ჯერ მათ უნარი არა აქვთ, ხელისუფლების ავტორიტარული და უწყვეტი გადაცემა დემოკრატიული მექანიზმებით უზრუნველყონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რონდელი ა., პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბ., 2003.
2. კნუტსენი ო., პატარა სახელმწიფო: უსაფრთხოების პრობლემა, პოლიტიკა“, თბ., 7, 1991.
3. წულუკიანი თ., ეროვნული უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები, სადიპლომო ნაშრომი, თბილისის დიპლომატიური აკადემია, თბ., 1993.
4. Rondeli A., Georgia: Foreign Policy and National Security Priorities, Discussion Paper Series. 3. UNDP Country Office, Tbilisi, Georgia, 1999.

*Tamta Epidashvili,
Georgian Technival University*

The post-Soviet nation - Georgia's foreign policy

Summary

Georgia is a kind of quintessence of the peculiarities and problems of post-Soviet countries. From the former Soviet republics he probably has the most dramatic experience of independence. Despite the fact that a lot of weakness in the small country has been evident from the very first days of Georgia's independence. Georgia chose the road: aimed to integrate into European and Euro-Atlantic structures.

Keywords: *Foreign Policy, Regional Context, “Strategic Idealism”, Russian Armed Forces.*

*ინგა გრიგალაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

კომპრომისი ირანისა და ქართლის ურთიერთობაში. როსტომ-ხანი და თეიმურაზ მეფე

რეზიუმე

როსტომ მეფის ზეობის ხანა ამომწურავ მასალას იძლევა მეცნიერული კვლევისა და განსჯისათვის. მის შესახებ უხვი ცნობები მოიპოვება წერილობით წყაროებში.

XVII საუკუნის პირველ მესამედში ირანის მხრიდან კომპრომისი გამოიხატა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალ-ეკონომიურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობით და „ვალის“ ტიტულით. „გურჯისტანის ვალს“ ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად, როსტომის მეფობის დროს საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური ქართული იყო. ამასთანავე, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ქართულ ენასთან ერთად სპარსულიც ფუნქციონირებდა. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს XVII საუკუნის 30-50 წლების ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთები და ისტორიული დოკუმენტები. როსტომ მეფე შესანიშნავად იყენებდა ირანელთა განწყობას მათ „კომპრომისულ პოლიტიკას“ აღნიშნულ პერიოდში.

წყაროების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ქართლ-კახეთის მეფეები სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით ცდილობდნენ, ირანის ხელისუფალნი თავიანთ ერთგულებაში დაერწმუნებინათ. მათი მთავარი მიზანი იყო, საქართველოს მიწა-წყალი ეხსნათ აოხრებისგან, შეენარჩუნებინათ მისთვის სახელმწიფოებრიობა, სარწმუნოება, ენა. თავის მხრივ, სეფიანთა ირანის სახელმწიფოც დაინტერესებული იყო გარკვეული ხნით საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა.

XVII საუკუნის I ნახევარში მრავალი ქართველი იყო ირანის პოლიტიკურ სარბიელზე დაწინაურებული, რომელთაც ირანის ბედ-იღბალში არაერთხელ უთამაშიათ გადაამწყვეტი როლი. ირანის გაბატონებულ კლასში კავკასიური ელემენტის შეჭრამ და განმტკიებამ კი გარკვეული გავლენა იქონია ირან-საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებაზე, კერძოდ „კომპრომისული პოლიტიკის“ შემუშავებაზე.

საკვანძო სიტყვები: კომპრომისი, ისქანდერ მუნში, როსტომ-ხანი, „გურჯისტანი“, სპარსეთის შაჰი, „ვალის“ ტიტული.

შესავალი

XVII საუკუნის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესწავლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულება „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასის“ (აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. თხზულების სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნანა გელაშვილმა). აღნიშნულ თხზულებაში დაცული ცნობებით და მათი სხვა წყაროებთან შედარებით გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად შეგვექმნება წარმოდგენა XVII საუკუნის დასაწყისში ირან-საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ.

XVII საუკუნის სპარსულ ისტორიოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ისქანდერ-ბეგ თორქემანს, რომელიც მუნშის სახელითაა ცნობილი. მას, როგორც შაჰის კარზე დაახლოებულ პირს, ხელი მიუწვდებოდა მნიშვნელოვან ოფიციალურ საბუთებზე, დოკუმენტებზე და სახელმწიფო არქივზე. რადგანაც იგი უშუალო მონაწილე, და თვითმხილველი ჰყოფილა მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენის, ვფიქრობთ მეტად სარწმუნოა მისი ცნობები აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით.

თავის თხზულებაში მან ფართოდ გამოიყენა საარქივო მასალა, სწორედ ამიტომ ისქანდერ მუნშის ნაწარმოები მნიშვნელოვანი პირველწყაროა XVI საუკუნის II ნახევრისა და XVII საუკუნის I მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის.

ძირითადი ნაწილი

ნამდვილად სწორადა შეფასებული როსტომ მეფის ეპოქა, როდესაც ამბობენ, რომ: როსტომ მეფის ზეობის ხანა ამომწურავ მასალას იძლევა მეცნიერული კვლევისა და განსჯისათვის. მითუმეტეს, რომ მის შესახებ უხვი ცნობები მოიპოვება როგორც უკვე ცნობილ, ასევე ახლად გამოვლენილ წერილობით წყაროებში, რომელთა ურთიერთშეჯერება და კრიტიკული ანალიზი საშუალებას იძლევა ცალკეული საკითხების სიღრმისეულად გასააზრებლად და ობიექტურად წარმოსაჩენად. [1:119].

საყურადღებოა აგრეთვე XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსები: იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, მუსტაფა ნაიმა, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ირან-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ.

XVII საუკუნის პირველ მესამედში ირანის მხრიდან კომპრომისი გამოიხატა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალ-ეკონომიურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობით და „ვალის“ ტიტულით. „გურჯისტანის ვალს“ ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის. საინტერესოა, რომ თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები

თავის „მოგზაურობის წიგნში“ ტერმინ „გურჯისტანს“ სხვადასხვა ადგილას განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობს. ზოგ შემთხვევაში „გურჯისტანს“ ევლია ჩელები აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებს, ზოგჯერ კი „გურჯისტანის ვილაიეთს“-დასავლეთ საქართველოს. ამას გარდა, როგორც ცნობილია, „გურჯისტანის ვილაიეთად“ ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოც იწოდებოდა.

საქართველოსა და ირანის ურთიერთობა XVII საუკუნის 30-იან წლებში მრავლამხრივსაინტერესოდასაყურადღებოპერიოდსწარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, რომ დაიწყო ახალი ეტაპი ორი მეზობელი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან, წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობათა ისტორიაში და მან განსაკუთრებულად ინტენსიური სახე მიიღო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში. ირანის სამეფო ტახტზე იმ დროისათვის შაჰ სეფი I (1629-1642), იმყოფებოდა, რომელიც საქართველოსთან დამოკიდებულებაში თავისი პაპის, შაჰ აბას I-ის (1587-1629) მიერ დაწყებული ე.წ. კომპრომისის პოლიტიკის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო. [2:187].

ნ. ნაკაშიძის აზრით, ირანსა და ქართლს შორის დამკვიდრებული ურთიერთობის ეს ფორმა „კომპრომისი“ მისი არსებობის პირველ ეტაპზე არ გულისხმობდა ბაგრატიონთა აუცილებელ მაჰმადიანობას. მისი აზრით, „ეს მართლაც ასე იყო, ოღონდ იმ კორექტივით, რომ: 1. ურთიერთობის ეს ფორმა დამკვიდრდა ირანსა და ქართლს შორის; 2. ირანსაქართველოს ურთიერთობაში კომპრომისის ხანა არ გულისხმობდა ბაგრატიონთა აუცილებელ მაჰმადიანობას, რაც დადასტურდა 1626 წელს საჰ აბასის, ხოლო 1629 და 1631 წლებში შაჰ სეფის მიერ თეიმურაზის ქართლ-კახეთის მეფედ ქრისტიანობითცნობით. 3. კომპრომისული ურთიერთობის ძირითადი შინაარსი (მათ შორის ბაგრატიონთა გამაჰმადიანება განსაზღვრა და დააკანონა როსტომმა საკუთარი ინიციატივით. [3:120].

ვფიქრობთ, ქართლისადმი ირანის კომპრომისული პოლიტიკის ზემოთაღნიშნული ფორმა არც როსტომის „საკუთარ ინიციატივას“ წარმოადგენდა და არც მის მიერ იყო „დაკანონებული“. აქვე გვინდა მოვიყვანოთ ჟ. შარდენის მეტად საინტერესო ცნობა, სადაც იგი აღნიშნავს: „აბასი საქართველოში დაბრუნდა და სახე უცვალა მას; ააშენა ციხე-სიმაგრეები და შიგ წმინდა სპარსელები ჩააყენა. საქართველოდან კი ოთხმოც ათას ოჯახზე მეტი აყარა და უმრავლესობა ჩაასახლა კასპის ზღვაზე მდებარე ქვეყანაში-მაზანდარანში“. [4:311].

როსტომი გამაჰმადიანებული ქართველი იყო ირანის შაჰის კარზე აღზრდილი შაჰ სეფის მიერ. საინტერესო ცნობას გვაწვდის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი აღნიშნული პერიოდის შესახებ თავის რელაციებში. მისი რელაციები მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც იგი აღნიშნავდა, რომ მას მიზანშეწონილად მიუჩნევია ჩვენთვის სრული ცნობების მოწოდება

„თეიმურაზის სამეფო ექვემდებარებოდა სპარსეთის ხელმწიფეს, რომელმაც სპარსეთის ჩვეულებისამებრ აქ დასვა მმართველად ერთი ხანი. იგი ამავე დროს სპარსეთის შაჰის მოადგილედ ითვლებს. (იგულისხმება როსტომ მეფე) ეს ხანი სპარსეთშია დაბადებული. [5:34].

როსტომ მეფეს, XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი ქათიბ ჩელები ზეგამის გამგებელს უწოდებს და აღნიშნავს: „დადიანმა ქალიშვილი შაჰის მიერ დანიშნულ ზეგამის გამგებელ ხოსრო-მირზას მიათხოვა“. [6:222].

ხოსრო-მირზა, როგორც ირანის ყულარ-აღასი და ისპაანის მოურავი (ისპაანის მოურავობა მან მარაბდის ომში მონაწილეობის შემდეგ მიიღო) დიდი გავლენით სარგებლობდა მთელ ირანში. როდესაც შაჰ აბასი გარდაიცვალა, „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“. [7:238].

როსტომი ქართლში გამეფებისას 67 წლისა ყოფილა. მისი საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი ენერგიულობით, გონიერებითა და ტაქტით. საერთოდ, როსტომი ჭკვიანი, ნიჭიერი და მამაცი კაცი ყოფილა. ამასთანავე საკმაოდ ეშმაკი და ცბიერიც. ვახუშტის დახასიათებით, როსტომი „საქმით ხუანჯიანი, სოფლის ფრიად ჭკუიანი“ იყო. [8:70-71].

შაჰ-აბასს ესმოდა, რომ კომპრომისული პოლიტიკა მას შესაძლებლობას მისცემდა გადაეყვანა ქართველი თავადები ირანის მხარეზე.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად, როსტომის მეფობის დროს საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური ქართული იყო. ამასთანავე, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ქართულ ენასთან ერთად სპარსულიც ფუნქციონირებდა. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს XVII საუკუნის 30-50 წლების ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთები და ისტორიული დოკუმენტები. როსტომ მეფე შესანიშნავად იყენებდა ირანელთა განწყობას მათ „კომპრომისულ პოლიტიკას“ აღნიშნულ პერიოდში და მარიამ დედოფლის მხარდამხარ დიდ ზრუნვასა და დახმარებას უწევდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამის ადასტურებს ის წერილობითი წყაროები რომლებიც მეფის თაოსნობით ეკლესია მონასტრების მშენებლობაზე, მოვლა-პატრონობასა და აღდგენაზე მოგვითხრობენ. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართულ-სპარსული დოკუმენტი, რომელიც 1650 წლით თარიღდება. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის მხარდაჭერით, ელისე თბილელმა სიონის ეკლესიის „გუმბათი და სამჯაროები განა[ა]ხლა და გამართა ყოვლისა საეკლესიოს სამკაულითა“. [9: 214-217]

როსტომმა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია იქითკენ მიმართა, რომ მოეშუშებინა დარბეული მიწა-წყლის ჭრილობები. იგი ნელ-ნელა, შეფარვით აკეთებდა ირანის საქმეს, ამავე დროს ბრძოლას არ უცხადებდა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას. ერთის მხრივ, როსტომი ეწეოდა სააღმშენებლო სამუშაოებს, ანახლებდა ეკლესიებს, მეორეს მხრივ კი, მის დროს დამკვიდრდა

ცივილიზაციური წეს-ჩვეულებები. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქართველი ხალხი თავის მიწაზე რჩებოდა და მას აღარ ემუქრებოდა აყრა-გადასახლება, ხოლო სამეფო ტახტზე იჯდა არა ცივილიზაციაში ხანი, არამედ - ბაგრატიონთა დინასტიის ჩამომავალი. [10: 39].

ირან-საქართველოს შორის დამყარებული კომპრომისულ ურთიერთობა გარკვეული თვალსაზრისით ხელს აძლევდა ირანის ხელისუფლებას; საქართველოს სრული ანექსიის გეგმის ჩაშლამ და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებმა აიძულა ირანი, რომ საქართველოს ფაქტობრივ დამოკიდებულებას შეგუებოდა. ასეთი ვითარება დროებით შეიცვალა შაჰ აბას I-ის ზეობის პერიოდში. მაგრამ ქართველი ხალხის მედგარმა წინააღმდეგობამ ამჯერადაც ჩაშალა სეფიანთა აგრესიული გეგმები და საქართველო-ირანს შორის კომპრომისული ურთიერთობის აღდგენა გამოიწვია. თავის მხრივ, ამგვარი ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთს შორის ძალთა თანაფარდობის შენარჩუნებას და ურთიერთობის ნორმალიზაციას უწყობდა ხელს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, კონკრეტულად კი ამ გზით აღმოსავლეთ საქართველოზე მტრის აგრესიის საფრთხე სუსტდებოდა და ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრების პირობები იქმნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კომპრომისულ ურთიერთობას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნდა, რამდენადაც ირანზე საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მორალურ დამოკიდებულებას გულისხმობდა. საქართველოს ვალდებულებას წარმოადგენდა ყოველწლიურ ფეშქაშ-მისართმევლისა და ქალ-ვაჟთა განსაზღვრული რაოდენობის გაგზავნა შაჰთან. გარდა ამისა, საქართველოში იმ ხანებში მიმდინარეობდა ცივილიზაციური მომთაბარე ტომების იძულებითი თუ „მშვიდობიანი“ სტიქიური ჩამოსახლება, ყოფა-ცხოვრებაშიც ფეხს იკიდებდა ცივილიზაციური წეს-ჩვეულებები. მაგრამ მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, კომპრომისული ფორმა მაინც მისაღები იყო ქართულ ფეოდალურ საზოგადოებისათვის, როგორც ადგილობრივი ფეოდალური წყობილებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების იძულებითი, მაგრამ არსებულ ვითარებაში ერთადერთი გონივრული საშუალება. [11:335-336].

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული წყაროების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ქართლ-კახეთის მეფეები სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით ცდილობდნენ, ირანის ხელისუფალნი თავიანთ ერთგულებაში დაერწმუნებინათ. მათი მთავარი მიზანი იყო, საქართველოს მიწა-წყალი ეხსნათ აოხრებისგან, შეენარჩუნებინათ მისთვის სახელმწიფოებრიობა, სარწმუნოება, ენა. თავის მხრივ, სეფიანთა ირანის სახელმწიფოც დაინტერესებული იყო გარკვეული

ხნით საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა.

განხილული წყაროების ანალიზიდან და ურთიერთშედარებიდან ნათლად ჩანს, რომ XVII საუკუნის I ნახევარში მრავალი ქართველი იყო ირანის პოლიტიკურ სარბიელზე დაწინაურებული, რომელთაც ირანის ბედ-იღბალში არაერთხელ უთამაშიათ გადამწყვეტი როლი. ირანის გაბატონებულ კლასში კავკასიური ელემენტის შეჭრამ და განმტკიცებამ კი გარკვეული გავლენა იქონია ირან-საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებაზე, კერძოდ „კომპრომისული პოლიტიკის“ შემუშავებაზე.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ნ., ქართველი მეფე-მთავრები და შაჰ სეფი I (1629-1942), თბილისი, 2008.
2. გელაშვილი ნ., საქართველო და ირანი XVII საუკუნის 30-იან წლებში (სპარსულ საისტორიო თხზულებათა შუქზე). თბილისი 1996.
3. ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბილისი, 1977
4. შარდენი.ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა მ.მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975
5. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე, თბილისი, 1964.
6. ჩელები ე., ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი, 2013
7. გიორგიჯანიძე ფ., ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბილისი. 1926.
8. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1913.
9. ფუთურიძე ვლ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთი, V, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955
10. მუნში ი., ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, საქართველოს ისტორიის წყაროები, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბილისი, 1981.
11. გელაშვილი ნ., ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლ-კახეთის სამეფოთა ურთიერთობა ირანთან XVI საუკუნის 70-80-იან წლებში, თბილისი, 1995.

ფსიქოლოგია

PSYCHOLOGY

*ნიკა გაბლიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

„აგრესია როგორც ფენომენი და მისი სახესხვაობები“

**თუ ვინმემ თქვენში დიდი აგრესია გამოიწვია,
ესე იგი ის თქვენ გაკოტროლებთ.
ელიზაბეტ კენი - ავსტრალიელი სამხედრო ექთანი**

რეზიუმე:

ემოციები ადამიანის ბიოლოგიის ისეთივე შემადგენელი ნაწილია როგორც კუნთოვანი, ან ნერვული სისტემა. ფაქტობრივად სწორედ ემოციებს მოჰყავს ადამიანი მოქმედებაში. იგია ხშირად მოტივაციის საფუძველიც. ემოციას ყოველთვის გააჩნია ობიექტი. თუმცა კოგნიტური პროცესებისგან განსხვავებით მისი ფუნქცია არ არის ამ ობიექტის აღქმა-შემეცნება, ემოცია ასახავს დამოკიდებულებას ამ ობიექტის მიმართ.¹

ემოციის და მისი გამოვლინებების მიმართ, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს. არის უამრავი მაგალითი, როდესაც ემოცია ხელს უშლის ეფექტურად მოქმედებას (მაგ.: გამოცდაზე გასვლისას ნერვიულობა, სტრესული სიტუაციისას შიშის გამო პარალიზება და ა.შ.) თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. მაგალითად შიშის ემოცია ეხმარება ადამიანს მობილიზებაში. ადრენალინის გამომუშავებისას იზრდება სუნთქვის სიხშირე, მეტი ჟანგბადი მიეწოდება ტვინს, იმატებს კუნთების ტონუსი და ადამიანი მზადაა საფრთხესთან გასამკლავებლად ან მის ასარიდებლად. არსებობს შესაბამისი გამოთქმაც: „ებრძოლე ან გაიქეცი“.

საკვანძო სიტყვები: აგრესია, ფენომენი, ემოცია, ადამიანის ფსიქიკა.

¹ www.doctrina.ge/7393-2/, ი. იმედაძე - ფსიქოლოგიის საფუძვლები, გვ. 230

შიშის ემოცია ზოგ შემთხვევაში პოზიტიურ როლს ასრულებს და ეხმარება ადამიანს, ზოგ შემთხვევაში კი პირიქით, მის დეზორგანიზებას ახდენს. აგრესის გამომწვევი ბრაზის ემოცია წარმოადგენს ერთგვარ ენერგიას, რომელსაც ესაჭიროება მართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა არასასურველი შედეგების მიღება.

აგრესია წარმოადგენს ადამიანის შინაგანი ემოციის გარეგან გამოვლინებას. ეს არის განზრახ ქმედება, რომლის მიზანია ზიანის მიყენება ან ტკივილის გამოწვევა.¹ მიუხედავად ასეთი მკაფიო განსაზღვრებისა ზოგჯერ რთულია მისი გამოყოფა სხვა, მომიჯნავე ფენომენებისგან. სტატიაში განხილულია აგრესიული ქცევის გამიჯვნის პრობლემატიკა და ტერმინის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: აგრესია, ემოცია, ბრაზი, აგრესიის დეფინიცია, გამიჯვნის პრობლემა

შესავალი

მკვლევარები გამოყოფენ ემოციის 7 ძირითად სახეს: შიში, სიხარული, გაბრაზება, ზიზღი, გოცება, სიძულვილი და სევდა. თანადყოლილი ემოციები გამოხატვის მხრივ განიცდის გარკვეულ კულტურალურ ზემოქმედებას. ამის დამადასტურებელია შიშის ემოცია, რომელსაც ნებისმიერ კულტურაში ჩვილი ბავშვი ერთნაირად გამოხატავს. ხმაურის დროს მათ უაქტიურდებათ ერთი და იგივე სახის კუნთები და ასრულებენ მსგავს მიმიკურ მოძრაობებს. თუმცა სხვადასხვა კულტურაში გარკვეული განსხვავებები მაინც არის აღმოჩენილი. განსაკუთრებით ეს განსხვავებები უფრო შესამჩნევია ზრდასრულობის ასაკში. ზრდასრულობისას ადამიანები უკვე ეჩვევიან საკუთარი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე შესაბამისი ინტენსივობის ემოციის გამოხატვას.²

აგრესიის გამომწვევ ემოციის - ბრაზის, ბუნებასთან დაკავშირებით, ორგვარი მიდგომა არსებობს. ფროიდისა და ლორენცის მიხედვით, აგრესიის საფუძვლები ადამიანის ფსიქიკაში, კერძოდ კი მის ინსტიქტებში დევს. მათი აზრით, თუ აგრესია არ განიმუხტა, მაშინ ის შეიძლება „დაგროვდეს“ და ადამიანში ავადმყოფობაც კი გამოიწვიოს, იგი ორგანიზმისთვის „დამანგრეველ“ ფუნქციას შეიძენს.

მეორე ნაწილი მეცნიერებისა კი თვლის, რომ აგრესია სოციალური დასწავლის შედეგია და ის არ არის ადამიანისთვის თავისთავადი. ეს ნიშნავს, რომ პატარა ბავშვები თავიდან არ არიან მიდრეკილნი ამგვარი ქცევებისკენ და ისინი ახდენენ მის კოპირებას.³

¹ ე. არონსონი - სოციალური ცხოველი გვ. 245

² ფ. ზიზღარდო „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ - 758-761გვ.

³ ირაკლი იმედაძე „ფსიქოლოგიის საფუძვლები“. 382-383

ძირითადი ნაწილი

რა არის აგრესია - ბრაზი ემოციის ერთი კონკრეტული სახეა და აგრესიის უშუალო მიზეზიც. ის თუ საიდან ჩნდება ბრაზის ემოცია სტატიის მიზანს ცდება, აქ უბრალოდ მნიშვნელოვანია კავშირის დანახვა ემოციასა და აგრესიას შორის.

აგრესია არის ქცევა, რომელიც მიმართულია ყველა იმ დაბრკოლების მოსაცილებლად ან დასაძლევად, რომელიც ორგანიზმის ფსიქიკურ და ფიზიკურ მთლიანობას უქმნის საფრთხეს. ეს არის ქცევა, რომელმაც შესაძლოა საკუთარ თავს ან სხვა ადამიანებს მიაყენოს შეურაცხყოფა, დამცირება, ტკივილი ან დააზიანოს საგნები. აგრესია ლათინური სიტყვაა [agressio] და თავდასხმას ნიშნავს. ტერმინში აგრესია, ძირითადად აგრესიული ქცევა იგულისხმება.¹

ადამიანის ქცევის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა შეისწავლის, მაგალითად - ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, სოციოლოგია და ა.შ. ქცევის მიზეზების ახსნისას გასათვალისწინებელია უამრავი ფაქტორი, რომელიც ორ ძირითად კლასტერში შეიძლება გაერთიანდეს - გენეტიკა (მემკვიდრეობითობა) და გარემო (ალზრდა, ოჯახი, სოციუმი, კულტურა, რელიგია...). შესაძლოა ადამიანს მშობლისგან მემკვიდრეობით ერგოს აგრესიულობისაკენ მიდრეკილება. ალტერნატიული ვარიანტია იმის დაშვება, რომ ყველა ადამიანში აგრესიულობა თანაბრადაა წარმოდგენილი და მისი გამომჟღავნების ხარისხი დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც ეს ადამიანები აღიზარდნენ.

აგრესიის დეფინიცია - ტერმინი „აგრესია“ მრავალ განსხვავებულ მნიშვნელობას აერთიანებს. სტატიის დასაწყისში მოცემული ამის ირამდენიმე განმარტება, თუმცა მიუხედავად ამისა, რთულია მისი გამოიჯვნა ისეთი ტერმინებისგან, როგორცაა მაგალითად გაბრაზება, ძალადობა, ჩაგვრა (ბულინგი)... აგრესია არ არის მხოლოდ მეორე ადამიანის წინააღმდეგ მიმართული იგი შეიძლება უსულო საგნის ან აბსტრაქციისკენ იყოს მიმართული. შესაბამისად განსხვავდებოდეს მაკლასიფიცირებელი ნიშნებით. ადამიანის აგრესიული ქცევის აღწერა, ბასის მიხედვით, შესაძლებელია მოხდეს სამი პოლარულ-ბინარული სკალით: ვერბალური-ფიზიკური, პასიური-აქტიური, პირდაპირი-არაპირდაპირი.²

აგრესია გულისხმობს ქცევას. თუ არ არის ქცევა, არ არის აგრესიაც. თუმცა შეიძლება იყოს ქცევა, მაგრამ არ იყოს აგრესია. მაგალითად, გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი, ქირურგიული ჩარევა ან საკუთარი თავის დაცვის მიზნით მოწინააღმდეგისთვის ტკივილის მიყენება. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად შესაძლოა ქცევა შეიცავდეს აგრესიის ელემენტებს, იგი მაინც ვერ ჩაითვლება აგრესიად. აგრესიის ბუნების უკეთ გასაგებად საჭიროა გამოიყოს ის არსებითი ელემენტები რომელიც ახასიათებს ამ ფენომენს და შემდეგ უფრო

¹ <http://public.psych.iastate.edu/caa/abstracts/2000-2004/EncPsy.pdf> გვ. 163

² კ. ჭიჭინაძე - აგრესია, 19გვ.

მეტად გაადვილდება მისი საერთო განსაზღვრების ჩამოყალიბება.

იმისთვის რომ ქცევა ჩაითვალოს აგრესიად საჭიროა არსებობდეს განზრახვა და ეს განზრახვა მიზნად ისახავდეს აგრესიული ქცევის განხორციელებას. აგრესია ასევე არ უნდა აგვერიოს „აგრესიულობაში“. როგორც უკვე განიმარტა, აგრესია არის მიზანმიმართული ქცევა სხვისთვის გარკვეული სახის ზიანის მისაყენებლად. „აგრესიულობა“ კი ადამიანის ხასიათის თვისებაა, ერთგვარი სტრატეგიაა, რომ შესაბამის გარემო გამღიზიანებელზე საპასუხოდ უფრო ხშირად ირჩევს აგრესიულ ქცევას.

უფრო კონკრეტულად, ქცევის აგრესიად იდენტიფიცირებისთვის საჭიროა შემდეგი ელემენტების არსებობა:

1. ქმედება - სწორედ ქმედება და არა ქცევა, რადგან ქცევა თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე უფრო მეტად მოიცავს ფიზიკურ აქტივობას. ქმედებაში კი მოიაზრება როგორც მოქმედება ასევე უმოქმედობა. ამ ნიშნის უკეთ გაგებისთვის კარგი საილუსტრაციო მაგალითია გაბუტვა. როდესაც მხარე საერთოდ არანაირ მოქმედებას(!) არ ახორციელებს. თუმცა მისი უმოქმედობაც ქმედებაა და შესაბამისად ქცევა.
2. განზრახვა - განზრახვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განხორციელებულ ქმედებას საჭიროა ჰქონდეს მიმართულება, იგი უნდა იყოს მიზანმიმართული. უნებურად განხორციელებული ქცევა არ შეიძლება განისაზღვროს აგრესიად. აბუჩარი მწერის მოსაცილებლად გაქნეული ხელი, მწერის მიმართ შესაძლოა დაკვალიფიცირდეს აგრესიად, თუმცა თუ კი ეს ხელი მოხვდება მის გვერდზე მდგომს, მიუხედავად იმისა რომ სახეზე იქნება აქტიური ქმედება და შესაძლოა მეორე ადამიანის ფიზიკური დაზიანებაც, ქმედების განმახორციელებელს არ ჰქონდა მეორე ადამიანის დაზიანების განზრახვა და შესაბამისად არც ჰქონდა აგრესიას ადგილი
3. ზიანი - ზემოთაღნიშნული განზრახვა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ზიანის მიყენების სურვილს. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ ზიანს. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფსიქოლოგიურ ზიანსაც.

შესაძლოა არსებობდეს სხვა ადამიანის მიმართ აგრესია, გამოიხატოს კიდევ, მაგრამ მეორე ადამიანმა ეს არ აღიქვას როგორც აგრესია. მაგალითად - პიროვნებას თანამშრომლის საჯაროდ აბუჩად აგდება სურს, თუმცა მის მიერ განხორციელებულმა ქცევამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი და პირიქით იგი თავად დაზიანდა. ჩაითვლება თუ არა ეს აგრესიად? სხვა სიტყვებით, საჭიროა თუ არა ქცევის აგრესიად დაკვალიფიცირებისთვის დამდგარი შედეგი? თუ მხოლოდ გამოვლინებაა საჭირო.

აგრესორის მიერ მიზნის მიღწევა-არ მიღწევა არ არის რელევანტური, თუ კი იგი ისახავდა მიზნად ზიანის მიყენებას და მხოლოდ მცდელობას ჰქონდა

ადგილი ეს უკვე საკმარისია. მნიშვნელოვანია ასევე თავად სუბიექტების დამოკიდებულება, მათი თვითაღქმა და არა ობიექტურად დამდგარი შედეგი. იგივე შეიძლება ითქვას, თუ მთვრალი მძღოლი დაეჯახება ფეხით მოსიარულეს იმის გამო რომ იგი ვერ შეამჩნია. მიუხედავად იმისა რომ ზიანი სახეზეა, მძღოლის მოქმედება არ დაკვალიფიცირდება აგრესიად. იგი შეიძლება ჩაითვალოს გაუფრთხილებლობით გამოწვეულ სხეულის დაზიანებად.¹

ცხადია, ძირითადი აქცენტი ამ ეტაპზე მხოლოდ ადამიანთა შორის აგრესიაზეა გადატანილი თუმცა აგრესიის ნათელი მაგალითების პოვნა შეიძლება სხვა ცოცხალ არსებათა სამყაროშიც. სწორედ ეს ართულებს აგრესიის ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბებას.

რამდენადაა შესაძლებელი ცხოველებში მიზანმიმართულებაზე, მოტივაციასა და განზრახვაზე საუბარი. კიდევ უფრო გართულდება საკითხი თუ კი აგრესიის განმარტება კიდევ უფრო განზოგადდება და მართებულად ჩავთვლით, რომ აგრესია შესაძლოა ნივთის მიმართაც იყოს გამოვლენილი (მაგალითად თევზის დამტვრევა, ფანჯრის ჩამსხვრევა და ა.შ.). ამ ლოგიკით ერთი შეხედვით ისეთი უწყინარი აქტივობა როგორცაა კვება, სწორედ რომ აგრესიის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენაა საკვების მიმართ. კვების დროს ხდება საკვების ფიზიკური მთლიანობის დარღვევა, დანაწევრება. სახეზეა:

ქმედება - კბეჩის, ღეჭვის, დანაწევრების ფორმით

განზრახვა - სუბიექტს სურს ამ ქმედების განხორციელება და

ზიანი - საკვები კარგავს ფიზიკურ მთლიანობას და ირღვევა მისი სტრუქტურა.

და მაინც, როგორაა შესაძლებელი აგრესიის იმგვარი განმარტება, რომ იგი მოიცავდეს ზემოთაღნიშნულ სამივე ელემენტს, განმახორციელებელ სუბიექტებს და აგრესიის ობიექტს.

აგრესია არის, ორგანიზმის მიერ გამიზნულად განხორციელებული ქმედება ან მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს აგრესიის ობიექტისთვის ზიანის მიყენებას და მსხვერპლის (ცოცხალი არსების შემთხვევაში) წინასწარი თანხმობის არ არსებობას ამგვარ მოპყრობაზე.

ამ განმარტებაში ტერმინი ორგანიზმი მოიცავს როგორც ადამიანს, ასევე ნებისმიერ ქმედების განხორციელების უნარის მქონე არსებას (მათ შორის მცენარესაც, მაგალითად დროზერა, რომელიც იკვებება მწერებით). წინასწარ-გამიზნულობაში იგულისხმება მოტივაციური ფაქტორი, განზრახვა, რომელიც შესაძლოა იყოს ადამიანური მოთხოვნილებებიდან ან ინსტინქტებიდან აღმოცენებული (ცხოველის შემთხვევაში). ზიანი - განმარტება როგორც ფსიქოლოგიური ისე ფიზიკური ზიანი და მნიშვნელოვანია, რომ ზიანის მიყენება, განმახორციელებელი სუბიექტის მიერ აღიქმებოდეს როგორც ზიანი და არ აქვს მნიშვნელობა მას როგორ აღიქვამს გარემო ან დადგება თუ არა შედეგი.

¹ ე. არონსონი - სოციალური ცხოველი, გვ., 245

თანხმობის საკითხს რაც ეხება, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იმდენად, რამდენადაც „მსხვერპლის“ თანხმობა თავისთავში გამორიცხავს ზიანის მიყენების განზრახვას, რადგან მეორე მხარეს სურს ამგვარი მოპყრობა. მაგალითად სამედიცინო მანიპულაციებით შესაძლოა დაირღვეს ადამიანის ფიზიკური სხეულის მთლიანობა, თუმცა ამ ქმედებაზე ექიმს ჰქონდეს პაციენტისგან წინასწარი თანხმობა. ასეთ შემთხვევაში აგრესიას არ აქვს ადგილი.

ამ განმარტების მთავარი სისუსტეა ტერმინ აღქმის შემოტანა რაც ადამიანის გარდა სხვა ცოცხალ ორგანიზმებში პრობლემურ საკითხად რჩება. რამდენად შეუძლიათ მათ საკუთარი ინსტიქტებით ნაკარნახევი ქმედებების „აგრესიად აღქმა“?

ასევე პრობლემა იჩენს თავს, როდესაც აღქმის უნარი დარღვეული აქვს ადამიანს ფსიქიკური აშლილობების გამო. ასეთ შემთხვევაში, ამ დიაგნოზის მქონე ადამიანის მიერ განხორციელებული ქცევა შესაძლოა საზოგადოების მხრიდან ცალსახად ფასდებოდეს როგორც აგრესია, თუმცა თავად ქმედების განმახორციელებლისთვის მის ქმედებას არ ჰქონდეს სხვისთვის ზიანის მიყენების ან წინასწარგანზრახულობის კომპონენტი. შესაბამისად უკვე პრობლემა ხდება მის მიერ განხორციელებული სხვისთვის ზიანის მომტანი ქცევის აგრესიად დაკვალიფიცირების საკითხი.

ეს არის საკითხები, რომელიც კიდევ უფრო მეტად ართულებს აგრესიის ყოვლისმომცველი დეფინიციის განსაზღვრის შესაძლებლობას. ალტერნარიულ ვარიანტად შესაძლოა განხილულ იქნეს აგრესიის სიტუაციური განმარტების ვარიანტი, რაც გულისხმობს აგრესიის განსაზღვრის დეცენტრალიზირებულ მოდელს. სადაც შესაძლოა ცალ-ცალკე მოხდეს აგრესიის განმარტება კონკრეტულ კომპონენტზე პედალირებით.

ასე მაგალითად: აგრესია ადამიანში, აგრესია სხვა ცოცხალ ორგანიზმებში. აგრესიის განმარტება ადრესატების მიხედვით (ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების მიმართ) და ა.შ.

შესაძლებელია მოხდეს აგრესიის განმარტების უფრო მეტად დავიწროება და დაზუსტება. მაგალითად აგრესია, ფსიქიკურად პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში. კვება როგორც აგრესიის აქტი, თავდაცვით და თავდასხმითი აგრესია, აგრესია ჯოგებად მცხოვრებ ცხოველებში და ა.შ.

დასკვნითი ნაწილი

ბევრად უფრო მარტივია განიმარტოს ერთი კონკრეტული ტიპის აგრესიის ფორმა, რადგან იგი არ მოითხოვს ინტეგრალური განმარტების არსებობას. ყოვლისმომცველმა ზოგადმა განსაზღვრებამ უნდა მოიცვას აგრესია როგორც ადამიანებში ასევე ცხოველებში და შესაძლოა მცენარეებშიც. ასეთმა განსაზღვრებამ უნდა მოიცვას არამხოლოდ აგრესორის განმარტება არამედ აგრესიის

ობიექტის განმარტებაც, ანუ ვისკენ/რისკენაცაა მიმართული აგრესია და თავად პროცესი.

აგრესიის ამგვარი განმარტება შეიცავს უამრავ შინაარსობრივ წინააღმდეგობას და რთულდება მისთვის პრაქტიკული დანიშნულების მინიჭება. აგრესოლოგიის სფეროში დაგროვილი ცოდნა კი გვაძლევს საშუალებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თითქმის უშეცდომოდ დავადგინოთ აგრესიის არსებობა არ არსებობის ფაქტი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც მინიმუმ საერთო ტერმინოლოგიის და კვლევის განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრების არსებობა. ამ ეტაპზე მისი დაძლევა შესაძლებელია კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისათვის შესაბამისი აგრესიის კონკრეტული განმარტების შემოტანით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზიმბარდო ფ., გერიგი რ. 2009. ფსიქოლოგია ჩვენს ცხოვრებაში. თბ. თსუ-ს გამომცემლობა.
2. ირაკლი იმედაძე „ფსიქოლოგიის საფუძვლები“
3. ელიოტ არონსონი - „სოციალური ცხოველი,“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014წ.
4. კონსტანტინე ჭიჭინაძე, „აგრესია - აგრესიის ეთოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური გამოვლინებები და მექანიზმები“ - თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2010.
5. www.dictionary.css.ge
6. <https://academic.oup.com>
7. <http://public.psych.iastate.edu>
8. www.doctrina.ge

*Nika Gablishvili, PhD student
Georgian Technial University*

Aggression as a phenomenon and its varieties

Summary

Emotions are the same part of human biology as a muscular or nervous system. Emotions moves the person. It is often the basis of motivation. Emotion always has an object. However, unlike cognitive processes, its function is not perception of the object, emotion reflects the attitude towards this object.¹

There may be mixed opinions towards emotions and its manifestations. There are many examples of emotions that can be helpless for effective action (e.g, nervousness,

¹ www.doctrina.ge/7393-2/. I. Imedadze – basic of psychology p. 230

paralyzing fear in a stressful situation, etc.), but there is a contradictory opinion. For example, fear helps people to mobilize. Because of Adrenaline, increases breathing frequency, oxygen is supplied to the brain, it increases the muscle tone and the person is ready to cope with or avoid the threat. This phenomena is known as “fight or flight”.

Fear as an emotion, in some cases plays a positive role and helps and in some cases, disorganizes a person. The emotion of the anger, that can be a cause of Aggression, generates some energy that needs management, otherwise it may result in unwanted consequences.

Aggression is an external manifestation of an internal emotion. This is an act aimed cause some harm or a pain.¹ Despite such clear definition, it is sometimes difficult to separate from other neighboring phenomena. The article discusses the problem of separation of aggressive behavior and problems related to definition of the term.

Keywords: *aggression, phenomenon, emotion, human psychology*

¹ E. Aronson – Social Animal p. 245

ემოციური ინტელექტის როლი პიროვნების წარმატებულ საქმიანობაში

რეზიუმე

ფსიქოლოგიის და მენეჯმენტის მიმართულებით ჩატარებულ არაერთ კვლევაში გამოვლინდა, რომ პიროვნული მახასიათებლებიდან გონებრივი ინტელექტისა და ტექნიკური უნარების გვერდით, წარმატებული საქმიანობის მნიშვნელოვან განმსაზღვრელს ადამიანის ემოციური ინტელექტი წარმოადგენს. სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობა, კომუნიკაბელურობა და გაგება, საკუთარი და სხვისი ემოციების გაგება აღქმა, გამოხატვა, მართვის და რეგულაციის უნარი, სტრესის გავლენაზე ნაკლებად დაქვემდებარება – ეს ყველაფერი ემოციური ინტელექტის უტყუარ საზომს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: პიროვნება, ემოციური ინტელექტი, გონებრივი ინტელექტი, შესაძლებლობები, უნარები.

შესავალი

საუკუნეების განმავლობაში ადამიანის წარმატების საზომად მისი გონებრივი შესაძლებლობები, ე.წ. გონებრივი ინტელექტი იყო. IQ ინტელექტის მაღალი კოეფიციენტის მქონე ადამიანები შემეცნებითი უნარებით, სწავლის და გაგების უკეთესი შესაძლებლობებით ხასიათდებიან. ისინი, დიდი ალბათობით, უფრო კარგი აკადემიური მოსწრებით ხასიათდებიან. ამ ტიპის ადამიანებს სწავლისათვის უფრო ნაკლები ძალისხმევა სჭირდებათ, ვიდრე ადამიანებს დაბალი კოეფიციენტით. ემოციური ინტელექტის შემთხვევაში კი, აზროვნება ემოციური შინაარსის ინფორმაციით ოპერირებს. ემოციები გავლენას ახდენენ აზროვნების პროცესზე, რის შედეგადაც გაიოლებულია გადაწყვეტილების მიღება, აზროვნება და მოქმედება.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება წარმატების ფორმულის შესახებ, ხელმეორე გადახედვას საჭიროებდა. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ადამიანებს სურვილი გაუჩნდათ, პირველ რიგში, საკუთარი ემოციური ინტელექტის შესახებ მიეღოთ ინფორმაცია. შესაბამისად, დღის წესრიგში კიდევ ერთი ცვლადის არსებობის საკითხი დადგა. ამ მიმართულებით განვითარდა კვლევები და უამრავი სახელმძღვანელო დაიწერა. თუ ემოციური ინტელექტის შესახებ გამოქვეყნებული კვლევების რაოდენობა 1995 წლისათვის სულ 14 პუბლიკაციას ითვლიდა, 2006-2010 წლისათვის ამ თემის ირგვლივ 1300 ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული.

ემოციური ინტელექტი წარმატების განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქნა მიჩნეული. კვლევებმა აჩვენა, რომ ჩვენი ემოციები არ ტყუიან. ადამიანის გონებას არ ძალუძს ემოციების უგულვებლყოფა. მათზე უარის თქმის ნაცვლად უმჯობესი აღმოჩნდა საკუთარი ემოციების უფრო უკეთ შეცნობა, თვით-გაცნობიერება.¹ ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ საკუთარი და სხვისი ემოციების გაგება ჰარმონიული ცხოვრების გასაღებს წარმოადგენს. ის ადამიანები, რომლებიც კარგად აცნობიერებენ საკუთარს და მგრძობიარენი არიან სხვისი ემოციების მიმართაც, არასასიამოვნო გარემოშიც კი, გონივრულად და ბრწყინვალედ ართმევენ თავს თავიანთ საქმეს. ამის საპირისპიროდ, ის ადამიანები, ვინც „ემოციურად ნაკლებ განსწავლულები“ არიან, ცხოვრებაში მეტ გაუგებრობას, იმედგაცრუებას და წარუმატებელ ურთიერთობებს უჩივიან.

ამასთან, კვლევებით გამოიკვეთა დამაიმედებელი გარემოება: ემოციური ინტელექტი გონებრივი ინტელექტისაგან განსხვავებით, გაუმჯობესებას, დახვეწას, განვითარებას ექვემდებარება. ფსიქოლოგიაში გაიწერა ემოციური ინტელექტის ამაღლებისათვის დროში აპრობირებული სტრატეგიები და რეკომენდაციები.

ემოციური ინტელექტი

ემოციური ინტელექტი შედარებით ახალ კონსტრუქტს წარმოადგენს ქართულ მეცნიერებაში და კვლევათა რაოდენობაც, ამ კუთხით, არ არის მრავალრიცხოვანი. ამ საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვანი კვლევები აქვს ჩატარებული ქართველ ფსიქოლოგს ხ.მარწყვიშვილს, რომელმაც საკითხის შესწავლა ემოციური ინტელექტის პოსტტრავმულ სტრესთან კავშირის დადგენით დაიწყო. კვლევამ დაადასტურა, რომ ემოციური ინტელექტი მართლაც წარმოადგენს სტრესული აშლილობის პრედიქტორს. ინდივიდებს მაღალი ემოციური ინტელექტით, პოსტტრავმული სტრესის დაბალი მაჩვენებლები აქვთ². აღმოჩნდა, რომ ემოციების რეგულაცია არსებით და წამყვან როლს ასრულებს პოსტტრავმული სტრესის სიმპტომებთან გამკლავებაში.

მნიშვნელოვანია, რომ ემოციური ინტელექტის კოეფიციენტის განსაზღვრა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ დაძლევის სტრატეგიები. ინდივიდები, ემოციის ამ ტიპის მაღალი კოეფიციენტით, უფრო მიდრეკილნი არიან დაძლევის პოზიტიურ სტრატეგიებზე, ვიდრე ნეგატიურზე. ის ადამიანები, ვინც პოზიტიურად გადააფასებს სიტუაციას და პრობლემის გადაჭრას გეგმავს, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ნაკლებ სიმპტომებს ავლენენ.

კვლევის შედეგად გაიწერა დაძლევის სტრატეგიები, რაც დიდი მონაპოვარია ქართული მეცნიერებისათვის. მიღებული შედეგები მეტად ღირებულია

¹ Bar-On, R., Emotional Intelligence and self-actualization. *Emotional Intelligence in every day life: A Scientific Inquiry*. New York: Psychology Press, 2001. გვ.

² მარწყვიშვილი ხ., ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება“, თსუ, 2010, გვ.133.

კადრების შერჩევაზე მომუშავე პერსონალისათვის. აღნიშნული პროცესის მიზანი სწორედ ისეთი კადრის შერჩევაა, რომლებსაც შედარებით სტრესულ გარემოში უწევთ მუშაობა. ასეთები არიან: შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურე სამხედრო პერსონალი, მედიცინის მუშაკები, გადაუდებელი დახმარების თანამშრომლები, როგორცაა: პოლიცია, სახანძრო და ა.შ.). არსებობს ემოციური ინტელექტის საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტური ვარიანტიც.¹

გონებრივი ინტელექტი. როდესაც გვინდა რამეს მიღწევა, ან ვოცნებობთ რამის მიღებაზე, ჩვენი ინტელექტი ზუსტად მაშინ იწყებს მუშაობას. სწორედ ინტელექტი განსაზღვრავს, რამდენად ექვემდებარება ჩვენი სურვილები და მიზნები განხორციელებას.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის ავტორი, ამერიკელი ფსიქოლოგი ჰ. გარდნერი გვთავაზობს ინტელექტის რვა ერთმანეთისგან განსხვავებულ სახეს. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის ინტელექტი და ზოგადი გონიერება ერთი უნარი არ არის, შესაბამისად, მისი გაზომვა ერთი საზომით ვერ მოხერხდება. ადამიანები ერთმანეთსაგან უნარებით და მიდრეკილებებით განსხვავდებიან. იმ რვა უნარიდან, რომელსაც გარდნერი გამოყოფს, ადამიანები შეიძლება ზოგიერთ სფეროში გამოირჩეოდნენ, ზოგიერთ უნარს კი ვერ ამჟღავნებდნენ².

გონებრივი შესაძლებლობები თუ ემოცია. ადამიანის გონებას ხშირად ბრძოლა უწევს მოზღვავებულ ემოციებთან, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს ქცევის კონტროლზე. ემოციები შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. ამ ტიპის ბრძოლები ადამიანის ორგანიზმში მუდმივად მიმდინარეობს. ჩვენი ემოციების ეფექტური მართვა ყოველდღიური დავალებაა, რადგან ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ პრიორიტეტი მაინც ემოციებს ენიჭება. ის რასაც ვისმენთ, ვხედავთ და ვეხებით, ტრანსფორმირდება ელექტრულ მუხტებში, რომლებიც ვრცელდება ჩვენს ორგანიზმში. ეს მუხტები ერთი უჯრედიდან მეორეს იქამდე გადაეცემა, სანამ ბოლო პუნქტს, თავის ტვინს არ მიაღწევს. მუხტი თავის ტვინში ზურგის ტვინის გავლით ხვდება, ხოლო შემდეგ შუბლის ფრონტალური წილის გავლით ხვდება ტვინის იმ უბანში, რომელიც პასუხისმგებელია რაციონალურ, ლოგიკურ აზროვნებაზე. საქმე იმაშია, რომ „იმპულსები ტვინში ლიმფური სისტემის გავლით ხვდებიან და მასში ემოციებად გარდაიქმნებიან. სწორედ ამიტომ, იქამდე, სანამ ქცევაში რაციონალური მსჯელობა ჩაერთვება, მომხდარს ვაფასებთ ემოციური თვალსაზრისით“³.

ემოციური ინტელექტის ფიზიკური გზა იწყება ზურგის ტვინში. სწორედ აქ აღმოცენდება ადამიანის ძირითადი შეგრძნებები. იქამდე, სანამ ადამიანი მომხდარის ირგვლივ რაციონალურად აზროვნებას დაიწყებს, მანამდე მთელი

¹ მარწყვიშვილი ხ., ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება“, თსუ, 2010, გვ.143.

² <https://howardgardner01.files.wordpress.com/2012/06/443-davis-christodoulou-seider-mi-article.pdf>, გვ.6.

³ Travis Bradberry, Jean Geaves, Emotional Intelligence 2.0, TaentSmart, 2009, გვ.23

ტვინი უნდა გაიაროს ლიმფური სისტემის ჩათვლით, ზონით, რომელშიც ადამიანი განიცდის ძირითად ემოციებს. „ემოციური ინტელექტი საჭიროებს ტვინის რაციონალურ და ემოციურ ცენტრებს შორის ეფექტურ კავშირს“¹. ამიტომ ადამიანის ტვინის რაციონალური ზონა(მისი წინა ნაწილი) ვერ აჩერებს ემოციებს, რომელსაც ლიმფური სისტემა „შეიგრძნობს“. ეს ორი ზონა ერთმანეთზე ზემოქმედებს და მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს. ემოციური ინტელექტის ფიზიკურ წყაროს სწორედ ადამიანის ტვინის ემოციური და რაციონალური ზონების კავშირი წარმოადგენს.

ემოციებთან და გრძნობებთან დაკავშირებულ ფუნქციებთან შედარებით, აზროვნება და ლოგიკური მსჯელობა უფრო მეტად ღირებულად ითვლებოდა. ამ აზრს არ იზიარებს ნაშრომის „დეკარტეს შეცდომის“ ავტორი ანტონიო დომასიო. იგი მუშაობდა ადამიანებთან, რომლებსაც დაზიანებული ჰქონდათ ტვინის ის უბნები, რომლებიც ემოციების კონტროლზე პასუხისმგებელი იყო. მათ შეეძლოთ ნათლად და ლოგიკურად მსჯელობა, თუმცა არ შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება და ფუნქციონირება. როდესაც ტვინის „მოაზროვნე“ ნაწილი გამიჯნულია ემოციური ნაწილისაგან, მას ისევე არ შეუძლია შეასრულოს საკუთარი სამუშაო, როგორც მაშინ, როდესაც იგი იმართება ემოციებით. წარმატებას განსაზღვრავს ემოციებისა და ლოგიკის ერთობლიობა, რასაც დღეს ემოციური ინტელექტის – ე.წ. „სწორი გონების“, „ემოციური გონიერების“ თეორიის ჭრილში განიხილავენ. ემოციური ინტელექტი არის კავშირი რაციონალურ და ემოციურ გონებას შორის.

როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო კვლევები ემოციური ინტელექტის შესახებ ბოლო ათწლეულის დამსახურებას წარმოადგენს. ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, „ემოციური ინტელექტი არის ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვის და რეგულირების უნარი“. (J. D. Mayer & P. Salovey, 1997). ემოციური ინტელექტი აერთიანებს ისეთ მახასიათებლებს, როგორც არის: ემოციების აღქმა, გამოხატვა და მართვა, ემპათია, მოტივაცია, საკუთარ თავში დარწმუნებულობა, ასერტიულობა, ოპტიმიზმი, ადაპტაცია, საუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების გაცნობიერება და ა.შ.

ამერიკელი ფსიქოლოგი გოლემანი (Goleman, 1946) აყალიბებს თეორიას ემოციური ინტელექტის შესახებ, რომელიც არის ადამიანის უნარი, გაიგოს საკუთარი გრძნობები, გამოხატოს სხვის მიმართ ემპათია და მოახდინოს ემოციების ეფექტური რეგულირება/მართვა. საინტერესოა, რომ ემოციური ინტელექტის დონე/ხარისხი არ დგინდება გონებრივი ინტელექტის საზომი ტესტებით. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის წარმატების წინასწარმეტყველებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი დონის ემოციური ინტელექტი, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი ინტელექტი. სოციალური უნარ-

¹Travis Bradberry, Jean Geaves, Emotional Intelligence 2.0, TaentSmart, 2009, გვ.25

ჩვევები, თავის მხრივ, მოიცავს: (1) ურთიერთობის წარმართვისა და სოციალური სიტუაციების ზუსტი აღქმის უნარს; (2) ურთიერთობის დროს ზომიერების დაცვას; (3) სხვების ადვილად დაყოლიების, ლიდერობის, მოლაპარაკებებისა და დისკუსიების წარმართვის უნარს და (4) ურთიერთთანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის საფუძველზე პრობლემების გადაჭრის უნარს.

ემოციური ინტელექტის შემადგენელი უნარები – დანიელ გოლემანმა ემოციური ინტელექტში გამოყო „პიროვნული“ და „სოციალური“ კომპეტენციები, რომლებიც მკვეთრად მიჯნავს პიროვნულ და პიროვნებათმორის უნარებს¹.

პიროვნული უნარები, კომპეტენციები - ანუ როგორ ვმართავთ საკუთარ თავს:

1. თვითცნობიერება - ინდივიდს ეხმარება გარემოს და მასში მიმდინარე მოვლენების პროგნოზირებად აღქმაში, რაც თავის მხრივ გარკვეულ მოლოდინებსაც აყალიბებს. თვითცნობიერების მქონე პიროვნება აცნობიერებს საკუთარ განცდებს, რაც მას ეხმარება გადაწყვეტილების მიღებასა და საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებაში.

2. **თვითრეგულაცია** - გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი ემოციების მართვის უნარს, რაც მოიცავს სტრესული სიტუაციების დაძლევას, იმედგაცრუების და მარცხის გადატანას.

3. **მოტივაცია** - მოტივაცია მიზნის მისაღწევად ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარს და მიღწევით მიღებულ კმაყოფილებას გულისხმობს. ეს არის ნიშანი, რომელიც ყველა ეფექტურ ლიდერს ახასიათებს.

სოციალური უნარები, კომპეტენციები - ანუ როგორ ვამყარებთ ურთიერთობას სხვებთან:

1. **ემპათია** - ანუ თანაგანცდა ნიშნავს სხვა ადამიანების გრძნობების გაგების უნარს. ეს არის სხვა ადამიანების თანაგრძნობასა და ემოციების გაგებაზე დამყარებული უნარი, რომელიც მქლავნდება სხვების მიმართ კეთილგანწყობასა და სოციალური სიტუაციების სწორ შეფასებაში.

2. **სოციალური უნარები** - ემპათია, თავის მხრივ, ხელს უწყობს სოციალური უნარის განვითარებას, რაც სხვა ადამიანებთან ქცევის სასურველი მიმართულებით წარმართვას გულისხმობს. კომპანიათა უმრავლესობა სოციალურ უნარს, ემოციური ინტელექტის სხვა კომპონენტებთან შედარებით, ლიდერის ძირითად შესაძლებლობად მიიჩნევენ.

გონებრივი ინტელექტი (IQ) თუ ემოციური ინტელექტი (EQ)? - ზოგიერთ ადამიანს გონებრივი შესაძლებლობების მაღალი კოეფიციენტი და ემოციური ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი აქვს. თუმცა, არსებობენ ადამიანები ინტელექტის ორივე სფეროში მაღალი მაჩვენებლით ან - პირიქით. ორივე, გონებრივი შესაძლებლობები და ემოციური ინტელექტი, ზომავს ადამიანის ინტელექტის განსხვავებულ ფორმებს. პიროვნულობის გათვალისწინებით,

¹ ემოციური ინტელექტი, ავტორთა კრებული, ბიზნესლიტერატურა, თბილისი, 2018.

ორივე საზომი ქმნის ადამიანის ფსიქიკას. ემოციური ინტელექტი ადამიანის ფსიქიკის ის ნაწილია, რაც ახალი უნარების დასწავლისა და გავარჯიშების გზით, განვითარებას ექვემდებარება. ეს, თავის მხრივ, ზრდის თავდაჯერებულობას და ნდობას, რაც ხელს უწყობს დადებითი პიროვნული ურთიერთობების, საკუთარი და სხვისი ემოციების მიმღებლობის და გაგების პროცესის გაუმჯობესებას.

ემოციური ინტელექტი, გონებრივი უნარები და ინდივიდუალურობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. შეიძლება თქვას, რომ ემოციური ინტელექტის წინასწარმეტყველება გონებრივზე დაყრდნობით, შეუძლებელია. გონებრივი ინტელექტი—ეს არის სწავლის უნარი და თითქმის უცვლელია 15–დან 50 წლამდე. ემოციური ინტელექტი კი, თავის მხრივ, არის ჩვევათა მოქნილი ერთობლიობა, რომელიც შეძენილი და პრაქტიკით განვითარებადია. ზოგი ადამიანი ემოციურად უფრო ჭკვიანია, ვიდრე სხვა, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს არ აქვს თანდაყოლილი ემოციური ინტელექტი, შესაძლებელია განავითაროს ის.

ინდივიდუალურობა - თითოეული ადამიანისათვის დამახასიათებელი სტაბილური „სტილია“. ინდივიდუალურობა არის დაცვითი უპირატესობის შედეგი, რაც ინტროვერსიასა და ექსტრავერსიაში ვლინდება. გონებრივი უნარების მიხედვით, ემოციური ინტელექტის წინასწარმეტყველება რთულია. ინდივიდუალურობაზე იგივე შეიძლება ითქვას, რადგან ეს ფენომენიც უცვლელია მთელი ცხოვრების განმავლობაში. სწორედ გონებრივი ინტელექტი, ინდივიდუალურობა და ემოციური ინტელექტი, თავისი უნიკალური ხასიათიდან გამომდინარე, ხსნის ადამიანის მოძრაობის მიზეზს.

შესაძლებელია თუ არა ემოციური ინტელექტის განვითარება?—ემოციური ინტელექტი (EQ) როგორც საკუთარი, ისე სხვისი ემოციების გაცნობიერების და მართვის, წარმატების მიღწევის უნარია. ნევროლოგების განმარტებით, „პლასტიურობა“ არის ტვინისათვის დამახასიათებელი ცვლილების უნარი. კვლევები ცხადყოფს, რომ ემოციურ ინტელექტსა და წარმატებას შორის ნამდვილად არსებობს კავშირი. მართალია, ყველა არ იბადება მაღალი ემოციური ინტელექტით, მაგრამ IQ-სგან განსხვავებით, მისი გაუმჯობესება შესაძლებელია პრაქტიკის დახმარებით. როგორ ამოვიცნოთ, გვაქვს თუ არა მაღალი EQ? მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანების აღმოჩენა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სიტუაციებში, შესაძლებელია. ემოციური ინტელექტის მქონე პიროვნებები კრიტიკას იღებენ ბრალდების, სირცხვილის და შფოთვის გარეშე. ისინი უფრო გონება გახსნილები არიან, არ ახასიათებთ სიმართლის შენიღბვის ტენდენცია. ემოციური ინტელექტის მქონე პიროვნებები კარგი მსმენელები არიან. ასეთი ადამიანები ბოდიშს იხდიან, როცა თავს დამნაშავედ გრძნობენ.

რეალურად არსებობს უამრავი ინდიკატორი, რომელიც მაღალ ემოციურ ინტელექტს განაპირობებს. თუ ასაკის მატებასთან ერთად, IQ -ს დონე

თითქმის იგივე რჩება, EQ-ს დონე უფრო და უფრო მატულობს. ის პიკს აღწევს დაახლოებით 50 წლის ასაკში და ნარჩუნდება ან ოდნავ ქვეითდება 55 წლის შემდგომ პერიოდში. ასაკის მატებასთან ერთად პიროვნების ემოციური ინტელექტი უფრო მაღალ შედეგებს აჩვენებს, რაც ადასტურებს, რომ მისი განვითარება შესაძლებელია.

ემოციური ინტელექტის განვითარებისათვის აუცილებელია ტრენინგი და მუშაობა კონკრეტული უნარების გამომუშავებაზე. ტვინი ქმნის ახალ კავშირებს, როდესაც დავისწავლით ახალ უნარებს. ცვლილება თანდათანობითია. ემოციური ინტელექტის განვითარება დაკავშირებულია ტვინის ორ ცენტრს შორის მილიარდობით ნეირონების მიერ წარმოქმნილ ერთგვარ მაკავშირებელ „ხიდთან“. ცალკეულ უჯრედს შეუძლია წარმოქმნას 15000 კავშირი მის მეზობელ უჯრედებთან. მსგავსი ჯაჭვების წარმოქმნა ხელს უწყობს ემოციური ინტელექტის განვითარებას და დასწავლილი ახალი ქცევების გარდაქმნას ჩვევებში. გასათვალისწინებელია, რომ ემოციური ინტელექტი არის „რაც ცოტა გაუცნობიერებელი“ ყველა ადამიანში. ის გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის დაგეგმვაზე, არასასურველი სიტუაციის თავის არიდებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელსაც სასურველ დადებით შედეგებამდე მივყავართ.

დასკვნა. ამრიგად, პიროვნული განვითარების მიზნით, საკუთარ ემოციურ ინტელექტზე მუშაობა, მეტად მნიშვნელოვანი პროცესია. ის ადამიანები, ვინც საკუთარი ემოციური ინტელექტის დონის გაზრდაზე ზრუნავენ, უფრო ქარიზმატულები, სხვა ადამიანებისათვის უფრო საინტერესო და მიმზიდველები ხდებიან. ამასთან, ემოციური ინტელექტის გაზრდით, ადამიანის თვითშეფასებაც მატულობს.

უდავოა, რომ ემოციური ინტელექტის უნარ-ჩვევების განვითარება პიროვნების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე უნდა მოხდეს. სასურველია, თუ ჯერ კიდევ სასკოლო პერიოდიდან მოყოლებული, მოზარდი საკუთარი ემოციების მართვას ისწავლის. ამასთან, თუ ეს უნარი განვითარდება ჯგუფში. განვითარების ადრეულ საფეხურზე არსებული კრიზისის დაუძლეველობა კი, თავის მხრივ, შეაფერხებს ადამიანის წარმატებული საქმიანობის მეტად მნიშვნელოვან პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ემოციური ინტელექტი, ავტორთა კრებული, ბიზნესლიტერატურა, თბილისი, 2018.
2. მარწყვიშვილი ხ., ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება“, თსუ, 2010;
3. ხეჩუაშვილი ლ., შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში, თბ.2013.გვ.379
4. Дамасио А., Ошибка Декарта: эмоции, разум и человеческий мозг. Нью-Йорк:

- «Penguin», 2005.
5. Крайг Ж., Эмоциональный интеллект. Думай, просчитывай, побеждай — М.: Питер, 2010.
 6. Bar-On, R., Emotional Intelligence and self-actualization. Emotional Intelligence in every day life:A Scientific Inquiry. New York:Psychology Press, 2001.
 7. Gardner, H. (1993). Frames of mind: The theory of multiple intelligences (10 anniversary ed.). New York, NY: Basic Books.
 8. Emotional Intelligence: Key Readings on the Mayer and Salovey Model edited by Peter Salovey, Marc A. Brackett, John D. Mayer, NY,2007;
 9. Peter Salovey, & John D. Mayer, Emotional Intelligence, Imagination, Cognition, and Personality(1990), 185-211;
 10. Rawat S, Military Psychology and Leadership Development, India, 2018.
 11. Robert J. Emmerling, Vinod K. Shanwal, Manas K. Mandal. Emotional Intelligence: Theoretical and Cultural Perspectives. Nova Publishers, 2008;
 12. Travis Bradberry, Jean Geaves, Emotional Intelligence 2.0,TalentSmart, 2009.
 13. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16524>
 14. www.skillsyouneed.com/general/emotional-intelligence.html
 15. <http://www.talentsmart.com/about/emotional-intelligence.php>

*Tinatini Kropadze-National Defence Academy of Georgia, Psychologist.
PhD student, Program in Social Sciences(III level)*

The role of emotional intellect in the successful work of the person

Summary

A number of studies conducted in psychology and management revealed that emotional intelligence along with mental intellect and technical skills of personal characteristics is a significant determinant of successful work.

His/Her relationship with other people, communication and understanding of his/her or other people's emotions, expressing, managing and regulating skills, the ability to be less depending on stress- all these are true measuring of emotional intellect.

Keywords: *person, emotional intelligence, mental intelligence, abilities, skills.*

პიროვნების (მასათა) ფსიქოლოგია

რეზიუმე

ბრბოს ფსიქოლოგიის შესწავლა მრავალმა მეცნიერმა და გამოჩენილმა ადამიანმა სცადა. მათ შორისაა ფრანგი სოციოლოგი – გუსტავ ლე ბონი. სწორედ ამ თემას მიუძღვნა მან წიგნი – „ბრბო“. ზ. ფროიდი კი მასას ადარებს პირველყოფილ ტომს და მიანიშნებს ინსტინქტის განსხვავებული სახის გამოვლინებებზე, რა დროსაც ისინი მასად გარდაიქმნებიან, იძენენ კოლექტიურ სულისკვეთებას და იქცვიან სრულიად განსხვავებულად, ვიდრე ცალკეული მდგომარეობის შემთხვევაში.

კაცობრიობის მეხსიერებამ მრავალი ფაქტი შემოინახა ბრბოს ისტერიული აღგზნებისა და მისი დამანგრეველი შედეგების შესახებ. ადამიანები ამ დროს შემოიკრებიან იქცვიან, ავიწყდება სიკეთის ძალა და მიისწრაფის ადამიანის გონის დაჩოქებისაკენ.

ადამიანის სულიერი სამყაროს შექმნასა და ჩამოყალიბებაში მთავარია საზოგადოება, რომლის ნაწილიც თვითონაა, რომელიც უბიძგებს სიკეთისა და ბოროტების გაღვივებისაკენ.

სამწუხაროდ, ბევრისთვის უცხოა სიკეთე, მისი სული ცოდვილია, სძულს ყველა და ყველაფერი, ცდილობს რაც შეიძლება მეტი ბოროტება ჩაიდინოს, წალეკოს და დაანგრეოს მთელი ქვეყნიერება.

საკვანძო სიტყვები: მასა, ფსიქოლოგია, ბრბო, ლიდერი.

შესავალი

თითოეული ცალკეული ადამიანი მრავალი მასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ის განსხვავებული ასპექტებით არის დაკავშირებული იდენტიფიკაციასთან და თავისი მეიდეალი განსხვავებული მაგალითების მიხედვით აქვს შექმნილი. აქედან გამომდინარე, ცალკეული ადამიანი – მრავალი მასობრივი სულისკვეთების მონაწილეა: თავისი რასის, საეკლესიო თანამეგობრობის, სახელმწიფოს და ა. შ.

ასევე უკვე ნათელია, რომ ცალკეული ადამიანი უარყოფს თავის მე – იდეალს და ანაცვლებს მას მასობრივი იდეალით, რომელიც განსახიერებულია ბელადში.

თითოეული ცალკეული ადამიანი მასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ის განსხვავებული ასპექტებით არის დაკავშირებული იდენტიფიკაციასთან და მრავალი მასობრივი სულისკვეთების მონაწილეა: თავისი რასის, საეკლესიო თანამეგობრობის, სახელმწიფოს და ა. შ. გარდა ამისა, მას შეუძლია დამოუკიდებლობის გარკვეულ დონესაც მიაღწიოს.

ძირითადი ნაწილი

ჯერ კიდევ 1912 წელს ზიგმუნდ ფროიდმა მიიღო დარვინის ვარაუდი იმის შესახებ, რომ კაცობრიობა საზოგადოების პირველყოფილ ფორმას წარმოადგენდა ტომი, რომელსაც განაგებდა ყველაზე ძლიერი მამრი, მასა არის კვლავ გაცოცხლებული პირველყოფილი ტომი, მსგავსად იმისა, როგორც თითოეულ ადამიანში არის შენარჩუნებული პირველყოფილ ადამიანი, ასევე ნებისმიერი დაჯგუფებისაგან შესაძლებელია აღმოცენდეს პირველყოფილი ტომი. მაგალითად, დუგალიც არ უარყოფს იმ თეზისს, რომლის თანახმადაც მასების ინტელექტი კოლექტიურად კლებულობს და შედარებით უმნიშვნელო ინტელექტებს მაღალი ინტელექტი თავის დონეზე დაყავთ. შესაბამისად, კლებულობს ცალკეულ ადამიანების პასუხისმგებლობის შეგრძნება თავის ქმედებებთან დაკავშირებით. ფროიდი ცდილობს მასის ფენომენის ახსნას და განმარტავს, რომ უბრძოლო ადამიანთა დაჯგუფება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მასას. თუმცა, აქვე თვლის დასაშვებად ნებისმიერ ადამიანთა დაჯგუფებაში ჩამოყალიბდეს ფსიქოლოგიური მასის ტენდენცია.

ფროიდი ასევე ცდილობს იმის გარკვევას თუ როგორია ადამიანების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხზე აფექტური მდგომარეობისას.

ფსიქოანალიზიდან გამომდინარე, ვლინდება, რომ არსებობს ემოციური კავშირის კიდევ სხვა მექანიზმებიც – ეგრეთწოდებული იდენტიფიკაციები (გაიგივებანი). ფსიქოანალიზის მიხედვით, იდენტიფიკაცია წარმოადგენს სხვა ადამიანებთან ემოციური კავშირის გამოვლენას და წარმოადგენს ყველაზე ადრეულ და პირვანდელ ფორმას.

თითოეული ცალკეული ადამიანი მრავალი მასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ის განსხვავებული ასპექტებით არის დაკავშირებული იდენტიფიკაციასთან და თავისი მეიდეალი განსხვავებული მაგალითების მიხედვით აქვს შექმნილი. აქედან გამომდინარე, ცალკეული ადამიანი – მრავალი მასობრივი სულისკვეთების მონაწილეა: თავისი რასის, საეკლესიო თანამეგობრობის, სახელმწიფოს და ა. შ.

ამასთან, ნათელია, რომ ცალკეული ადამიანი უარყოფს თავის „მე“ - იდეალს და ანაცვლებს მას მასობრივი იდეალით, რომელიც განსახიერებულია ბელადში.

ფროიდი იმასაც აღნიშნავს, რომ დანაწევრება „მე“-სა მეიდეალზე პერიოდულად უკუ პროცესსაც უნდა შეიცავდეს, ვინაიდან შეუძლებელია ასე გრძელდებოდეს მუდმივად. მიუხედავად ყველა უარყოფისა და შეზღუდვისა, რომელიც „მე“-ს პასუხისმგებლობაში შედის, აკრძალვების პერიოდული გარღვევა კანონზომიერებას წარმოადგენს.

განსხვავება იდენტიფიკაციასა და „მე“-იდეალის ობიექტით ჩანაცვლებას შორის პოულობს საინტერესო განმარტებას ორი ხელოვნური მასის – ეკლესიისა და ჯარის შემთხვევაში თუკი ჯარისკაცი ისწრაფვის დაემსგავსოს,

იდენტიფიცირდეს თავის მთავარსარდალთან ეს დაცინვის საგნად იქცევა, ხოლო ეკლესიის შემთხვევაში კი, პირიქით, ქრისტესთან იდენტიფიცირება, მის იდეალიზება სავალდებულოა, უფრო მეტიც – საამაყოა.

ჩ. დარვინის გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანი წარმოიშვა ცხოველთა რიგიდან და მეტნაკლებად ენათესავება მათ სხვადასხვა სახეობას. მეცნიერების ახალმა მონაპოვარმა ვერ შეძლო მსგავსების მაჩვენებელთა უარყოფა, როგორც სხეულის სტრუქტურის, ასევე სულიერ თავისებურებების თვალსაზრისითაც.

კამათს იწვევს შემთხვევები, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში უცხო, უზნეო ძალები შემოიჭრებიან, არ მიმართავს „მე“ ფსიქოანალიზს და ჯიუტად მიილტვის ბატონთა მორალისკენ, რომელიც გრძნობაზეა (ბრბოს მორალი) დამყარებული და აზროვნების ან ფიქრის გარეშე მოქმედებენ, პოულობენ მათთვის ინდივიდუალურ, უთანაბრო, მღელვარე სტილს.

მორალური პრინციპი განსაზღვრავს ზნეობრივ ნებას და უკავშირდება ისეთ ფილოსოფიურ კატეგორიას, როგორცაა „ეთიკა“.

ეთიკა (ბერძნ. Etika, ethos-დან – ჩვეულება, ზნეობრივი ხასიათი) – მოძღვრება ზნეობის, მორალის შესახებ ტერმინი პირველად გამოიყენა არისტოტელემ როგორც კვლევის განსაკუთრებული აღნიშვნა, რადგან სწორედ ის უპასუხებს კითხვას: რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? ეთიკა გვასწავლის შევავასოთ ყოველგვარი სიტუაცია.

ზოგადად, თანამედროვე ადამიანი გამოთაყვანებულია და მუდმივად ჩქარობს, მთელი ყურადღება გადააქვს სოციალური მდგომარეობის, ანუ პირადი ცხოვრების, კეთილდღეობის მოპოვებაზე და ძლიან ადვილად იღებს ცხოველურ ინსტინქტებს. ეთიკური ადამიანისთვის, პირიქით, მისაწვდომია ფასეულობის გაგება.

გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებათა კლასიფიკაცია უნდა დაეფუძნოს იმას, რომ ადამიანს გახდის ღირსეულს, ანუ უნდა დაეფუძნოს მორალის რიგ კატეგორიებს, ემანუელ კანტიც ხომ ამბობდა: „ორი რამ მანცვიფრებს ამ ქვეყანაზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალი ჩემში“.

არსებობს ორი ძირითადი მორალი: ბატონთა მორალი და მონების მორალი. სუსტი და დაჩაგრული, გაბოროტების გამო „ბატონთა“ წინააღმდეგ ქმნის მორალს, რომელშიც სისუსტე და დაჩაგრულობა უმაღლესი ფასეულობებია, ასე წარმოიშვა მორჩილება და თანაგრძნობა, ქრისტიანული ფასეულობები, ამიტომ ისინი უნდა იქნეს შეცვლილი ბატონთა მორალის შესაბამისი ფასეულობებით: დისტანციის გრძნობით, ძალის შეგნებით, გონებრივი მორალით და ა. შ.

ამრიგად, მორალი – ღირებულებათა კლასიფიკაციის მნიშვნელოვან გასაღებს გვამღევს. ამასთან, ღირებულებების კლასიფიკაცია შესაძლებელია

მრავალი ნიშნის გათვალისწინებით. ამ კლასიფიკაციის მთავარ ნიშნად უნდა ავიღოთ „მორალი“ და სხვა კატეგორიები, რა დროსაც განსაკუთრებით თავს იჩენს საზოგადოების ყოფით ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი ადგილიც უკავია. მხედველობაში მაქვს სოციალური მდგომარეობა და უსამართლობის განცდა, რა დროსაც ადამიანი ხდება უმართავი, კარგავს მთავარ ფასეულობებს, იმპულსურია და ემსგავსება ბრბოს.

ფსიქოლოგიის კვლევის საგანს პიროვნების შესწავლის შემდგომ წარმოადგენს ბრბოში ადამიანის სრულიად მოულოდნელი და საპირისპირო ქცევის შესწავლა და ახსნა. ბრბოს „ფსიქოლოგიური მასის“ თვისება აქვს შექმნილი, მაგრამ რას წარმოადგენს თვით მასა? რით ახდენს ის ზეგავლენას ადამიანის ცხოვრებაზე და რაში მდგომარეობს ის სულიერი ცვლილება, რომელიც ახასიათებს ადამიანს მისი (მასის) ზეგავლენის გამო? ლე ბონის სიტყვებით, „ყველზე უცნაური ფსიქოლოგიურ მასაში არის ის, რომ მიუხედავად იმისა თუ როგორი ტიპის ინდივიდები შეადგენენ მასას, ემსგავსებიან ერთმანეთს ინტელიგენტობის დონით, ხასიათით, ცხოვრების წივით და ა. შ. როდესაც ისინი მასად გარდაიქმნებიან, იძენენ კოლექტიურ სულისკვეთებას და აღარ აცნობიერებენ საკუთარ ქმედებებს, ისინი სრულიად განსხვავებულად გრძნობენ და იქცევიან, ვიდრე ცალკეული მდგომარეობის შემთხვევაში. ამ დროს უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაცნობიერ ფენომენებს.

ლე ბონი შესაძლებლად მიიჩნევს სამი განსხვავებული მიზეზის დასახელებას:

1. სიმრავლიდან გამომდინარე, ინდივიდი სიმძლავრისა და ძლიერების შეგრძნებას ეუფლება, რომელიც მასში პირველად ლტოლვებს აღძრავს (მარტოობის შემთხვევაში ის იძულებული იქნებოდა ეს ლტოლვები დაემლია;
2. გადამდებობა, რომელიც ხელს უწყობს მასებში განსაკუთრებული ნიშანთვისებების წარმოქმნას და მათი მიმართულების განსაზღვრას. გადამდებობა არის ადვილად გადმოსაცემი, მაგრამ აუხსნელი ფენომენი.
3. შთაგონებადობა, რა დროსაც ადამიანი სრულად ემორჩილება იმ პიროვნებას, რომელიც მას ცნობიერებას ართმევს და განეკუთვნება ფსიქოლოგიურ მასას.

მასაში მყოფი ინდივიდის განსახვავებული მახასიათებლებია: ცნობიერი პიროვნების გაქრობა, არაცნობიერი პიროვნების უპირატესობა, შთაგონებადობის და გადამდებობის შედეგად აზრთა და გრძნობათა ორიენტაცია ერთსა და იაძვე მიმართულებით, შთაგონებული იდეების დაუყოვნებელი განხორციელების ტენდენცია, სადაც ინდივიდი აღარ წარმოადგენს პიროვნებას, რამდენიმე საფეხურით ქვევით გადაინაცვლებს და ამოქმედდება პირველადი ლტოლვები. ანუ პრიმიტიული არსებობისთვის დამახასიათებელი გმრობა: სპონტანურობა, ველურობა, ენთუზიაზმი.

დასკვნა

სოციალური პირობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტი სამართლებრივი ქცევის წარმოქმნაში. მათ, პირველ რიგში, განეკუთვნება მრავალდონიანი საზოგადოებრივი პროცესები. ეს არის მაგალითად, ხელისუფლების სისუსტე და კანონმდებლობის არასრულყოფილება, სოციალური კატაკლიზმები და ცხოვრების დაბალი დონე. როცა საზოგადოებრივი სიკეთეები ადამიანებს შორის არათანაბარზომიერად და არასამართლიანად ნაწილდება.

ამასთან, არიან ადიქტური – ანუ მავნე ჩვევების მქონენი, ამიტომ უჩნდებათ პროტესტის გრძობა, რა დროსაც მასა იძენს ბრბოს თვისებას და ნებისმიერ ფასად ცდილობს მიაღწიოს წარმატებას. ამდენად, კონკრეტული პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ქცევის სოციალურმა მიზეზმა შესაძლებელია შეცვალოს მასათა ფსიქოლოგია. სწორედ ამიტომაც პიროვნების ფსიქოლოგია დასაბამიდანვე წარმოადგენს სოციალურ ფსიქოლოგიასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქონალიზი, გამომც. „სიახლე“ (გერმანულიდან თარგმანი), თბ., 2014;
2. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2006;
3. http://geostat.ge/?action_page&p_id=2035&lang+geo

Giorgi Chachanidze, PhD student

Georgian Technical University

A psychology of a person (a mass)

Summary

A lot of scientists and famous people have tried to understand the mob psychology. One of them is a French sociologist Gustav Le Bon. The book he wrote was dedicated to the said topic. Sigmund Freud compares a mob to a primitive tribe and drops hints to the expression of various instincts, by which time they transform into a mass, obtain a collective spirit and act differently than they normally would.

The memory of humankind has preserved numerous facts of the mobs getting anxious and of the disastrous consequences they can bring. During these times, people act as if they were mad, forget about the power of their kindness and their minds are slaves of the mob.

For the creation and development of the inner world of a person, the society in which he lives, and which pushes him towards the good or the evil, plays a vital role.

Unfortunately, kindness is foreign to a lot, their souls are full of sins, they hate everyone and everything, they try to do as much of evil as they can, and destroy the whole world.

Key words: *mass, psychology, mob, leader*

სამართალმცოდნეობა

L A W

*ეკა ბერაია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ- განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალიზმის თავისებურებების კვლევის თეორიული საფუძვლები

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს დისკუსია საჯარო მმართველობის სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და ადგილის შესახებ. მრავალრიცხოვანი თეორიული კვლევების ფონზე იგრძნობა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების გამოცდილების ანალიზის უკმარისობა, რაც ზრდის მოთხოვნილებას მოცემული პრობლემატიკის გამოკვლევის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფორმების ვარიაციულობა, განპირობებულია საზოგადოების თანამედროვე რეალებით, ხშირად თან ახლავს მათი უფლებამოსილებების გაურკვეველობა, ფუნქციონალური არასიმკვეთრე. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება მოთხოვნილება, რომ დამუშავდეს საჯარო ხელისუფლების იდეის ოპტიმალური ფორმების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალიზმის თავისებურებების თეორიული კვლევა ხელს შეუწყობს სამეცნიერო ბრუნვაში საჯარო მმართველობაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებზე ახალი წარმოდგენის შექმნას, როგორც საჯარო მმართველობის სისტემის ელემენტებზე.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ინსტიტუციონალიზმი.

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს საჯარო მმართველობის მუნიციპალურ დონეს, რომლის ძირითად თვისებად გამოდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების დეცენტრალიზაცია, რომელიც გამოხატულია მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვით მმართველობით პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალიზმის თავისებურებების თეორიული კვლევა ხელს უწყობს სამეცნიერო ბრუნვაში საჯარო მმართველობაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებზე ახალი წარმოდგენის შექმნას, როგორც საჯარო მმართველობის სისტემის ელემენტებზე.

ძირითადი ნაწილი

საჯარო მმართველობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და ფუნქციონირებისას გარკვეული გამოცდილების დაგროვებით. ეს აქტუალურს ხდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოღვაწეობის პოლიტიკური გააზრების აუცილებლობას მოსახლეობის თვითმმართველური აქტიურობის ინტერპრეტაციის კონტექსტში.

ამ სიტუაციაში, საჯარო მმართველობის თვითმმართველობითი ასპექტის ჩართვა პოლიტოლოგიის პრობლემათა გარემოში შეადგენს თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ ამოცანას.

XX-ე საუკუნის 90-ინი წლების დასაწყისიდან არ წყდება დისკუსია ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და ადგილის შესახებ საჯარო მმართველობის სისტემაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან გამოყოფის დასაბუთებასა და შედეგებზე. მრავალრიცხოვანი თეორიული კვლევების ფონზე იგრძნობა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების გამოცდილების ანალიზის უკმარისობა, რაც აქტუალურს ხდის მოთხოვნილებას მოცემული პრობლემატიკის პოლიტიკური გამოკვლევის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოების ორგანიზაციაშია, რომლის რეალიზაცია მიმდინარეობს მრავალფეროვან სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკაში. ადგილობრივი თვითმმართველობის

ადმას-რულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფორმების ვარიაციულობა განპი-რობებულია საზოგადოების თანამედროვე რეალებით, ხშირად თან ახლავს მათი უფლებამოსილებების გაურკვევლობა, ფუნქციონალური არასიმკვეთრე. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება მოთხოვნილება, რომ დამუშავდეს საჯარო ხელისუფლების იდეის ოპტიმალური ფორმების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულებები .

საჯარო მმართველობის ორგანოების წინაშე დგას ამოცანა, რომ გადაწყვიტოს ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც ეხება ხალხის ცხოველმოქმედების უზრუნველყოფას მუნიციპალურ რაიონებში. მაგრამ რესურსების არასაკმარისობა, მმართველობითი პროცედურების დაუხვეწაობა გავლენას ახდენს საჯარო მმართველობის ორგანოების მოღვაწეობის ეფექტიანობაზე მუნიციპალურ დონეზე - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმასრულებელგანმკარგულებელ ორგანოებზე. ეს იწვევს აუცილებლობას იმისა, რომ შემუშავდეს ახალი, შედარებით უფრო ეფექტური ფორმები და მეთოდები მოსახლეობის თვითმმართველური აქტივობის რეალიზაციისა ადგილობრივი თვითმმართველობის ადმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების მოღვაწეობაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები წარმოადგენენ დისკუსიის საგანს პოლიტიკურ მეცნიერებაში XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციის თანმიმდევრული წარმოჩენა იყო ახლად გამოჩენილი პოლიტოლოგების რეაქცია ადგილობრივი მმართველობის სფეროში ინტენსიური რეფორმების პროცესზე, რომლებიც იმლებოდა ამ პერიოდში ევროპის რიგ ქვეყნებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის საკითხები ამ პერიოდში განიხილება საზღვარგარეთ ლ. შტეინის, რ. გნეისტის, გ. ელინეკის, ა. დე ტოკვილის¹ შრომებში.

სოციალური მმართველობის მეცნიერებაში კლასიკოსად ითვლება ა. ფაიოლი², ვის იდეებსაც საჯარო მმართველობის შესწავლისადმი ინსტიტუციალური მიდგომის ჩარჩოებში ანვითარებდნენ ჟ. ვედელი, მ. დიუვერჟე, ა. ორიუ, მ. პრელო³.

გ. ადმონდის, დ. იცტონის, ტ. პარსონსის შრომებში წარმოდგენილია საჯარო მმართველობის ანალიზის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი⁴.

თეორიული ანალიზი ინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და მისი ეფექტი საჯარო მმართველობაში არაინსტიტუციონალური მიდგომის თვალსაზრისით

¹ Штейн Л. Учение об управлении и провозуправлении Пер.с нем.СПб,1874;Гнейст Р.История гос.учр.Англии.-М.;тип-фия В.Ф. Рихтер,1885;Гнейст Р.Правовое гос-тво и администр.суды Германии.-СПб;типогр.В. Безобразова и К,1896; Еллинск Г.Общее учение о гост-тве,право современного гост-ва.-СПб,1908; Токвиль А. Демократия в амер.Л.1994.

² Управдение-это наука и искусство/А. Файоль, Г. Эмерсон, Ф. Тейлор, Г.Форд-М.:Респ-ка,1992.

³ Демишель А. Институты и власть во Франции.-М.,1987.PrelotM. Lasciencepolitigue.-1961,1961.P.80. Duverger M. Institutions politigue et droit cjnstitutionnet.-Paris,1970. P.7. Duverger M. Sociologie politigue. Paris,1970.

⁴ Parsons T. Essays in Sociological Theory,-N.Y.Y.;L.,1965.

განხორციელებული იქნა დ. მარჩის, ი. ოლსენის, დ. ნორტას, ე.ოსტრომას, ბ.გ. პიტერსის, პ. ხელლას, რ. ტეილორის, ჯ. ბლომ-ხანსენის, დ. ვეიმარის, ბლ. როტსტაინოს, ს.ვ. პატრუშევის, პ. ნ. პანოვის და სხვათა ნაშრომებში.¹

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალიზმის თავისებურებების განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია: ჩატარდეს საჯარო მმართველობის კატეგორიული ანალიზი პოლიტიკური მეცნიერების კონტექსტში; განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილი და როლი საჯარო მმართველობაში; განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალურ-ფუნქციონალური ანალიზი; გამოვლინდეს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფორმირების თავისებურებები მართვის სისტემის რეფორმირების პირობებში; გაიხსნას ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფუნქციონირების ინსტიტუციონალური ასპექტი საჯარო მმართველობის სისტემაში; განისაზღვროს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების, როგორც საჯარო მმართველობის ინსტიტუტის ფორმირების ძირითადი ტენდენციები.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალიზმის თავისებურებების კვლევის თეორიულ საფუძველს შეადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია, დამუშავებული ლ. შტეინის მიერ. ლ. შტეინმა, რომელიც წარმოადგენს ფუძემდებელს ადგილობრივი თვითმმართველობის «თეორიის»-ა, პირველად დაასაბუთა ადგილობრივი თვითმმართველობის დუალისტური ბუნება. განიხილა ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, როგორც სინთეზი საჯარო-ძალაუფლებრივისა და საზოგადოებრივი საწყისისა. მოცემული კონცეფციების გამოყენება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების როლი და ადგილი საჯარო მმართველობის სისტემაში.

¹ March J., Olsen J. The New Institutionalism: Organizational Factors in Political Life//American Political Science Review.1984.Vol.78.N:3.P.735-738; НортД. Институты, институциональныеизмененияифункционированиеэкономики.-Москва: Начала, 1997; Ostrom E. Institutional Rational Choice: An Assessment of the Institutional Analysis and Development Framework//Theor. Of Policy Process / Ed by P. Sabatier. Boulder: West view Press,1999. P.35-55; Питерс Б.Г.Полит. инст-ты: вчера и сегодня//Полит. Наука: новые направления/Под ред. Р. Гудина, Х.Г. Клингемана. М.:Вече,1999. С.218-232; Hall P.A., Taylor R.C.R. Political science find the four new institutionalist // Political Studies. 1996. Forthcoming; Blom-Hansen J.A. "New Institutional" Perspective in Policy Networks // Public Administration. 1997.Vol. 75. P. 669-693; Gafford S.E.S., Ostrom E. The Grammar of Institutions//American Political Science Review.1995.Vol.89

P.582-600; Ротстайн Б. Пролит.инст, общие проблемы//Политическая наука: новые направления/ Под ред. Р.Гудина, Х.Г. Клингемана.-М.:Вече,1999.-С.149-180.;Панов П.В. Теории полит.инст.-Перьм,2004; Паррушев С.В. Институционализм в пол. Науке: Этапы, течения, идеи, проблемы// Забелная Политология в XX ст.Сбор.науч.тр. (Полит.наука).2001.№2-С.5-30.

კვლევის ნეონსტიტუციონალური მეთოდის გამოყენება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ინსტიტუციონალიზმის პროცესების თავისებურებები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების თანამედროვე ეტაპზე და შევიმუშავოთ ფუნქციონალურ-სტრუქტურული მიდგომა, რომლის გამოყენება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მოცემული ორგანოების ფორმირებისა და ფუნქციონირების არსი.

კვლევისადმი დისციპლინარული მიდგომა პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, სამართალწარმოების და ისტორიის მეთოდოლოგიურ ჭრილში საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების მოღვაწეობის ძირითად ტენდენციებში საჯარო მმართველობის ჩარჩოებში, მათ რეგიონალურ თავისებურებებში.

საჯარო მმართველობა - ეს არის სოციალური მმართველობის ნაირსახეობა, რომელსაც აქვს ინსტიტუციალიზმის რამოდენიმე დონე: სახელმწიფოებრივი, რეგიონალური და მუნიციპალური. საჯარო მმართველობა, როგორც ხარისხობრივად ახალი ფორმა სახალხო ძალაუფლების იდეის რეალიზაციისა თანამედროვე პირობებში, ხასიათდება უნიკალური არსობრივი თვისებებით: ტრანსპარანტულობით, ლეგიტიმურობით, დემოკრატიულობით.

დასკვნა

ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს საჯარო მმართველობის მუნიციპალურ დონეს, რომლის ძირითად თვისებად გამოდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების დეცენტრალიზაცია, რომელიც გამოხატულია მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვით მმართველობით პროცესში. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენენ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, რომლებიც ხასიათდებიან იერარქიულობით და ფუნქციონალური სპეციალიზაციით.

მსოფლიოგამოცდილებამეტყველებს იმაზე, რომ შედარებით უფრო სრულად წარმოჩინდება ადგილობრივი თვითმმართველობის არსი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების მოღვაწეობაში მმართველობითი ფუნქციების ადგილობრივი გაერთიანებების, აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების სტრუქტურებში მოსახლეობის თვითმმართველობითი აქტივობის ელემენტების ჩართვით. მოცემული ორგანოების თვითმმართველობითი მახასიათებლების გაძლიერება უზრუნველყოფს მათი, როგორც საჯარო მმართველობის ინსტიტუტად ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას.

აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების მოღვაწეობის ეფექტურობის ამაღლება, როგორც მოსახლეობის თვითმმართველობის რეალური ორგანოებისა, ტოლფასია მათი ინსტიტუციონალიზმის პროცესისა.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ონსტიტუციონალიზმის თავისებურებების თეორიული კვლევა ხელს უწყობს სამეცნიერო ბრუნვაში საჯარო მმართველობაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებზე ახალი წარმოდგენის შექმნას, როგორც საჯარო მმართველობის სისტემის ელემენტებზე პოლიტიკური მოდერნიზაციის თანამედროვე ეტაპზე. თეორიული კვლევები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი თვითგამორკვევის თეორიის ცალკეული ასპექტების შემდგომი დაზუსტებისათვის, კატეგორიული აპარატის განვითარებისათვის, კონცეპტუალური ბაზისათვის, ასევე არსებულები-სა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი თეორიული მოდელების გენერაციის დასაზუსტებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭავჭავაძე ი., „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.“ ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია. „საინფორმაციო ბიულეტენი“. №11,2013წ.
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>
3. Штейн Л. Учение об управлении и провозуправлении Пер.с нем.СПб,1874;
4. Гнейст Р.История гос.учр.Англии.-М.;тип-фия В.Ф. Рихтер,1885;Гнейст Р.Правовое гос-тво и администр.суды Германии.-СПб;типогр.В. Безобразова и К,1896; Еллинск Г.Общее учение о гост-тве,право современного гост-ва.-СПб,1908; Токвиль А. Демократия в амер.Л.1994.
5. Управдение-это наука и искусство/А. Файоль, Г. Эмерсон, Ф. Тейлор, Г.Форд-М.:Респ-ка,1992.
6. Демишель А, Институты и власть во Франции.-М.,1987.PrelotM. Lascience-politique.-1961,1961.P.80. Duverger M. Institutions politique et droit cjnstitution-net.-Paris,1970. P.7. Duverger M. Sociologie politigue. Paris,1970.

Resume about the theoretical basis of the research of peculiarities of institutionalism of the executive bodies of local government

Summary

Discussion about the essence and place of local self-government in the public administration system is underway in modern society. In the background of numerous theoretical researches, there is a lack of analysis of the experience of establishing local self-governance, which increases the need for examining these problems.

Variation of the forms of executive bodies of local self-governance is conditioned by the modern reality of society, often accompanied by uncertainty of their powers, functional non-existence. In this regard, the need to develop the scientifically grounded trends for the development of optimal forms of the idea of public power.

Theoretical research of the peculiarities of the onstitutionalism of the local self-governing bodies will promote the creation of a new presentation on public governance in the scientific turnover and the executive-management bodies of local self-government as part of the public administration system.

Keywords: *public administration, local self-government, institutionalism.*

იურიდიული ფაქტები საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში

რეზიუმე

საოჯახო ურთიერთობათა მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. შესაბამისად, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოადგენს საოჯახო სამართლის ნორმებით რეგულირებული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები. **სამართლებრივი რეგულირებისას ისინი იცვლიან ფორმას, ხოლო შინაარსი იგივე სახითაა.**

წარმოშობის საფუძვლებისა და სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად. მათ შორის მნიშვნელოვანია: ა) საქორწინო-სამართლებრივი ურთიერთობები. მათი საფუძველი ქორწინება, სუბიექტები კი არ არიან მეუღლეები ან ყოფილი მეუღლეები; ბ) მშობლიური სამართლებრივი ურთიერთობანი. ისინი წარმოიშობა ბავშვის გაჩენის საფუძველზე და არამარტო შვილებთან ურთიერთობას, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობასაც მოიცავს; გ) შვილად აყვანისა და ბავშვებზე ზრუნვის მსგავსი ფორმების სამართლებრივი ურთიერთობები; დ) ოჯახის სხვა წევრების საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი. ასეთი კლასიფიკაცია უფრო გასაგებს ხდის საოჯახო კანონმდებლობის სტრუქტურას და მის ადგილს საერთო სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: იურიდიული ფაქტები, სამართალი, სამართლებრივი რეგულირება, ბავშვებზე ზრუნვა.

შესავალი

სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით, საოჯახო სამართალში იურიდიულ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა და სპეციფიკა ახასიათებს. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა არა ხელშეკრულებებისა და დელიქტების, არამედ, ძირითადად იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ისინი, თავის მხრივ, იყოფა მოქმედებებად და ხდომილებებად. დაყოფა კი იმის მიხედვით ხდება, დაკავშირებულია ისინი ცალკეულ სუბიექტთა ნებასთან თუ არა. მოქმედებანი, როგორც ნებელობითი ქცევები, რომლებთანაც დაკავშირებულია სამართლებრივი შედეგები, შეიძლება იყოს მართლზომიერი (შვილად აყვანა, განქორწინება და სხვ.) და არამართლზომიერი (ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება და სხვ.). საოჯახო-სამართლებრივი ნორმების შესა-

ზამისი (მართლზომიერი) მოქმედებები კი იყოფა საოჯახო-სამართლებრივ აქტებად და საოჯახო-სამართლებრივ ქცევებად.

ძირითადი ნაწილი

საოჯახო-სამართლებრივი აქტები ისეთი მოქმედებებია, რომლებიც სპეციალურადაა მიმართული განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად. ასეთ აქტებს უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება: დაქორწინება, მამობის აღიარება, საქორწინო ხელშეკრულების დადება და სხვა. ზოგიერთი მოქმედება, მართალია დამოუკიდებლად არ იწვევს სამართლებრივ შედეგს, მაგრამ ხელს უწყობს მის მიღწევას. ასეთია, მაგალითად, ერთი მეუღლის თანხმობის გამოხატვა მეორე მეუღლის მიერ შვილად აყვანისას. ამიტომ ასეთი მოქმედებაც უნდა ჩაითვალოს საოჯახო-სამართლებრივ აქტად. საოჯახო-სამართლებრივი აქტები სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების ნაირსახეობას წარმოადგენენ, თუმცა გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებთ.

ა) საოჯახო სამართალში გარიგებების უმეტესობა ცალმხრივი ხასიათისაა. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა უმრავლესობა კი ორმხრივ გარიგებებს = ხელშეკრულებებს ეფუძნება. ხელშეკრულებები საოჯახო სამართალშიც გვხვდება და ზოგჯერ წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ფორმითაც (საქორწინო ხელშეკრულება, შეთანხმება ალიმენტის გადახდის თაობაზე), მაგრამ მათში გამოხატულია საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეების ერთიანი მიზნისკენ სწრაფვა (მეუღლეთა მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევა, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტა) სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებები კი უმეტესად მათ მონაწილეთა სხვადასხვა ინტერესებისაკენ მიმართული ურთიერთშეთანხმებულ ნებათა გამოვლენაა.

ბ) საოჯახო-სამართლებრივი გარემოებების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ფორმა. მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულებაშია კლასიკური სახითგამოხატული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნიშნები. საოჯახო-სამართლებრივი გარიგებების ერთი ნაწილი იდება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოებში, რადგან ისინი სხვა პირთა ან მთელი საზოგადოების ინტერესებს შეიძლება ეხებოდეს. აუცილებელია ქორწინების, შვილად აყვანის, მამობის აღიარებისა და სხვა გარიგებათა რეგისტრაცია. სხვა საოჯახო-სამართლებრივი გარიგებები კი შეიძლება სამოქალაქო სამართალში ცნობილი ნებისმიერი ფორმით იქნეს დადგენილი.

გ) საოჯახო-სამართლებრივი გარიგებები უმეტესად პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ეხება, მაშინ, როცა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის სხვა გარიგებები ძირითადად ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას ედება საფუძვლად. ეს იმითაა განპირობებული, რომ საოჯახო

სამართალში პირადად არაქონებრივ ურთიერთობებს სტაბილური ხასიათი არ გააჩნია და უმეტესად ქონებრივ ურთიერთობებთან ერთად წარმოიშობა. სამოქალაქო სამართალში კი მათ ავტონომიურობის მეტი ხარისხი აქვთ.

მართლზომიერი მოქმედების მეორე სახეს წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივი ქცევა. ისიც ნებაყოფლობითი ხასიათისაა, მაგრამ გარიგებისაგან განსხვავებით, იგი არ არის სპეციალურად მიმართული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, თუმცა განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებთან მაინც არის დაკავშირებული. იურიდიული ქცევა შეიძლება იყოს ერთჯერადი ხასიათის, როცა, მაგალითად, ერთი მეუღლე მნიშვნელოვან სახსრებს გაიღებს მეორე მეუღლის საკუთრებაში არსებული ქონების კაპიტალური შეკეთებისათვის, რაც შეიძლება ამ ქონებაზე მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების წარმოშობის საფუძველი გახდეს. ამას გამონაკლისი ხასიათი აქვს. უმეტესად საოჯახო სამართლის სუბიექტები იურიდიულ ქცევებს სისტემატურად ახორციელებენ. ასეთია, მაგალითად, ფაქტობრივი აღზრდელების, დედინაცვლის, ან მამინაცვლის მოქმედებანი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, რაც მათ აღზრდილთაგან სარჩოს მიღების უფლებას წარმოშობს. ასევე სამართლებრივ შედეგებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება, ბავშვის აღზრდაში ან რჩენაში მონაწილეობის მიღება და სხვ.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა შეიძლება დაკავშირებული იყოს ხდომილებებთან. ისინი, როგორც საოჯახო სამართლის სუბიექტების ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მაგალითად, მხოლოდ სიკვდილი წარმოადგენს სისხლით ნათესავეებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტის საფუძველს. ხდომილებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა არის დამოკიდებული სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ნებაზე. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მშობლების შეთანხმებას შვილისათვის ალიმენტის გადახდაზე უარის თქმის თაობაზე, რადგან საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობა წყდება მხოლოდ ბავშვის მიერ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევის მომენტიდან.

ხდომილების ნაირსახეობად მიჩნეულია ვადები. მათთან, როგორც იურიდიულ ფაქტებთან, ხშირად დაკავშირებულია სამართლებრივი შედეგები. უმეტესად ისინი ატარებენ იმპერატიულ ხასიათს და საოჯახო - სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შეთანხმებით შეუძლებელია მათი შეცვლა. საოჯახო სამართალში მნიშვნელოვანია ისეთი ვადები, როგორცაა ხანდაზმულობის ვადები, ქორწინების რეგისტრაციის, აგრეთვე განქორწინების რეგისტრაციის ვადები, საქორწინო უფლება - მოვალეობათა წარმოშობის ვადები, საოჯახო-სამართლებრივ უფლება-მოვალეობათა წარმოშობის ან ხელის შემშლელი

ვადები (პირის გარდაცვალებიდან 10 თვის ვადაში ბავშვის დაბადებისას მისი მამად აღიარების პრეზუმფცია ან ცოლის ორსულობის პერიოდში და ბავშვის გაჩენიდან ერთი წლის განმავლობაში ქმრისათვის განქორწინების შესახებ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შეუძლებლობა) და სხვ.

იურიდიული ფაქტები სამართლებრივი შედეგების მიხედვით შეიძლება იყოს უფლებაწარმომშობი, უფლებააღმდგენი, უფლებაშემცვლელი და უფლებაშემწყვეტი შინაარსისა.

უფლებაწარმომშობია ისეთი ფაქტები, რომლებთანაც დაკავშირებულია საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა (ქორწინება, ბავშვის დაბადება, შვილად აყვანა). უფლებააღმდგენია ისეთი ფაქტები, რომლებიც საფუძვლად ედება ადრე არსებული უფლებების აღდგენას (მშობლის უფლებების აღდგენა, მშობლის უფლებების შეზღუდვის გაუქმება). უფლებაშემცვლელია საოჯახო სამართლის სუბიექტის ან მისი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის ფაქტები (მცირეწლოვანი ბავშვის მეურვეობიდან მზრუნველობაში გადასვლა, ქონებისათვის მეურვის დანიშვნა, მშობლის უფლების ჩამოტოვება). უფლებაშემწყვეტი იურიდიული ფაქტების საფუძველზე ხდება კონკრეტული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა (განქორწინება, საოჯახო ურთიერთობათა სუბიექტის გარდაცვალება, შვილად აყვანის გაუქმება).

ზოგჯერ ერთი და იგივე იურიდიული ფაქტი საფუძვლად ედება ერთი სახის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, მეორე სახის სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას და მესამე სახის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას. მაგალითად, შვილდაყვანის დროს, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა მშობლებთან გათანაბრებული უფლება-მოვალეობები, იცვლება ნაშვილების სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, წყდება სამართლებრივი ურთიერთობანი გაშვილებულსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის.

იურიდიული ფაქტების მსგავსად, ცალკეულ საოჯახო-სამართლებრივ შედეგებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ამა თუ იმ სუბიექტის კონკრეტული მდგომარეობა, რომელიც პერიოდულად ან მუდმივად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ გარემოებებს. მათი არსებობა ზოგჯერ უშუალოდ არის დაკავშირებული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობასთან, შეცვლასა და შეწყვეტასთან. ამიტომ მათ ხდომილებათა ნაირსახეობად მიიჩნევენ, მაგალითად, თუ ბავშვის დაბადება მოკლევადიანი ხდომილებაა, გრძელვადიან ხდომილებებს სუბიექტის თვისებრივი მდგომარეობა ეწოდება. ასეთია, მაგალითად, ორსულობა, შრომისუუნარობა, არასრულწლოვანება, ნათესაობა და სხვ. ერთმანეთთან ახლო მყოფი ასეთი ფაქტების ერთობლიობა ხშირად კრებსითი სახელითაც აღინიშნება. მაგალითად, „ოჯახური მდგომარეობა“ ან

„მატერიალური მდგომარეობა“ ასახავს იმ კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც პირის ოჯახურ ან მატერიალურ პირობებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, სასამართლო ალიმენტის ოდენობის დადგენისას ან საერთოდ საალიმენტო ვალდებულების დაკისრებისას, ამ გარემოებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა (ოჯახის წევრის გარდაცვალება, მატერიალური მდგომარეობის გაუარესება) შეიძლება საფუძვლად დაედოს საალიმენტო ვალდებულებების შეცვლას ან მოსპობას.

სუბიექტის თვისებრივი მდგომარეობის ამსახველი ცალკეული ფაქტი კონკრეტული უფლების წარმოშობაზე წინააღმდეგობრივ ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, დაქორწინება პირისათვის ადრინდელთან შედარებით განსხვავებულ საოჯახო მდგომარეობას გულისხმობს და იგი სხვასთან ქორწინებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლება. არ შეიძლება არასრულწლოვანი პირი იყოს მშვილბეელი, ქმარს არ შეუძლია განქორწინება მოითხოვოს ცოლის ორსულობის პერიოდში მისი თანხმობის გარეშე და სხვ. თვისებრივი მდგომარეობის უმეტესობა სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში ავლენს თავის სამართლებრივ შესაძლებლობებს და ამით ხელს უწყობს ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომას. ისინი დამოუკიდებლად არ წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს, არამედ გამოხატავენ ოჯახის წევრთა შორის არსებულ საზოგადოებრივ კავშირებს.

თვისებრივი მდგომარეობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ნათესაობა და მოყვრობა. ნათესაობა არის სისხლით კავშირი იმ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან ან ერთი წინაპრისაგან არიან წარმოშობილი. განსხვავებენ ნათესაობის ხაზსა და ნათესაობის ხარისხს. ნათესაობა პირდაპირი ხაზისაა, როცა პირები ერთმანეთისაგან არიან წარმოშობილი. პირდაპირი ნათესაობა აღმავალია, როცა იგი შთამომავლობიდან წინაპრისაკენ მიიმართება. მაგალითად შვილიშვილი, შვილი, მამა, პაპა და ა.შ. დაღმავალია ნათესაობა, თუ იგი წინაპრიდან შთამომავლობისკენ მიიმართება. მაგალითად პაპა, მამა, შვილი, შვილიშვილი და ა.შ. ნათესაობა გვერდითი შტოსია, ანუ ხაზისაა, როცა საერთო წინაპრისაგან მომდინარეობს. მაგალითად ძმები და დები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ა. შ. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა დებსა და ძმებს. ორივე მშობელი ჰყავთ საერთო თუ - ერთი. მათი სამართლებრივი მდგომარეობა ერთნაირია. ნათესაობის სიახლოვე იზომება ნათესაობის ხარისხით, რაც თავის მხრივ დაბადებათა იმ რაოდენობით განისაზღვრება, რომლებიც ამ პირებს ერთმანეთთან აკავშირებთ. ნათესაობის ხარისხის გამოთვლის ეს რომაული სისტემა თავის დროზე გენიალურ აღმოჩენად იქნა მიჩნეული.

ნათესაობის ხარისხის განსაზღვრის დროს წინაპრის დაბადება მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, მამა და შვილი პირველი ხარისხის ნათესავები არიან. ასეთი ნათესაობის წარმოსაშობად საკმარისია ერთი (შვილის) დაბადება.

პაპა და შვილიშვილი მეორე ხარისხის ნათესავეები არიან, რადგან მათ აკავშირებთ ორი დაბადება - ჯერ შვილისა, შემდეგ კი - შვილიშვილისა. ბიოლოგიური და - ძმა მეორე ხარისხის გვერდითი ნათესავეები არიან - მათი ნათესაობისათვის აუცილებელია ორი დაბადება - დისა და ძმისა. ამ შემთხვევაში მშობელთა დაბადება არ ითვლება. ბიძა და ძმისშვილი მესამე ხარისხის ნათესავეები არიან, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები - მეოთხე ხარისხის და ა. შ.

ნათესაობა ბიოლოგიური ცნებაა და მასში გამოხატულებას პოულობს ადამიანის ბუნებრივი წარმოშობა. იგი სისხლითი კავშირის დადასტურებაა. ნათესაობას, როგორც ბიოლოგიურ მოვლენას, სახელმწიფო სამართლებრივ ხასიათს აძლევს. საოჯახო სამართალში იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა გააჩნია ახლო ნათესაობას. ახლო ნათესავეებად ითვლებიან პირდაპირი ხაზის პირველი და მეორე ხარისხის ნათესავეები - მშობლები და შვილები, პაპა-ბებია და შვილიშვილები. ნათესაობის სიახლოვის მიხედვით განისაზღვრება ბავშვის რჩენის ვალდებულების შესრულების რიგითობა. მაგალითად ეს ვალდებულება პირველ რიგში მშობლებს ეკისრებათ, ხოლო მეორე რიგში პაპა-ბებიას და დამმას თუ მშობლებისგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა არ არსებობს. ახლო ნათესავეები არიან აგრეთვე ბიოლოგიური დები და ძმები. ნათესაობა ერთნაირად განისაზღვრება როგორც მამის ისე დედის ხაზით. შვილისათვის ერთნაირი სამართლებრივი მნიშვნელობისაა მამის ხაზით ნათესავეები და დედის ხაზით ნათესავეები. მას ერთნაირი უფლება-მოვალეობები გააჩნია როგორც ერთი ისე მეორე ხაზის ნათესავეებთან ურთიერთობაში. მათ შორის ფორმალური სხვაობა ყოფაში დამკვიდრებული კრიტერიუმებით განისაზღვრება. მამის ხაზით ნათესავეებს ჯიში ეწოდება, დედის ხაზით ნათესავეებს კი - ჯილაგი. შვილად აყვანისას, მართალია მშვილებელსა და ნაშვილებს ერთმანეთთან არ აკავშირებთ სისხლით ნათესაობა, მაგრამ მათი ურთიერთობა კანონით გათანაბრებულია პირველი ხარისხის სისხლით ნათესაობასთან. ეს იმიტაც დასტურდება, რომ ნაშვილებსა და მშვილებლის ნათესავეებს შორის მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა.

ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადგენა სასამართლო წესით. ნათესაობასა და მისი ხარისხის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო-სამართლებრივი ხასიათის სხვა ინსტიტუტებისთვისაც (დაზღვევა, სოცუზრუნველყოფა და სხვ).

ნათესაობისაგან არსებითად განსხვავდება მოყვრობის ინსტიტუტი. მოყვრობა არის ერთ-ერთი მეუღლის ურთიერთობა მეორე მეუღლის ნათესავეებთან ან ურთიერთობა მეუღლეთა ნათესავეებს შორის. მოყვარეობა არ ნიშნავს სისხლით კავშირს ურთიერთობის მონაწილეთა შორის, მათ სისხლით ნათესაობა აკავშირებთ მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლესთან. მოყვარეობის საფუძველს წარმოადგენს ქორწინება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არა

მარტო მეუღლეებს, არამედ მათ ნათესავებსაც. ამიტომ ზოგჯერ მოყვარეობას ქორწინებითი ნათესაობის სახედ მიიჩნევენ. მოყვარეობა ქორწინების გვერდით ეფექტია. მოყვარეებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: სიდედრი, სიმამრი, დედამთილ-მამამთილი, სიძე, რძალი, მაზლი, მული, ცოლისძმა, ცოლის და ა.შ. მოყვარობა არ წარმოიშობა მაშინ, როცა არც ერთ მეუღლეს არ ჰყავს ნათესავები. მოყვარობის ზრდის ან შემცირების საფუძველია მეუღლის ნათესავის დაბადება ან გარდაცვალება. მოყვარობა არ წარმოადგენს საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს დედინაცვალ-მამინაცვალსა და გერებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა. მათ შორის არსებული მოყვრობა კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში საფუძვლად ედება საალიმენტო ურთიერთვალდებულებებს.

ქმარი და ცოლი ერთმანეთის არც ნათესავები არიან და არც მოყვარეები. ისინი ერთმანეთთან იმყოფებიან ქორწინებაში, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა განსაკუთრებული და უნიკალური ურთიერთობა - მეუღლეობრივი სამართლებრივი ურთიერთობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია რ., შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 2015
2. შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007.
3. ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000.
4. ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში. თბ., 2013.

Gvanca Gardanidze
Georgian Technical University

The judicial factual in the family - legal relations

Summary

Family relations part of the regulated by the only defined had legal norms respectively, family - legal relationship between the family law norms regulated a particular public relations. Had legal regulation they change form, while content of the same form. The origin of and of the subjective grounds for the members of the family - had legal relations can be divided into several groups.

Including it is important: a) marriage - had legal relationships. A basis for of their marriage, the subjects are spouses or by former spouses; b) A native had legal relationships. They arise a child's birth, and not only on the basis of the relationship with the children, but also with each other will include relationship; g) Child adop and child care, similar to the forms of had legal relationships; d) Other family members in the family - had legal relationships. For such a classification of a clearer understanding of the structure of the family law and its place the civil law of system.

Keywords: legal facts, justice, regulation, care for children.

მემკვიდრეობის სამართლის ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში

რეზიუმე

მემკვიდრეობა, როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის მიხედვით, არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლა სამემკვიდრეო სამართლის ნორმების შესაბამისად.

მემკვიდრეობის სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონებას სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. მოქმედი კანონმდებლობით მემკვიდრეობით საფუძველს წარმოადგენს ანდერძი და კანონი. არ შეიძლება მემკვიდრეობის აღნიშნული საფუძვლების დაპირისპირება. მემკვიდრედ მიიჩნევა ის, ვისზეც უფლებამონაცვლეობის გზით გადადის მამკვიდრებლის ქონებრივი უფლება-მოვალეობები. პირადი უფლებები და მოვალეობები შეიძლება არაქონებრივი ხასიათისაც იყოს.

მემკვიდრეობის სამართალს აქვს მთელი რიგი თავისებურებანი. ასევე მემკვიდრეობითი ურთიერთობები მრავალგვარია.

საკვანძო სიტყვები: მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ქონებრივი უფლებები, მოვალეობები, სამართალი.

შესავალი

მემკვიდრეობის სამართლის ცნებაში, უპირველეს ყოვლისა მოიაზრება ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა სამკვიდროს და მტოვებლის უფლებამონაცვლეობაზე. არ შეიძლება მათი შემოფარგვლა მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობებით და მითუმეტეს - ქონებით. ქონებრივის გარდა სამკვიდროში შედის ზოგიერთი არაქონებრივი უფლება-მოვალეობები. ასევე ქონებასთან ერთად, მემკვიდრეობაზე გადადის სამკვიდროს და მტოვებლის ვალების გასტუმრების ვალდებულებაც, სამემკვიდრეო პასივი და ტოვებული ქონების ღირებულების ფარგლებში წარმოადგენს სავალო ტვირთს. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის ურთიერთობანი ფართო სპექტრს წარმოადგენს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ ქონებრივი ან სანივთო ურთიერთობებით მათი ამოწურვა. ამიტომ არასწორია იმ ავტორთა პოზიცია (მოსკოვის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის წევრები) რომლებიც თვლიან, რომ მემკვიდრეობის სამართალი სანივთო სამართლის ან კერძო საკუთრების სამართლის ლოგიკური გაგრძელება და მისი ნაწილია, რომ

სამოქალაქო სამართლის სისტემაში მას დამოუკიდებელი ადგილი არ გააჩნია. არადა, რა ფართოდაც არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ქონებრივ უფლებამოვალეობათა შინაარსი, იგი სრულყოფილად ვერ ასახავს სამემკვიდრეო ურთიერთობათა თავისებურებებს. მასში მკვეთრად არ არის გამოხატული სამკვიდროს დამტოვებლის არაქონებრივი უფლებების სხვაზე გადასვლის შესაძლებლობა და მით უმეტეს, მათი ვალის გასტუმრების ვალდებულება. აღნიშნული პოზიცია ნაწილობრივ ეყრდნობა კონსტიტუციურ დებულებას იმის შესახებ, რომ „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მხოლოდ საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემაა შესაძლებელი. ამ ლოგიკით მამკვიდრებლის ვალების გადახდის ვალდებულებების მემკვიდრისათვის დაკისრების გამო შეიძლებაოდა მემკვიდრეობის სამართლის ვალდებულებითი სამართლის შემადგენელ ნაწილად აღიარება. მაგრამ მემკვიდრეობითი ურთიერთობები ასეთ შემთხვევაშიც არასრულად იქნებოდა წარმოდგენილი, ამიტომ მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის არა რომელიმე ქვედარგთან ან ინსტიტუტთან უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ მას სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უნდა გააჩნდეს. ეს ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემის ბოლოს უნდა იყოს მოთავსებული,, რადგან მემკვიდრეობის სამართალი მოიცავს არა მარტო ვალდებულებითი სამართლის, არამედ ინტელექტუალური საკუთრებისა და საოჯახო სამართლის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასში სამეწარმეო, შრომის სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ელემენტებიცაა ჩართული. აქედან გამომდინარე მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის და კერძო სამართლის სხვა დარგების დამაკავშირებელ რგოლად უნდა იქნეს მიჩნეული.

მემკვიდრეობის სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვედანაყოფის დამოუკიდებელ ხასიათზე მეტყველებს მისი ზოგიერთი პრინციპის სპეციფიკა. სწორედ ასეთ პრინციპებში აისახება მემკვიდრეობის სამართლის შინაარსის განმსაზღვრელი ნიშნები. მათ შორის აღსანიშნავია: მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპი, მამკვიდრებლის ნების თავისუფლების პრინციპი, მემკვიდრეთა უფლებებისა და, საერთოდ, მემკვიდრეობის არამართლზომიერი ზემოქმედებისაგან დაცვის პრინციპი და სხვ.

მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპი გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ნებას შორის რაიმე განმაპირობებელი რგოლი არ უნდა არსებობდეს, რომ მემკვიდრე მამკვიდრებლის იურიდიული პიროვნების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მთელი სისრულით აქ არ იგულისხმება ქმედუუნარო მემკვიდრე,

რომლის ნაცვლად მისი კანონიერი წარმომადგენელი გამოდის სამოქალაქო ურთიერთობებში. სხვა შემთხვევაში მემკვიდრე იკავებს ყველა იმ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიცოცხლის ბოლო პერიოდში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მემკვიდრეობა მთლიანად გადადის მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეზე, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან რა შედის სამკვიდრო მასაში. დათქმები მემკვიდრეობის მიღებისას დაუშვებელია.

მამკვიდრებლის ნების თავისუფლების პრინციპი უშუალოდ გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალში გავრცელებული დისპოზიციურობისა და ავტონომიურობის პრინციპიდან და იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისთვის თავის შეხედულებისამებრ განკარგოს ქონება მემკვიდრეთა შორის ან უარი თქვას მის განკარგვაზე. მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერ სუბიექტს, ჩამოართვას მემკვიდრეობა ცალკეულ პირებს, გასცეს საანდერძო განკარგულებები, შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძი და ა. შ. არავის არ აქვს უფლება ხელი შეუშალოს მას ამ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში. ანდერძის შედგენის თავისუფლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს. აქ იგულისხმება რომაული სამართლით სახელდებული, ე.წ. აუცილებელი მემკვიდრეები, რომელთაც მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის უფლება გააჩნიათ.

ასეთი შეზღუდვა მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. სამკვიდრო ქონებაში განსაზღვრული წილის აუცილებელი მემკვიდრეებისათვის დაჯავშნა ფაქტობრივად ნიშნავს თავისი ახლობლებისათვის საალიმენტო ვალდებულების სიკვდილის შემდეგ გაგრძელების გარანტიას. მსგავსი შეზღუდვის მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი ავტორი.

მემკვიდრეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, სამკვიდროს მიღების არჩევანის პრინციპში გამოიხატება. მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს სამკვიდრო ან უარი თქვას მის მიღებაზე, უარი შეიძლება განპირობებული იყოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური გარემოებებით. ყველა შემთხვევაში მემკვიდრეს თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. როგორც მამკვიდრებლის, ისე მემკვიდრის შინაგანი ნების დეფექტური გამოვლინება შეიძლება გაბათილდეს.

მემკვიდრეობის სამართალში განსაზღვრული მნიშვნელობა დაცვითი ხასიათის პრინციპებს ენიჭება. ისინი მთელი მემკვიდრეობითი ურთიერთობების შინაარსს ეხება. მაგალითად, უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ანდერძის საიდუმლოების დაცვა, მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების აუცილებელი გათვალისწინება და სხვ. ნათლად

მიუთითებს სამემკვიდრეო ურთიერთობის სფეროში სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დიდ დაცვით მნიშვნელობაზე.

მემკვიდრეობითი ურთიერთობები მრავალგვარია მათი არსებობა დროის განსაზღვრულ მომენტთან არ არის დაკავშირებული. სამემკვიდრეოა ისეთი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა არა მარტო სამკვიდროს გახსნის მომენტში, არამედ მანამდეც, აგრეთვე შემდეგაც – მემკვიდრეობის უფლების გაფორმებისა და მისი განხორციელების პროცესში. ამ ურთიერთობათა უმნიშველოვანესი ნაწილი რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. ზნეობრივი ნორმები კი უმნიშველო ნაწილს აწესრიგებს. სამართლებრივი ნორმებით რეგულირების შემდეგ მემკვიდრეობითი ურთიერთობები იძენენ სამართლებრივ ურთიერთობათა ფორმას. შინაარსი კი იგივე რჩება. სამართლებრივი რეგულირება არ წყვეტს მემკვიდრეობის საზოგადოებრივ ურთიერთობას. მხოლოდ ფორმას უცვლის მას მემკვიდრეობითი ურთიერთობები კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით შეიმოსება და განისაზღვრება მათი განხორციელების წესი. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა, წარმოადგენს მემკვიდრეობის კანონმდებლობას. იგი სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილია და მემკვიდრეობის სამართლის საფუძველი. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში მოცემულია მემკვიდრეობის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები. კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილია მემკვიდრეობის უფლება, დაუშვებელია საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმება, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ეს დებულებები უდევს საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის – მემკვიდრეობის სამართალი – კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს. მემკვიდრეობის კანონმდებლობა მოიცავს სხვა დარგების ნორმებსაც.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის კანონმდებლობა კომპლექსური ხასიათისაა. მასში უმნიშველოვანესი ნაწილი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებია. ამასთან, მემკვიდრეობითი ურთიერთობების განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება მიწის, საფინანსო, ადმინისტრაციული, პროცესუალური და სხვა სახით საკანონმდებლო ნორმების დახმარებით. მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოქმედების სფერო შედარებით ფართოა, ვიდრე მემკვიდრეობის წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებისა. სხვა დარგების ნორმების გამოყენების აუცილებლობა მემკვიდრეობის კანონმდებლობას ანიჭებს კომპლექსურ ხასიათს, რაც თავის მხრივ მემკვიდრეობით ურთიერთობათა ყველა დეტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველია.

როდესაც ესა თუ ის პირი ანდერძს აფორმებს სანოტარო ბიუროში, იგი მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოქმედებს, თუმცა მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობამდე ჯერ კიდევ ადრეა. შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მოხდეს სამკვიდროს გახსნა. მოანდერძის გარდაცვალებამდე კონკრეტული მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოიშობა. როცა იგი წარმოიშობა, მოანდერძე არ იქნება ცოცხალი და, ბუნებრივია, არც ამ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად შეიძლება მისი ჩათვლა. მეორე მხრივ, როცა მემკვიდრე სამკვიდროს მიღებისას იხდის სამკვიდრო მოწმობის მისაგებელს ან გადასახადს, რომლითაც სამკვიდრო ქონებაა დაბეგრული, იგი მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოთხოვნებს ექვემდებარება და მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს წარმოადგენს მანამ, ვიდრე მისი ინტერესების დაცვა აუცილებელი იქნება. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივად მოსაწესრიგებელი საკითხების წრე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კონკრეტული მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობა.

სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა განვითარების ორი ძირითადი ეტაპით ხასიათდება. პირველი ეტაპი იწყება სამკვიდროს გახსნით, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალებითა და მისი უფლებამონაცვლის მემკვიდრედ აღიარებით. ამ მომენტიდან მემკვიდრეს წარმოეშობა სამკვიდროს მიღების უფლება. მისი შინაარსი კი გულისხმობს მემკვიდრისათვის სამკვიდროს მიღების ან უარყოფის შესაძლებლობის შექმნას. ამ უფლებას შეესაბამება, ერთი მხრივ, ნებისმიერი პირის ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მის განხორციელებაში და მეორე მხრივ შესაბამისი ორგანოების ვალდებულება ხელი შეუწყოს მის განხორციელებას. კერძოდ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, საბინაო და სანოტარო ორგანოები ვალდებული არიან გასცენ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს შეხედულება იმის თაობაზე, რომ სამკვიდროს მიღების უფლება ან მიღებაზე უარის თქმას არავისი ვალდებულება არ ახლავს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამკვიდროს მიღების უფლება მიეკუთვნება ისეთ უფლებებს, რომლებიც ახალი სახის უფლებებს წარმოშობენ. ამ შემთხვევაში იგულისხმება საკუთრების მფლობელობაში მიღების უფლება. ამ თავისებურებებით სამკვიდროს მიღების უფლებაში შეიმჩნევა უფლებაუნარიანობის ელემენტები. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა ამ ეტაპზე ატარებს აბსოლუტურ ხასიათს – ყველა ვალდებულია თავი შეიკავოს სამკვიდროს მიღების უფლების დარღვევისაგან. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის პირველი ეტაპი მემკვიდრისათვის მთავრდება იმ მომენტში, როცა მან მოახდინა აღნიშნული უფლების რეალიზაცია – მიიღო სამკვიდრო ან უარი თქვა მის მიღებაზე.

მემკვიდრემ თუ სამკვიდრო მიიღო, მაშინ მისთვის იწყება სამემკვიდრეო-

სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ეტაპი. იგი გრძელდება მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება სამკვიდროს ბედი, ვიდრე არ მოხდება სამემკვიდრეო უფლებათა გაფორმება. მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების შემდეგ, სამკვიდროს შემადგენლობიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოეშვას საკუთრების უფლება ქონებაზე, პირადი არაქონებრივი უფლება მამკვიდრებლის ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, მამკვიდრებლის ვალის გადახდის ვალდებულება და სხვა. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ეტაპი არ შეიძლება ცალსახად განისაზღვროს იგი აბსოლუტურად ან შეფარდებითად, ქონებრივად ან არაქონებრივად სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერ ხასიათს ატარებდეს.

მემკვიდრემ თუ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, იგი ეთიშება სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობას პირველსავე ეტაპზე და მეორე ეტაპი მისთვის არ დგება. ამასთან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ შედეგთან შეიძლება მისი წილი სხვა მემკვიდრეების ხელში გადავიდეს და სხვ.

სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობის ელემენტებია: სუბიექტები, ობიექტი და უფლება-მოვალეობები.

სუბიექტებად გამოდიან მხოლოდ მემკვიდრეები. ლიტერატურაში შეცდომებით ზოგჯერ მამკვიდრებლებსაც თვლიან სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. მამკვიდრებელი, რომელიც მემკვიდრეობითი ურთიერთობების ყველაზე მთავარი ფიგურაა, არ წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, რადგან სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის იგი ცოცხალი აღარ არის. რაც შეეხება ცალკეულ ორგანოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მემკვიდრეებს მემკვიდრეობის უფლების რეალიზაციაში, ისინი მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტებად. მათ, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო და სანოტარო ორგანოები. მემკვიდრეებს მათთან აკავშირებს კანონით განსაზღვრული ურთიერთობანი.

ობიექტი ანუ მემკვიდრეობის საგანი არის როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის სიკეთე, როგორც აქტივი ისე პასივი. უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ხდება მემკვიდრეობის მიერ სამკვიდროს მიღების უფლების მემკვიდრეობის უფლებად ტრანსფორმაციისა და მისი განხორციელების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 2007 .
2. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015.
3. ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2000
4. ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში. თბ., 2013.
5. Гражданское право в 2- х томах, ответственный ред. Е А Суханов том I М., 1993.
6. Гражданское право. Под ред. А. П. Сергеева, Ю. К. Толмого. м. З.М. 2001
7. Гражданское право. Под ред. А. П. Сергеев а, Ю. К. Толмого. м. З.М. 2001

David Kvitsiani
Georgian Technical University

A heritage law in the civil law system

Summary

The legacy, as the well as the doctrine of accordance with the laws, Is the deceased person’s property rights and duties of other persons go from inheritance of law. An inheritance law unity of the norms, Which the deceased person’s ‘s property to other persons the transition from the consequent relations are regulated. Of inheritance under the current legislation is the foundation of the colophon and law. Abovementioned of inheritance can not be grounds for confrontationThe successor to be the all the people who successor moves through the decedent ‘s property rights and responsibilities. Non-property nature may be the of a personal rights and duties. An inheritance law has a number of characteristics. Also various kinds of inheritance relationships.

Keywords: *inheritance law, civil law, property rights, responsibilities, justice.*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

SCIENCE

*ვახტანგ აბაიშვილი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

სახერხი ნედლეულის დანაწევრების იმიტაციური მოდელი

რეზიუმე

ტექნოლოგიური ოპერაციების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტაში ფართოდ გამოიყენება იმიტაციური მოდელირების მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენებანაყოფიერიართულიობიექტებისშესწავლისას, როდესაცანალიზური მეთოდები არაეფექტურია. ნაშრომში მოცემულია იმიტაციური მოდელირების გამოყენება სახერხი ნედლეულის ოპტიმალური დანაწევრებისათვის.

საკვანძო სიტყვები: იმიტაცია, მოდელირება, სახერხი ნედლეული, დანაწევრება, შოლტები, მორები, სიმრუდე, ელიფსურობა, მსახველი, ფორმა, კოორდინატა, აპლიკატა ჰორიზონტალური ნახევარდერმი, ვერტიკალური ნახევარდერმი, განტოლება, გადახრა, ოპტიმალური მოდელი.

შესავალი

ტექნოლოგიური პროცესების კვლევის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება იმიტაციური მოდელირების მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენება საკმაოდ ნაყოფიერია რთული ობიექტების შესწავლის დროს.

რეგრესიული მეთოდებისაგან განსხვავებით იმიტაციური მოდელის გამოყენება საშუალებას გვამძლევს გამოვიყენოთ სტატისტიკური მეთოდები მოდელირების შედეგების დამუშავებისას.


ძირითადი ნაწილი

იმიტაციური მოდელირება შეიძლება გამოყენებული იქნას სახერხი

ნედლეულიდან ნაწვევების პროცესის კვლევისათვის, რაც მრავალი ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.

სახერხი ნედლეულია შოლტები და მისგან მიღებული მორები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან წვეროს დიამეტრის, სიმრუდის, ელიფსურობით და მსახველთა ფორმებით.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია შოლტის ზედაპირის, მოდელის შესადგენი სქემა.



ნახ. 1. შოლტის სქემა.

დავუშვათ შოლტი განლაგებულია z ღერძის გასწვრივ $Oxyz$ კოორდინატთა სისტემაში. $z=0$ არის კინტის კვეთის აპლიკატა $z=L_z$ არის წვეროს კვეთის აპლიკატა, რომელიც შოლტის სიგრძის ტოლია.

$$0 < z < L_x \tag{1}$$

f_1, f_2 -სიდიდეები არის ელიფსის F ცენტრის კოორდინატები.

შოლტის ზედაპირი ღერძის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში აღიწერება განტოლებით

$$\left(\frac{x - f_1(z)}{a(z)}\right)^2 + \left(\frac{y - f_2(z)}{b(z)}\right)^2 = 1, \tag{2}$$

სადაც $a(z) = a$ და $b(z) = b$ ელიფსის შესაბამისად ჰორიზონტალური და ვერტიკალური ნახევარღერძებია. განტოლებები $x = a(z)$, $y = b(z)$ შოლტის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მსახველის განტოლებაა, ხოლო მისი კვეთა ელიფსური ფორმისაა.

$$a(z) = d_{0,5} \sqrt{2 \left(1 - \frac{z}{L_x}\right) + \sum_{i=0}^4 q_i \left(\frac{z}{L_x}\right)^i}, \tag{3}$$

$$b(z) = d_{0,5} \sqrt{2 \left(1 - \frac{z}{L_x}\right) + \sum_{i=0}^4 p_i \left(\frac{z}{L_x}\right)^i} \tag{4}$$

q_i და p_i - კოეფიციენტები i -ური მნიშვნელობისათვის.

$d_{0,5}$ - შოლტის დიამეტრი სიგრძის შუა კვეთაში.

(2) განტოლება აღწერს შოლტის ზედაპირს მისი ღერძის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში.

$f_1(z)$ და $f_2(z)$ განისაზღვრება მორის ღერძის განტოლებით, რომელიც III რიგის მრავალწევრს წარმოადგენს.

$$f(z) = c_0 + c_1 z + c_2 z^2 + c_3 z^3. \tag{5}$$

c_i კოეფიციენტები უნდა ავილოთ ისე, რომ შესრულდეს შემდეგი პირობები: მორის ღერძი კვეთს z ღერძს მოცემულ წერტილებში $z = z_j$ (კინტი კვეთა) და $z = z_{\varphi}$ (წვეროს კვეთა). ამასთან $z_{\varphi} - z_j = L$. z -ის მნიშვნელობა მოცემულ წერტილში z_0 აკმაყოფილებს პირობებს

$$z_j < z_0 < z_{\varphi}. \quad (6)$$

C_i კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგი განტოლებათა სისტემით

$$\begin{aligned} c_0 + c_1 z_j + c_2 z_j^2 + c_3 z_j^3 &= 0 \\ c_0 + c_1 z_{\varphi} + c_2 z_{\varphi}^2 + c_3 z_{\varphi}^3 &= 0 \\ c_1 + 2c_2 z_0 + 3c_3 z_0^2 &= 0 \\ c_0 + c_1 z_0 + c_2 z_0^2 + c_3 z_0^3 &= kL \end{aligned} \quad (7)$$

სადაც $k = \frac{\delta}{L}$ - არის სიმრუდე;

δ - მორის ღერძის მაქსიმალური გადახრა z ღერძიდან.

განვიხილოთ მორის (წვეროს დიამეტრის ნომინალური მნიშვნელობა 20 სმ, სიგრძე 6 მ) მოდელების პარამეტრები, რომელთა მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

| № | პარამეტრი | მნიშვნელობა | № | პარამეტრი | მნიშვნელობა |
|-----|------------------|-------------|-----|-----------|-------------|
| 1. | $d_{0,5}$ სმ | 29,19 | 16. | $a(z_2)$ | 15,1 |
| 2. | d_{φ} სმ | 21,42 | 17. | $a(z_3)$ | 14,7 |
| 3. | $q_0=p_0$ | 0,101 | 18. | $a(z_4)$ | 14,4 |
| 4. | q_1 | -2,04 | 19. | $b(z_1)$ | 15,4 |
| 5. | p_1 | -2,06 | 20. | $b(z_2)$ | 15,0 |
| 6. | $q_2=p_2$ | 8,16 | 21. | $b(z_3)$ | 14,6 |
| 7. | $q_3=p_3$ | -11,51 | 22. | $b(z_4)$ | 14,2 |
| 8. | $q_4=p_4$ | 5,37 | 23. | S_a | 0,0013 |
| 9. | a_0 | 15,2 | 24. | S_b | 0,0042 |
| 10. | a_1 | -0,475 | 25. | $k\%$ | 0,37 |
| 11. | a_2 | -0,039 | 26. | z_0 მ | 3,05 |
| 12. | b_0 | 15,4 | 27. | c_1 | 1,62 |
| 13. | b_1 | -0,487 | 28. | c_2 | -0,31 |
| 14. | b_2 | -0,0387 | 29. | c_3 | 0,01 |
| 15. | $a(z_1)$ | 15,5 | 30. | c_4 | 40,8 |

S_a და S_b არის სიმრუდის ფაქტიური მნიშვნელობა, რომელიც ხასიათდება საშუალო კვადრატული გადახრით. θ არის კუთხე, რომელსაც ქმნის z ღერძზე გამავალი მორის ღერძი $y = 0$ სიბრტყესთან.

დამუშავებული იმიტაციური მოდელი უზრუნველყოფს პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე საკმაო სიზუსტით შევუსაბამოთ რეალურ პარამეტრებს.

იმიტაციური მოდელები საშუალებას იძლევა დაისვას საკითხი გადაწყდეს ოპტიმიზაციის ამოცანები გრძივი დანაწევრებისას.

დასკვნა

სახერხი ნედლეულის რაციონალური (ოპტიმალური) დანაწევრების ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია იმიტაციური მოდელების მეთოდები, რაც საშუალებას გვაძლევს საკმარისი სიზუსტით მივიღოთ სახერხი ნედლეულის დახერხილ ხე-ტყედ რაციონალური დანაწევრების სქემა და დახერხილი პროდუქციის ოპტიმალური ზომები.

ლიტერატურა

1. ვ. აბაიშვილი, ზ. ჩიტბე. დახერხილი მასალების ტექნოლოგია. თბ., 2009.
2. Аксенов П.П. и др. Технология пиломатериалов. М., 1976.
3. Пижурин А.А., Розенблит М.С. Исследования процессов деревообработки. М., 1984.
4. Пижурин А.А., Розенблит М.С. Оптимизация технологических процессов деревообработки. М., 1975.
5. Песоцкий А.Н., Ясинский В.С. Рациональное использование древесины в лесопилении. М., 1977.
6. Вентцель Е.С. Исследование операций. 1972.

Вахтанგ Абаишвили, профессор ГГУ

Имитационное моделирование раскрыя пиловочного сырья

Резюме

Для решения задач оптимизации технологических процессов все шире используются методы имитационного моделирования. Применение этих методов зачастую оказывается плодотворным при изучении очень сложных объектов, когда неэффективны аналитические методы исследования операций.

В работе рассмотрен вопрос решения задачи разработки имитационной модели формирования и раскрыя хлыстом и бревен.

Ключевые слова: имитация, моделирование, пиловочное сырье, раскрыя, хлыстов, бревен, кривизна, эллиптичность, образующий, координата, аппликата, горизонтальная полуось, вертикальная полуось, уравнение, отклонение, оптимальная модель.

ა. გორგოშიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ ჩახიანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დამუხტული ნაწილაკების მუხტებისა და დამუხტვის დროის განაწილების ფუნქციის ანალიზი

რეზიუმე

ექსპერიმენტული დანადგარი წარმოადგენს ბრტყელ კონდენსატორს, რომლის ელექტრული და ოპტიკური ნაწილები ახდენენ ნაწილაკების დამუხტვას და დამუხტვის დაწყებისა და დამთავრების მომენტების რეგისტრაციას, ხოლო მუხტების გაზომვა ხდება ელექტრომეტრის საშუალებით. აგებული იქნა ელექტროდიდან მოწყვეტილი ნაწილაკების მუხტებისა და დამუხტვის დროის განაწილების ფუნქცია ნორმალურ ლოგარითმულ კოორდინატებში.

დამუხტვის დაწყების საწყის ეტაპზე ნაწილაკები ელექტროდზე იმყოფება თავისი გარკვეული მდგომარეობით, რომელთა შორის ყველაზე ალბათურია მათი მდებარეობა უმცირესი ნახევარდერძით ველის გასწვრივ. დამუხტვის პროცესის მიმდინარეობის დროს ნაწილაკები იწყებენ განძრევას, შემობრუნებას და ორიენტირდებიან თავისი უდიდესი ნახევარდერძით ველის გასწვრივ, რაზედაც მიუთითებს, როგორც მოწყვეტის მუხტის განაწილების გრაფიკი, ასევე, მათზე უშუალო ვიზუალური დაკვირვებები.

საკვანძო სიტყვები: ელექტროსეპარაცია, ელექტრული ველი, ნაწილაკების დამუხტვა, განაწილების ფუნქცია, ზღვრული მუხტი.

შესავალი

ელექტრული სეპარაციის სხვადასხვა სახეებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ნაწილაკების განცალკევებას მათი გამტარობის მიხედვით. ამ მეთოდის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს სეპარატორის ელექტროდზე ნაწილაკების დამუხტვა, დამუხტულ ნაწილაკებზე ელექტრული ველის მოქმედება და მათი რაციონალური მოძრაობა, რომლის საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა გამტარობის მქონე ნაწილაკების განცალკევება ელექტროსეპარატორის ელექტრულ ველში. იმის გამო, რომ ელექტროსეპარატორების კონსტრუირება და მათი მუშაობის რეჟიმების შერჩევა ხდება ემპირიული და ტექნოლოგიური გამოცდილების ხარჯზე, ამიტომ მათი შესაძლებლობები ბოლომდე არ არის გამოყენებული [1].

ძირითადი ნაწილი

ექსპერიმენტული დანადგარი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა განსაცალკევებელი ნაწილაკების კვლევა შედგებოდა ელექტრული და ოპტიკური ნაწილისაგან. ელექტრული ნაწილის დანიშნულებაა მოახდინოს ნაწილაკების დამუხტვა და იმ სიგნალის გამომუშავება, რომელიც აფიქსირებს ნაწილაკების დამუხტვის დაწყების მომენტს, ხოლო ოპტიკური ნაწილის დანიშნულებაა მოახდინოს ნაწილაკების დამუხტვის დამთავრების მომენტის რეგისტრაცია.

ყოველი საკვლევი ფრაქციიდან ხდებოდა სამი სხვადასხვა ჯგუფის (მცირე, საშუალო და დიდი) ნაწილაკების არჩევა. თითოეულ ჯგუფში ნაწილაკთა ზომები იყო დაახლოებით ერთნაირი და მისი საშუალო ზომა განისაზღვრებოდა გამოსახულებიდან $A_{გვსფ} = \sqrt[3]{a \cdot b \cdot c}$, სადაც a , b და c არის ნაწილაკის უდიდესი, საშუალო და უმცირესი ნახევარღერძები მისი სამი ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულებით.

ელექტროდიდან მოწყვეტილი ნაწილაკების მუხტების გაზომვა ხდებოდა BK2-16 ტიპის ელექტრომეტრის საშუალებით. ნაწილაკები, რომლებსაც ვმუხტავდით ბრტყელი კონდესატორის ქვედა ფირფიტაზე, წყდებოდნენ მისგან და იწყებდნენ მოძრაობას ზედა, იზოლაციით დაფარული ელექტროდისაკენ და მიეკვრებოდნენ მას. ძაბვის მოხსნის შემდეგ, მათ ვხსნიდით იზოლირებული ნემსაკის საშუალებით და ვუშვებდით ელექტრომეტრის გამზომ მოწყობილობაში.

ნაწილაკების მუხტების გაზომვის სისწორე შემოწმებული იქნა მეტალური სფერული ნაწილაკებისათვის, რომელთათვისაც ცნობილია მათი თეორიული მნიშვნელობები [2].

ნაწილაკების ელექტროდიდან მოწყვეტა ხდება ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, რომლებიც ახასიათებენ ინდუქციური დამუხტვის პროცესს. ყველა ამ ფაქტორის ზემოქმედების შესაფასებლად შემოვიტანეთ გარეშე ინტეგრალური მახასიათებელი – ნაწილაკების ელექტროდიდან მოწყვეტის ალბათობა, რომელიც განისაზღვრება როგორც ფარდობა ელექტროდიდან მოწყვეტილი N ნაწილაკების რაოდენობისა, ელექტროდზე მყოფ ნაწილაკების მთლიან რაოდენობასთან N_0 .

$$\lambda = \frac{N}{N_0} \cdot 100\%.$$

რადგანაც λ არის ალბათური მახასიათებელი, ამიტომ მისი ექსპერიმენტული განსაზღვრისათვის აუცილებელი ხდებოდა გაზომვები ჩაგვეტარებინა ნაწილაკების დიდ რაოდენობასთან. ექსპერიმენტი ტარდებოდა 10 ნაწილაკისაგან

შემდგარ ჯგუფზე, რომელიც ტარდებოდა რამდენიმე სერიად. კვლევის პირველ ეტაპზე მოწყვეტის ალბათობის მაღალი სიზუსტის მიღწევის მიზნით სერიათა რაოდენობა აღწევდა 12-ს, ანუ გაზომვების თითოეული რეჟიმი შედგებოდა 120 ერთეულისაგან – $N_0=120$. კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე მეტალურ ელექტროდებზე ჩატარებული ექსპერიმენტების სერია შეადგენდა ხუთ ერთეულს. ე.ი. $N_0=50$, ხოლო გრაფიტის შემცველ ელექტროდებზე კი სამ ერთეულს $N_0=30$. გაზომვების შემდგომი ზრდა პრაქტიკულად უკვე აღარ ცვლიდა ალბათობის მნიშვნელობას, ხოლო ექსპერიმენტის ჩატარების ხაგრძლივობა და შრომითი დანახარჯები შესამჩნევად იზრდებოდა. გაზომვების 50-ზე ნაკლები რიცხვის შემთხვევას მიყვავდით ნაწილაკების მოწყვეტის ალბათობის ცდომილების შესამჩნევ გაზრდამდე.

ამ გაზომვების საფუძველზე გაზომილი მუხტებისა და მოწყვეტის დროის (დამუხტვის დროის) მიხედვით განისაზღვრებოდა ელექტროდიდან მოწყვეტილი ნაწილაკების განაწილების ფუნქცია როგორც:

$$\phi(q) = \sum_{i=1}^n \frac{\Delta N_{qi}}{N_q \Delta q_i} \cdot 100\%$$

$$\phi(t) = \sum_{i=1}^n \frac{\Delta N_{ti}}{N_t \Delta t_i} \cdot 100\%$$


სადაც, N_q , N_t , არის ელექტროდიდან მოწყვეტილი გაზომილი მუხტებისა და დამუხტვის დროის მთლიანი რიცხვი, $\Delta N_{pq} - \Delta q_i$ დიაპაზონში გაზომილი მუხტების რიცხვითი რაოდენობა, ხოლო $\Delta N_{ti} - \Delta t_i$ დიაპაზონში გაზომილი დამუხტვის დროის რიცხვითი რაოდენობა; n - დაყოფის დიაპაზონის რიცხვია.

გარდა განაწილების ფუნქციისა, გაზომვების მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული იქნა გასაზომი სიდიდეების საშუალო მნიშვნელობები

$$q_{საშ} = \frac{\sum q_i}{Nq}, \quad t_{საშ} = \frac{\sum t_i}{Nt}$$

სადაც, q_i , t_i მუხტისა და დამუხტვის დროის გაზომილი მნიშვნელობებია.

განგარიშებების საფუძველზე აგებული იქნა $\Phi(q)$ და $\Phi(t)$ დამოკიდებულებების გრაფიკები ნორმალურ ლოგარითმულ კოორდინატებში, რომლებიც მოყვანილია ნახ.1-ზე.



ნახ. 1. ქრომირებული ელექტროდიდან რუტილის ნაწილაკების მოწყვეტის მუხტისა (1) და დროის (2) განაწილების ფუნქცია

$$a_{სვ} = 98 \text{ მკმ}, E = 6 \text{ ვკ/სმ}, T = 150^\circ \text{C}, \lambda = 34\%, N_q = 14, N_t = 16, N_0 = 50$$

$$q_{ბღ.ა} = 1,25 \cdot 10^{-12} \text{ კ}, q_{ბღ.ბ} = 0,81 \cdot 10^{-12} \text{ კ}$$

აგებული დამოკიდებულებები ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. პირველი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ $\Phi(q)$ დამოკიდებულებისათვის პრაქტიკულად ადგილი აქვს $q_{50\%}$ და $q_{საშ.}$ მნიშვნელობების ტოლობას. $\Phi(t)$ დამოკიდებულებებისათვის ყველა აგებული შემთხვევებისათვის $t_{50\%}$ -სა და $t_{საშ.}$ მნიშვნელობებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ამასთან ერთად ყოველთვის $t_{საშ.} > t_{50\%}$ ყველაზე ალბათურ და საშუალო მნიშვნელობებს შორის ასეთი თანაფარდობა შესაძლებელია ახსნილი იქნას შემდეგნაირად: გაზომილი მუხტების მნიშვნელობები ქვემოდან შემოსაზღვრულია მისი მინიმალური მნიშვნელობებით ხოლო ზემოდან ისინი შემოსაზღვრულია მისი ზღვრული მნიშვნელობებით. ამისგან განსხვავებით მოწყვეტის დრო ქვემოდან შემოსაზღვრულია მინიმალური $t_{მინ.}$ მნიშვნელობით, ხოლო ზემოდან ის შემოსაზღვრული არ არის, რადგანაც დამუხტვის დრო შესაძლებელია მისი წრაფოდეს უსასრულობისაკენ. ამას მიყვავართ $t_{50\%}$ -სა და $t_{საშ.}$ -ს მნიშვნელობებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებამდე.

მეორე განსაკუთრებული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი ნორმალურ ლოგარითმულ კოორდინატებში აგებისას, თითოეულ მათგანს აქვს ორი წრფის სახე, რომელთაც აქვთ სხვადასხვა დახრის კუთხეები. ამასთან ერ-

თად, თითოეული დამოკიდებულების ორივე წრფის გადაკვეთის წერტილების შესაბამისი ალბათობის მნიშვნელობები დაახლოებით ერთმანეთის ტოლია.

გამოკვლევულ ნაწილაკებს აქვთ არასფერული ფორმა. ისინი ელექტროდზე მოთავსებისას ელექტრული ველის ვექტორის მიმართ ღებულობენ სხვადასხვა ორიენტაციას და შესაბამისად სხვადასხვა მუხტს. ყველაზე ალბათური მდგომარეობა, რომელიც ნაწილაკმა საწყის მდგომარეობაში მისი ელექტროდზე მოთავსებისას შეიძლება მიიღოს, არის მისი მდგომარეობა მცირე ნახევარღერძით ელექტრული ველის გასწვრივ. ნაწილაკის ასეთი ორიენტაციის დროს მის მიერ მიღებული ზღვრული მუხტი ტოლია:

$$q_{\text{ზღვ.}c} = \frac{\pi \cdot \epsilon_0 \cdot a \cdot b \cdot E}{d_c}$$

სადაც, d_c – დეპოლარიზაციის კოეფიციენტი.

ნაწილაკების ინდუქციური დამუხტვის კინეტიკას აქვს შემდეგი სახე:

$$q(t) = q_{\text{ზღვ.}} \left(1 - e^{-\frac{t}{\tau}}\right)$$

სადაც, t – დამუხტვის დროა, ხოლო τ – დამუხტვის დროის მუდმივა, რომელიც დამოკიდებულია ნაწილაკის დიელექტრიკულ შეღწევადობაზე, მის გამტარობაზე და ნაწილაკსა და ელექტროდს შორის კონტაქტურ წინააღმდეგობაზე [3].

დასკვნა

$\Phi(q)$ -ს დამოკიდებულების ასეთი მიმდინარეობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: ნაწილაკები დამუხტვის პროცესში იწყებენ შემობრუნებას და გასწორებას თავისი უდიდესი ნახევარღერძით ველის გასწვრივ, რომლის შემდეგაც ისინი წყდებიან ელექტროდს. ეს მოვლენა პრაქტიკულად შეიმჩნევა დამუხტვის პროცესში მათზე უშუალო ვიზუალური დაკვირვების დროსაც. დამუხტვის პროცესში ისინი ჯერ იწყებენ განძრევას, შემდეგ შემობრუნებას და ამის შემდეგ მოსწყდებიან ელექტროდს. ნაწილაკის მიერ მიღებული ასეთი ორიენტაცია აისახება მის მიერ მიღებულ მუხტზე, მის ქცევაზე დამუხტავ ელექტროდზე და შემდგომში მის ტრანსპორტზე ელექტროსეპარატორის ელექტრულ ველში.

ნაწილაკის ორიენტაციის შეცვლა დამუხტავ ელექტროდზე გავლენას ახდენს მის კონტაქტურ წინააღმდეგობაზე ნაწილაკსა და ელექტროდს შორის, რის გამოც ინდუქციური დამუხტვის კინეტიკას აღარ აქვს ექსპონენციალური ხასიათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Олофинский Н. Ф. Электрические методы обогащения. М. Недра, 1977;
2. Лебедев Н.Н., Скальская И.П. Сила, действующая на проводящий шарик, помещенный в поле плоского конденсатора. Журн. Техн. Физики, 1962, вып. 3, т.32;
3. Верещагин И.П., Левитов В.И., Мирзабемян Г.З., Пашин М.М. Основы электрогазодинамики дисперсных систем. М. Энергия, 1974.

*Doctorate A. Gorgoshidze
Physics and Mathematics Sciences*

*Doctor, prof. Z. Chachkhiani
Georgian Technical University*

**The analysis of the time distribution function of the charged
particle charges and charging**

Summary

The experimental plant is a flat capacitor the electric and optical parts of which produce the registration of starting and ending moments of particle charging and the measurement of charges is fulfilled by means of electrometer. The function of time distribution of charges and charging in the normal logarithmic coordinates has been constructed and the relevant conclusions have been made.

On the initial stage of charging the particles are allocated in their definite state among which the most probable are their allocation along the field with the smallest semiaxis. During the process of charging the particles start to move, rotation and are oriented along the field with their greatest semiaxis to which indicate both the diagram of ejection charge distribution and the direct visual observation on them.

Key words: *electro separation, electric field, charging of particles, distribution function, marginal charge.*

მოსაზრნაჲი

MEMORY



პროფესორი იუზა ევგენიძე - 75

მიმდინარე წელს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს იუზა ევგენიძეს. ამ საიუბილეო თარიღს იგი, სამწუხაროდ, იმქვეყნიურ საქართველოში ხვდება. იუზა ევგენიძის სიცოცხლე მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი დაბადების 70 წლისთავსაც ვერ მოესწრო, 2013 წლის 2 იანვარს გარდაიცვალა. განშორდა წუთისოფელს და დატოვა კვალი ნათელი, დიდი წუხილი და გულისტკივილი იმ ადამიანებში, ვისთანაც ურთიერთობდა, თანამშრომლობდა, მეგობრობდა, ახლობლობდა...

ხუთი წელია, რაც იუზა ევგენიძე თავის მშობლიური სოფლის მყუდრო სასაფლაოზე განისვენებს წინაპრებისა და მშობლების გარემოცვაში (ეს იყო მისი დიდი სურვილი). სიწყნარეს დრო და დრო იმ ადამიანების ფეხის ხმა თუ დაარღვევს ხოლმე, ვისაც ძალიან აკლია იუზა ევგენიძე და მოუშუშებელ ჭრილობასავით სტკივა მისი სიკვდილი. ასეთები კი, ოჯახის წევრებისა და ნათესავების გარდა, არც თუ ცოტანი არიან, მათ შორის მისი აღზრდილები-ნასტუდენტარები, ახლა უკვე პედაგოგები თუ პროფესორები... გურია-აჭარის გზაზე გამვლელები, ამ გზის სიახლოვეს მდებარე ახალსოფლის სასაფლაოზე რომ შევლენ და პატივს მიაგებენ იუზა ევგენიძეს, წუხილის დიდ სიმბოლოდ და მეტაფორად რომ დაადებენ საფლავს უმანკო ყვავილს და წაუქცევენ ჭიქა ღვინოს... ასე ეჯიბრებიან სიკვდილის გარდაუვლობას და სიცივეს...

პროფესორმა იუზა ევგენიძემ სახელოვანი გზა განვლო და ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში უაღრესად საინტერესო მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა - XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით. მან შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები ქართული საზო-

გადოებრივი და ლიტერატურული აზროვნების, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემებზე. განსაკუთრებულია იუზა ევგენიძის წვლილი ვაჟა-ფლოგიასა და აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლაში, XIX საუკუნის ქართული კლასიკური პუბლიცისტიკის პრობლემების კვლევაში.

პროფესორმა იუზა ევგენიძემ თავისი მოღვაწეობით წარმატებით გააგრძელა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერული და პედაგოგიური ტრადიციები და თავისი მონოგრაფიებითა და გამოკვლევებით ბევრი შემატა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებებს.

იუზა ევგენიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში დაიბადა 1943 წლის 24 თებერვალს. საშუალო სკოლა სოფელ ლესაში დაამთავრა ოქროს მედლით. 1960 წელს ჩაირიცხა და 1965 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში და ეზიარა პროფესორ გრიგოლ კიკნაძის სკოლის დიდ სიახლეებს ლიტერატურისმცოდნეობაში. ლიტერატურისმცოდნეობითი მეცნიერული აზრის ინოვაციები, საბჭოური იდეოლოგიზმისაგან თავისუფალი ხედვები, ერთი მხრივ, პროფესორ გრ. კიკნაძის კვლევებით იყო წარმოდგენილი, მეორე მხრივ, ამ სკოლის მიმდევრების მეცნიერული ნაშრომებით, რომლებიც ქმნიდნენ XX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული ლიტერატურისმცოდნეობითი მეცნიერული აზრის უმნიშვნელოვანეს მიმართულებასა და მის დიდ შინაარსს. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ქართული ფილოლოგიის ისეთი ცნობილი და აღიარებული მკვლევრები, როგორებიც იყვნენ და არიან პროფესორები ვახტანგ გოგუაძე, ალექსი ჭინჭარაული, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ლადო მინაშვილი, დავით წოწკოლაური, კლარა გეწაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი და სხვები.

იუზა ევგენიძე პროფესორ გრ. კიკნაძის პირველი ასპირანტი და ამდენად ოფიციალური მოწაფე იყო. მისი მეცნიერული ხედვა, ბუნებრივია, მასწავლებლის პიროვნულობისა და მეცნიერული კონცეპტუალიზმის გავლენით გამოიკვეთა. ამ სკოლის ტრადიციების შემოქმედებითად გაღრმავება-განვითარებამ აქცია იუზა ევგენიძე ცნობილ მკვლევრად, მეცნიერად, პედაგოგად.

პროფ. იუზა ევგენიძის თანამოაზრისა და უპირველესი მეგობრის პროფესორ ლადო მინაშვილის დაკვირვებით, იგი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვიდა მაშინ, „როცა ჯერ კიდევ ძალუმად იგრძნობოდა მისი დამაარსებლების მიერ დანერგილი ტრადიციები, როდესაც უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ამშვენებდნენ ნათელი ჭადარით მოსილი ბოლო დამაარსებლები; ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსენი იღვწოდნენ უნივერსიტეტის აღზრდილთა პირველი თაობების საუკეთესო წარმომადგენლები.“ იუზა ევგენიძეს და მის თაობას ბედმა ამ დიდი ტრადიციების ერთგულება და გაგრძელება არგუნა. ეს კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სირთულეები მის წინაშე ასპირანტობის წლებში აღიმართა და ისინი გამოიწვია მეცნიერულ კვლევებში იმ გზის

ინოვაციურობამ, რასაც მისი მასწავლებლის პროფ გრ. კიკნაძის მეცნიერული ინტერესები განსაზღვრავდა და რაც ასპირანტი იუზა ევგენიძისათვის საკანდიდატო დისერტაციის თემის დასახელებაშიც გამჟღავნდა. დღეის გადასახედიდან პირდაპირ გაოცებასაც კი იწვევს ის ფაქტი, რომ ბევრისათვის გაუგებარი აღმოჩნდა ისეთი ბუნებრივი ტერმინოლოგიური შესიტყვება, როგორც არის „შემოქმედებითი ისტორია“ კონკრეტულ მწვერვალთან, იუზა ევგენიძის შემთხვევაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლასთან მიმართებაში და ეს იმ ფონზე, რომ ყველასათვის იყო ცნობილი ამ შესიტყვებაში ნაგულისხმევ დიდ შინაარსზე თავად ვაჟა-ფშაველას მითითება („ჩემი შემოქმედების ისტორიის დაწერა ადვილია“).

მიუხედავად ყველაფრისა, იუზა ევგენიძემ 1971 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“ და უსწრაფესად დაიმკვიდრა ადგილი საუნივერსიტეტო სივრცეში როგორც გამორჩეული ხედვის მეცნიერმა და პედაგოგმა. აქტიურად იკვლევდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების საკითხებს, აქვეყნებდა მეცნიერულ პერიოდიკაში.

1993 წელს პროფ. ი. ევგენიძე სათავეში ჩაუდგა თსუ „აკაკი წერეთლის სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტს“. მოკლე დროში ეს კაბინეტი აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა. საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა ამ კაბინეტის ეგიდით გამოცემულმა ისეთმა წიგნებმა, როგორცაა „აკაკის კრებული“ (1-1999); 2-2005), განსაკუთრებით „უცნობი აკაკი“ (2005). ამ კრებულებში დაიბეჭდა პროფ. ი. ევგენიძის შემდეგი შრომები: „აკაკი წერეთლის კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების ერთი ნიმუში“; „ბოლოთქმა გრიგოლ კიკნაძის ნაშრომზე: ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის“; „ზოგი რამ აკ. წერეთლის ახალგამოვლენილ ნაწერთა გამო“; „აკაკი წერეთლის ლირიკის ბუნებისათვის“; „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ და სხვა.

1995 წელს იუზა ევგენიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და უკვე პროფესორის რანგში წარმატებით აგრძელებდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს, ხელმძღვანელობდა დოქტორანტების მომზადებას.

სხვადასხვა წლებში პროფ. ი. ევგენიძე სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, თბილისის სასულიერო აკადემიაში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე. აქ 2000 წლიდან კითხულობდა სამაგისტრო სალექციო კურსებს „ქართული პუბლიცისტიკის განვითარების ეტაპები და კლასიკოსი პუბლიცისტები“, დოქტურანტურაში კი უძღვებოდა სპეციალურ სალექციო კურსების ლიტერატურის თეორიასა და ქართულ

ლიტერატურაში.

პროფ. ი. ევგენიძე ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის გამოირჩევა პირველხარისხოვანი მონოგრაფიები: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“ (1977), „ვაჟა ფშაველა“ (1982), „ვაჟა-ფშაველა (ცხოვრება და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები)“ (1989), „ქართული რომანტიზმის საკითხები“ (1982), „გრიგოლ ორბელიანი“ (1995), „ნარკვევები ქარ-თული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომლის 3 ტომი 2000, 2003, 2009 წლებში გამოიცა, ხოლო ბოლო - მეოთხე ტომი, სამწუხაროდ, ჯერაც გამოუცემელია.

პროფ. ი. ევგენიძის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გამოიცა კრებულები - „ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (ლ. მინაშვილთან ერთად, 1980), „გრიგოლ კვიციანი“ (ვ. გოგუაძის, ლ. მინაშვილის და ჯ. ჭუმბურიძის თანაავტორობით, 1976), „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (ტ. 1-1996; ტ. 2-1998), „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (2004) და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობით შექმნილი სახელმძღვანელოები „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (ტ. 2-2011), XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა“ (ნაწილი 1-1979, რუსულ ენაზე).

პროფ. ი. ევგენიძის სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია გერმანიაში („ვაჟა-ფშაველას მრწამსის საკითხი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში“ (1996), „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების თემატიკა 2006, „ვაჟა-ფშაველას“ პოეზიის რაინდული სული (2008).

სიცოცხლის ბოლო წლებში პროფ. ი. ევგენიძე აქტიურად მონაწილეობდა აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის საკითხებზე. გარდაცვალების შემდგომ დაიბეჭდა მისი ორი გამოქვეყნებული ნაშრომი „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები“ და „ქართული პუბლიცისტურ-ლიტერატურული აზროვნების ერთი ასპექტი კულტურის კრიზისის კონტექსტში“ (კრებული „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს“, 2013).

პროფ. ი. ევგენიძე აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა დონის სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში. იგი არჩეული იყო საქართველოს ლიტერატურამცოდნეობის აკადემიის წევრად (2011), დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით (2003), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სამადლობელი სიგელით.

პროფესორ იუზა ევგენიძის მეცნიერული დამსახურება და მემკვიდრეობა ასეა დანახული და შეფასებული: პროფესორ იუზა ევგენიძის ნაწერებში ყველგან ჩანს დიდი ერუდიცია, ანალიტიკურ-სინთეზური ნიჭი, მეცნიერულ გამბედაობასთან შერწყმული სიფრთხილე და ტაქტი; აზროვნების და შრომის მოწესრიგებული, დისციპლინირებული ხასიათი, დიდი კეთილსინდისიერება, სხვათა ნაღვაწის დანახვა და აღიარება, სათანადოდ წარმოჩენა.

პროფ. ი. ევგენიძე კომპლექსურად იკვლევდა ლიტერატურულ პრობლემებს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მის მიერ მოსაზღვრე დისციპლინათა - ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, საზოგადოების ისტორიის... მონაპოვართა საფუძვლიანი ცოდნა და სათანადო მომარჯვების უნარი. იგი სპეციალისტის სიმაღლეზე იაზრებდა ამ დარგის მასალას და ყოველთვის მარჯვედ უქვემდებარებდა ლიტერატურისმცოდნეობის მიზნებს. ეს შეფასება, რომელიც პროფ. ი. ევგენიძის თანამოაზრეს და მეგობარს პროფ. ლ. მინაშვილს ეკუთვნის, უზუსტესად ასახავს პროფესორ ი. ევგენიძის, როგორც მეცნიერის, პედაგოგისა და მოქალაქის პიროვნულობას, მოქალაქეობრივ ცნობიერებას, მისი გარდაცვალებით გამოწვეული დანაკარგის სიმწვავესა და მასშტაბურობას.

Профессор Юза Эвгенидзе – 75

В этом году исполнилось бы 75 лет известному грузинскому ученому и педагогу, профессору Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили, доктору филологических наук Юзе Эвгенидзе. Эту юбилейную дату он, к сожалению, встречает не в этом мире. Жизнь Юзы Эвгенидзе оказалась короткой. Он не дожил до 70 лет, скончался 2 января 2013 года, оставив светлый след, большое горе и боль в сердцах тех людей, с которыми он сотрудничал, дружил, был в родственных отношениях.

Пять лет, как Юза Эвгенидзе покоится на уютном кладбище своей родной деревни, в окружении предков и родителей (это было его желание). Тишину нарушает только звук шагов тех людей, которым очень не хватает Юзы Эвгенидзе и его смерть как незаживающая рана. Кроме членов семьи и родственников, их не так уж мало, это и воспитанники, студенты, которые сейчас сами стали педагогами и профессорами... Прохожие по дороге Гурия-Аджария, когда заходят на кладбище, находящееся вблизи этой дороги, в Ахалсопели и почтят память Эвгенидзе, в качестве символа скорби возложат на могилу цветов и нальют стакан вина... так они борются с неизбежностью смерти и холодом.

Профессор Эвгенидзе прошел именитую дорогу и оставил в грузинском литературоведении интересное научное наследие, по направлению история грузинской литературы XIX-XX веков. Он создал фундаментальные труды по грузинскому общественному и литературному мышлению, о проблемах грузинского романтизма и реализма. Особенно ценен вклад Эвгенидзе в изучении творчества Важи (Важа-Пшавела) и Акакия (Акаки Церетели), исследовании грузинской классической публицистики XIX века.

Профессор Эвгенидзе своей деятельностью успешно продолжил научные и педагогические традиции ТГУ им. Ив. Джавахишвили и своими монографиями и исследованиями многое внес в грузинскую филологическую науку.

Ю. Эвгенидзе родился 24 февраля 1943 года в деревне Ахалсопели ланчхутского района. Среднюю школу закончил в деревне Леса с золотой медалью. В 1965 году с отличием закончил филологический факультет ТГУ им. Ив. Джавахишвили. В том же году поступил в аспирантуру и соприкоснулся с новаторством школы Гр. Кикнадзе в литературоведении. Инновации научной литературоведческой мысли, свободные от советской идеологии взгляды, с одной стороны, были представлены исследованиями

Кикнадзе, с другой стороны, научными трудами представителей этой школы, которые создавали важнейшие направления грузинской научной литературоведческой мысли 70-80-х годов двадцатого века. Из этой школы вышли такие известные исследователи, какими являются Вахтанг Гогоадзе, Алексей Чинчараули, Ладო Минашвили, Джумбер Цоцколаури, Кларап Гецадзе, Темур Джагоднишвили и др.

Ю. Эвгенидзе был первым аспирантом и официальным учеником. Его научные взгляды естественно выделились исходя из личного и научного концептуализма Кикнадзе. Традиции этой школы и сделали Эвгенидзе знаменитым исследователем, ученым, педагогом.

Профессор Эвгенидзе, по словам своего ближайшего друга и единомышленника Ладо Минашвили, пришел в ТГУ им. Джавахишвили тогда, «когда ещё чувствовались традиции, заложенные его основателем, когда университет ещё украшали своей сединой последние основатели; ещё наполняли своей энергией лучшие представители первого поколения воспитанников университета.»

Ю. Эвгенидзе и его поколению выпало большое счастье быть верными последователями традиций. А это не такая уж и легкая доля. С трудностями он столкнулся уже в годы обучения в аспирантуре и это было вызвано тем инновационным путем научных исследователей, что составляло научный интерес его учителя Кикнадзе и что отразилось в названии темы диссертации аспиранта Эвгенидзе.

Вызывает удивление тот факт, что для многих непонятным оказалось такое обычное терминологическое словосочетание, как «творческая история» в соотнесении с конкретной личностью. В случае с Эвгенидзе при изучении творческого наследия Важа-Пшавела. И это на том фоне, что всем было и так известно, что именно имелось ввиду в этом словосочетании, эта мысль была высказана самим Важа-Пшавела («написание моей творческой истории очень просто»)

Несмотря на все, Эвгенидзе в 1971 году успешно защитил кандидатскую диссертацию «Из творческой истории Важа-Пшавела» и занял свое место в университетском пространстве, как ученый и педагог с о своими взглядами.

В 1993 году Эвгенидзе возглавил учебно-научный кабинет им. А. Церетели, в скором времени этот «кабинет» стал важным центром в изучении наследия А. Церетели. Всеобщее внимание обращает на себя, изданные в этом кабинете такие книги, как «Сборник Акакия» (1-1999),

2-2005), «Неизвестный Акаки» (2005). В этих сборниках были напечатаны следующие труды Эвгенидзе: «Один пример критично-эстетической мысли Церетели», «Послесловие к труду Гр. Кикнадзе: Изучение творчества Акакия Церетели и Илии Чавчавадзе с точки зрения педагогики», «О природе лирики Акакия Церетели», «Акакия Церетели о литературе и искусстве».

В 1995 году Ю.Эвгенидзе защитил докторскую диссертацию и уже в ранге профессора успешно продолжил научную и педагогическую деятельность, читал лекции, руководил подготовкой докторантов.

В разные годы проф. Эвгенидзе научную и педагогическую деятельность проводил в Грузинском литературном институте им. Шота Руставели, тбилисской духовной академии, на должности приглашенного профессора кафедры грузинского языка, литературы и журналистики Грузинского технического университета. Здесь с 2000 года читал магистерский лекционный курс «Этапы развития грузинской публицистики и грузинские классики-публицисты», в докторантуре же вел специальные лекционный курс по теории литературы и грузинской литературе.

Проф. Эвгенидзе автор более чем 100 научных трудов. Особенно выделяются монографии: «Из истории творческой истории Важа-Пшавела» (1977), «Важа-Пшавела» (1982), «Важа-Пшавела (жизнь и вопросы творческой истории)» (1989), «Вопросы грузинского романтизма» (1982), «Григол Орбелиани» (1995), «Очерки из истории грузинской литературы», 3 тома которого вышли в 2000, 2003, 2009 годах, а последний-4 том, к сожалению, и сейчас не издан.

Под руководством проф. Эвгенидзе изданы сборники - «Грузинские романтики о литературе и искусстве» (в соавторстве с Ладом Миношвили, 1980), «Григол Кикнадзе» (в соавторстве с В. Гогуадзе, Л. Минашвили и Дж. Чумбуридзе, 1976 год), «Илья Чавчавадзе о литературе и искусстве» (1-1996, 2-1998), «Акакия Церетели о литературе и искусстве» (2004) и др. Особенно хочется отметить учебник, созданный с участие «История новой грузинской литературы»(2-2011)

Научные труды проф. Эвгенидзе изданы в Германии («Тематика творчества Николоза Бараташвили» (2006), «Рыцарский дух поэзии Важа-Пшавела» (2008)

В последние годы жизни проф. Эвгенидзе активно участвовал в академическом издании работ Акакия Церетели. После его кончины было издано два его труда. «Вербальные коммуникативные технологии» и «Один аспект грузинской публицистично-литературной мысли в контексте кризиса культуры» (2013)

Проф. Эвгенидзе активно участвовал в различного уровня научных форумах. Он был избран членом грузинской литературоведческой академии наук (2011), был награжден медалью Иване Джавахишвили (2003), грамотой грузинского каталикос-патриарха, его святешейства Илии Второго.

Проф. Эвгенидзе комплексно изучал литературные проблемы. Особенно хочется отметить пограничные дисциплины – философию, эстетику, психологию, социологию, историю общества... основательное знание. Он всегда подразумевал материалы той области и всегда подчинял литературоведению. Эту оценку дал проф. Минашвили, что точно характеризует проф. Эвгенидзе как ученого, педагога и гражданина и показывает масштабность и глубину личности, которую потеряли в связи с его смертью.

Professor Iuza Evgenidze – 75

This year marks the 75th anniversary of a famous Georgian scientist and teacher, professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, doctor of philology Iuza Evgenidze. It is unfortunate, that he is no longer here to celebrate this date with us. The life of Iuza Evgenidze turned out to be quite short. He was not there for his 70th anniversary, for he passed away on January 2nd, 2013, as he departed from this world, while leaving behind a bright footprint, but also people he worked with, people he was friends with...

Five years have passed since Iuza Evgenidze has been resting among his ancestors and parents in a cozy grave yard in his hometown (It was his huge wish). The quiet is only disturbed by the sounds of people coming to visit, for his death is an unhealed wound for the lot of them, not only for his family and relatives, but also for his former students, now teachers or professors... as they pass the grave yard near Akhalsopeli, while traveling on Guria-Ajara road, they pay their respects to Iuza Evgenidze and as a metaphor and a symbol for the great sorrow they put a pristine flower on the grave and sprinkle some wine on it... and this way they challenge the inevitability and coldness of death...

Professor Iuza Evgenidze left a very interesting scientific heritage in Georgian literary studies in the history of Georgian literature of XIX-XX centuries. He created fundamental works about the problems of Georgian romanticism and realism. His role in studying the works of Akaki and Vazha, and the problems of the XIX century Georgian classical publicism are especially notable.

Professor Iuza Evgenidze carried the scientific and pedagogical traditions of Ivane Javakhishvili Tbilisi State University with success and his monographs and studies added a lot of knowledge to the Georgian philological sciences.

Iuza Evgenidze was born on February 24th, 1943, in the village of Akhalsopeli located in Lanchkhuti region. He graduated from the secondary school of village Lesa with a golden medal. He was accepted to the faculty of philology in Tbilisi State University in 1960, which, in 1965, he finished successfully. He started his post graduate studies the same year, where he came to know professor Grigol Kiknadze and his innovations. Innovations of the scientific thoughts of Literary Studies, and the views free from Soviet ideology, were presented by (1) the researches by Grigol Kiknadze, and (2) scientific works of the followers of G. Kiknadze's school of thought. The said school raised famous and recognized researchers, such as the professors Vakhtang Gogvadze, Alex Chincharauli, Jumber Chumburidze, Lado Minashvili, Davit Tsotsolauri, Klara Getsadze, Temur Jagodnishvili and so on.

Iuza Evgenidze was the first and official student of professor G. Kiknadze. His scientific views, naturally, were formed under the influence of his professor's personality and scientific conceptualism. What made Iuza Evgenidze a famous scientist, professor, and researcher was him pushing the traditions of the said school even further and developing them.

As the best friend and colleague of professor Iuza Evgenidze, Lado Minashvili, states, he [Iuza Evgenidze] came to Ivane Javakhishvili Tbilisi State University when “the traditions, planted by the founders of this university, could still mildly be felt, when the presence of the said founders still made the place brighter, when the best graduates of the first few generations worked tirelessly for the university.” It was the destiny of Iuza Evgenidze and his generation to be loyal to and carry on these big traditions, which turned out to be not so easy. Even as a post graduate student, the difficulties arose, caused by how innovative the scientific studies were, that were determined by the scientific interests of Prof. G. Kiknadze and were disclosed when Iuza Evgenidze had to name his Thesis. Looking back, it is amazing how hard it was to understand a natural phrase, such as “the history of oeuvre”, used when talking about the peaks of Vazha Pshavela's works, while being familiar with the reference made by Vazha himself about the deeper meaning of the phrase (“it is easy to write the history of my works”).

Despite this, Iuza Evgenidze successfully got his master's degree for the Thesis “the history of the works by Vazha Pshavela” and quickly found his place in the university as a scientist of unique vision. He kept researching the works of Vazha-Pshavela and publishing articles about them.

In 1993, professor I. Evgenidze became the head of “training-scientific cabinet of Akaki Tsereteli” in TSU. This cabinet shortly became a very important center for studying the heritage of Akaki. Books, such as “The compilation of Akaki”, “The Unknown Akaki”, were under major attention. The following works of professor I. Evgenidze were published in the said books: “a sample of critical-aesthetic thinking of Akaki Tsereteli”; “Some things about the just-revealed works of Akaki Tsereteli”; “For the nature of Akaki Tsereteli's prose”; “ About the literature and art of Akaki Tsereteli”, and so on.

In 1995, Iuza Evgenidze obtained his Doctorate degree and kept his scientific and teaching works as a professor now.

During some years, prof. I. Evgenidze worked at the Shota Rustaveli Georgian Literature Institute, at Tbilisi Theologian Academy, at Georgian Technical University in the department of Georgian language, literature and journalism as an invited professor. Since 2000 he lectured post graduate students about “the levels of development of Georgian publicism, and classical publicists”, and the doctorate

students about the literature theory and Georgian literature.

Prof. I. Evgenidze is an author of more than a hundred scientific works, among which the noteworthy ones are: “the history of the works by Vazha Pshavela” (1977), “Vazha-Pshavela” (1982), “Vazha-Pshavela (life and the history of his works) (1989), “the issues of Georgian romanticism” (1982), “Grigol Orbeliani” (1995), “Briefs from Georgian literature history”, with 3 books published in 2000, 2003 and 2009, and the last, fourth book, is unfortunately still unpublished.

Under the guidance of prof. I. Evgenidze were published the following compilations – “about the literature and art of Georgian romanticists”, “Grigol Kinadze”, “About the literature and art of Ilia Chavchavadze”, “about the literature and art of Akaki Tsereteli”, and so on. The textbooks, which he helped create, are especially noteworthy, such as “the history of new Georgian literature”, “XIX century Georgian literature”.

Scientific works of prof. I. Evgenidze are published in Germany (“the issues of the beliefs of Vazha-Pshavela in the according to Grigol Robakidze”, “The themes of the works by Nikoloz Baratashvili”, “Heroic spirit of Vazha-Pshavela Poetry”.

During the last years of his life, prof. I. Evgenidze was actively involved in publishing of the works of Akaki Tsereteli. After his death, two of his works were published: “Verbal communicational technologies” and “one aspect of Georgian publicistic-literatural thinking in the context of cultural crisis”.

Prof. I. Evgenidze was also actively involved in different scientific forums. He was chosen as a member of Georgia’s Literary Studies Academy in 2011, received a Ivane Javakhishvili Medal in 2003, and a thank-you certificate by the patriarch of Georgia, Ilia the second.

Scientific merits and heritage of professor Iuza Evgenidze is appraised as follows: in the works of Professor Iuza Evgenidze, his erudition, analytical-synthetic talent, cautionary nature combined with scientific bravery; organized, disciplined nature of thinking and labor, honesty, being able to see and recognize the works of other people.

“Prof. I. Evgenidze researched literature issues. Also should be noticed his knowledge of philosophy, aesthetics, psychology, sociology, history of society. He processed the materials of these fields as a specialist and used them for literary studies.” This appraisal by his friend L. Minashvili very precisely describes Professor I. Evgenidze as a scientist, teacher and a member of society, also his social values, and the vastness of the sorrow caused by losing him.

